ვერსია

ფასი 40 თეთრი

№139 (746) 5 - 6 დეკემბერი, 2012 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

გენერალი გია უჩავა მეხუთე დღეა ციმბილობს!

გვ. 2

ექსკლუზიურად „ვერსიაში“ გია უჩავას წერილები პრეზიდენტ საკაშვილს და „ალიარებითი ჩვენება“ მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს

სოსო მანჯავიძე: „თუ ამნისტიას ისე დაახეიბრებენ, როგორ ახლა ახეიბრებენ, დაიწყება ფართომასშტაბიანი გამოსვლები ციხიდან და შედეგები ძალიან ცუდი იქნება!“

ბარემ, ვიტყვი ახლა, რაც სათქმელია — სინამდვილეში, არანაირი დემოკრატიული არჩევნები აქ არ ჩატარებულა. უბრალოდ, ივანიშვილი და მისი ხალხი მოვიდა და იმ ციხეში შევიდა, სადაც მეციხოვნეები აღარ იდგნენ! მერე გაყალბებული 20 პროცენტი იზეიმა „ქართულმა ოცნებამ“ და სააკაშვილს ხელში იარაღი მისცა, რომ ის დემოკრატია და ასეთივე არჩევნები ჩაატარა. ჰოდა, ამ დიდ ტყუილში რომ შეყვები ადამიანს, არც ის ალიყურები უნდა გაიკვირვო, რასაც დასავლეთი გიგზავნის.

„წინააღმდეგობის მოძრაობა“ პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსად“ გარდაიქმნება, ხოლო მისი თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი იქნება

გვ. 3

რატომ არ აკეტებს ლევან კალანდაძე „საკუთარი გადაფურთხებულის ალოკვას“ მეგობარ მინისტრებს?

გვ. 6

„ქართული ოცნება“ ჰენსიას არ ზრდის, ტარიფებს არ ამცირებს, მოსახლეობას „აბოლებს“ და ძვირადღირებულ „ჯიპებს“ ვერ თმობს!

გვ. 2

„არის ინფორმაცია, რომ ჩატაევისგან ელოდებიან კონკრეტულ ჩვენებას, რის საფუძველზეც უნდა დააკავონ რომელიღაც ყოფილი მაღალჩინოსანი!“

„მივადგები ივანიშვილის რეზიდენციას ჩემი შვილებიანად, ან დამეხმაროს ან დატოვოს ეს ბავშვთა სახლი, სანამ ცხოვრება გაუმჯობესდება!“

გვ. 9

რას ითხოვენ მშობლები და რა სკანდალური ინფორმაციას გვაწვდის ბავშვთა სახლის დირექტორის ყოფილი მოადგილე

„სმარტი“ გუდაურში – სიურპრიზი „ვისოლისგან“!

ნინო კომახიძე
პოლიტიკა



სახალხო კრების „შეფიცულების“ მეთაური, გენერალი გია უჩავა მეხუთე დღეა შიმშილობს!

ექსკლუზიურად „ვერსიაში“ გია უჩავას წერილები პრეზიდენტ სააკაშვილს და „აღიარებითი ჩვენება“ მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს

„საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის, გია უჩავას განცხადება შეწყალების თხოვნის გაუქმების თაობაზე:

გაცნობებთ, რომ 2012 წლის 26 ივნისს მოგმართეთ განცხადებით (რეგისტრაციის ნომერი №21472), სადაც გთხოვდით ჩემს შეწყალებას. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, გთხოვთ, შეაჩეროთ და გააუქმოთ ეს განცხადება შეწყალების თაობაზე, რადგან ჩემგან მიღებული ყველა ჩვენება სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიღებულ იქნა ფიზიკური ძალადობით, ჩემი ოჯახის მძევლად აყვანით, წამებითა და ღირსების შემლახავი მეთოდით“, — საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გენერლის წერილი 2012 წლის 12 ნოემბერს, მას მერე მიიღო, რაც გია უჩავას რამდენიმე თვის წინანდელი თხოვნა შეწყალებით გათავისუფლების თაობაზე დააკმაყოფილა. შეგახსენებთ, გია უჩავა ბადრი ბიწაძის საქმეში მთავარი მოწმეა და სწორედ მის მიერ მიცემული ჩვენების საფუძველზე დაიწყო ნინო ბურჯანაძის მეუღლის სამართლებრივი დევნა. გია უჩავას მისგან აღიარებითი ჩვენების მოპოვების მეთოდებზე საუბარი მხოლოდ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ არ დაუწყია. როგორც მისი ადვოკატი კახა მუმლაძე „ვერსიას“ ექსკლუზიურად უამბობდა, გია უჩავა ბურჯანაძის მხარეს თანამშრომლობასა და სიმართლის თქმას ჯერ კიდევ 2011 წლის მიწურულსა და 2012 წლის დასაწყისში სთავაზობდა, თუმცა რატომღაც, ნინო ბურჯანაძემ მაშინ საკუთარი მეუღლის რეაბილიტაცია არ მოისურვა. შესაძლოა, მოვლენებს წინ არ გაუსწრო და მხოლოდ მას მერე, რაც ავსტრიაში ვიზიტების შემდეგ ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობა დაალაგა, „ქართული ოცნება“ კი ხელისუფლებაში უმრავლესობით მოვიდა, უჩავას მიერ არჩილ კბილაშვილისთვის გადაცემული საქმის მასალებითა და წერილით დაინტერესდა. „ვერსიას“, უჩავას ადვოკატის საშუალებით, ეს წერილიც ჩაუვარდა ხელში, სადაც გია უჩავა, ფაქტობრივად, აღიარებით ჩვენებას იძლევა და ამბობს, რომ ოჯახისა და თანამებრძოლების გადასარჩენად, ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ სააკაშვილის რეჟიმთან ითანამშრომლა:

„საქართველოს მთავარ პროკურორს ბატონ არჩილ კბილაშვილს მსჯავრდებული გია უჩავას განცხადება:

მოგახსენებთ, რომ 2011 წლის 22 მაისს (მიმდინარე საპროტესტო აქციის ტერიტორიაზე) მოხდა ჩემი უკანონო დაკავება კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, რასაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა დათა ახალაია. კუდ-ის ტერიტორიაზე ჩემზე განხორციელდა ფიზიკური ზემოქმედება, დახვრეტის იმიტაცია, პირადად დათა ახალაიას მიერ. დათა ახალაიასთან ერთად, სოსო თოფურიძე ჩემზე ახორციელებდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რაც გამოიხატებოდა ჩემი ოჯახის წევრების ფიზიკური განადგურების მუქარაში და ასევე, ჩემი თანამებრძოლების (შეფიცულების) სისხლის სამართლებრივ დევნაში, რათა ჩემგან მიეღოთ მათთვის სასურველი ჩვენება საპროტესტო აქციის ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ დაიწყოთ ხელახალი გამოძიება, რადგან ვარ უკანონო პატიმარი და ჩემგან ძალადობრივად მიღებული ჩვენებების საფუძველზე, ბადრი ბიწაძე უკანონოდ დევნილია!

მსჯავრდებული: თადარიგის გენერალმაიორი გია უჩავა“.

ეს წერილი გია უჩავამ მთავარ პროკურორს 2012 წლის 20 ნოემბერს გაუგზავნა, თუმცა, როგორც ჩანს, უწყება აერია, რადგან კბილაშვილი „დაჭერებითაა“ დაკავებული, სუბარი კი — გამოშვებებით. ნებისმიერ შემთხვევაში, არჩილ კბილაშვილს, ჯერჯერობით, საქმის შესწავლა არ დაუწყია, სამაგიეროდ, სახალხო კრებამ უჩავას ამ წერილზე, როგორც ბიწაძის თავისუფლების დამატებით გარანტიაზე, ნადირობა გამოაცხადა და ახლა აქეთ შესთავაზა უჩავას ადვოკატს თანამშრომლობა. ოღონდ საინტერესო მაინც ისაა, რომ ბადრი ბიწაძეს, დიდი ალბათობით, პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიენიჭება, ხოლო გია უჩავა იმ 7-კაციან სიაშიც კი ვერ აღმოჩნდა, რომელიც ნინო ბურჯანაძემ და სახალხო კრებამ ეკა ბესელიას კომისიას პოლიტპატიმრისა და პოლიტდევნილის სტატუსის მისანიჭებლად გადასცა.

მოკლედ, დღეს გია უჩავა კვლავ გლდანის მერვე დაწესებულებაშია და შაბათიდან მოყოლებული, მეხუთე დღეა შიმშილობს. უჩავამ უარი თქვა პრეზიდენტის მიერ ნაწყალობევ თავისუფლებაზე ისევე, როგორც ადვოკატის შეთავაზებაზე, თავად მიემართათ ბესელიას კომისიისთვის. ბოლო ინფორმაციით, უჩავას მდგომარეობა დამძიმდა და ციხის ექიმმა მას შიმშილობის შეწყვეტა ურჩია, თუმცა როგორც ჩანს, დღეს გენერალი ბევრად ჯიუტია, ვიდრე სახალხო კრების აქციაზე იყო. დეტალების შესახებ კი მისი ადვოკატი და მეგობარი **კახა მუმლაძე** გვესაუბრება:

— უდო-ს კომისია გიას უჩავას ციხიდან არ უშვებს, უკვე მიღებულ შეწყალებაზე კი უარს თავად გია უჩავა ამბობს. რა არის მისი გეგმა?

— გია უჩავამ შეწყალების კომისიას 2012 წლის ივნისში მიმართა. თუმცა, ახალი რეალობიდან გამომდინარე, როცა ქვეყანაში სიმართლის დამტკიცების იმედი და ახალი პირობები გაჩნდა, მან შეწყალების საფუძველზე ციხის დატოვება გადაიფიქრა. გია უჩავამ ოფიციალური წერილით მიმართა პრეზიდენტ სააკაშვილს და განაცხადა, რომ არაფრით მიიღებდა არანაირ შეწყალებას პრეზიდენტისგან, რადგან მისგან მიღებული ყველა ჩვენება ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ, ძალადობით, მუქარითა და ოჯახის წევრთა მძევლად აყვანის პირობებში იქნა მიღებული. გია უჩავამ თავისივე ხელით დაწერილი განცხადებით, ასევე, მიმართა მთავარ პროკურორს, რათა მას საქმის ხელახალი გამოძიება დაეწყო, რადგან, ბოლობოლო, ჭეშმარიტება დადგენილიყო. რაც შეეხება უდო-ს კომისიასა და ვადაზე ადრე გათავისუფლებას, გენერალ უჩავას უდო, წესითა და კანონით, უნდა შეხებოდა. თავად გიასაც ეგონა, რომ უდო-ს კომისია მის საქმეს განიხილავდა და მას ციხიდან გაათავისუფლებდა. იგი იმედოვნებდა, რომ უკვე სრულიად თავისუფალი წარსდგებოდა სასამართლოს წინაშე, საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად, როგორც მოქალაქე, თავისუფალი ადამიანი და არა — როგორც პატიმარი საპყრობილედან. დღეს გია უჩავა სვამს კითხვას — თუ იგი 2012 წლის 1 ოქტომბრამდე სააკაშვილის ხელისუფლების პირადი პატიმარი იყო, ახალი ხელისუფლების პირობებში ვისი პატიმარია და რატომ არ ათავისუფლებს მას უდო-ს კომისია? გაითვალისწინეთ, მას უდო კანონით ეხება — ვისაც დანაშაული ჩადენილი აქვს პირველად და თუ იგი საზოგადოებისთვის საშიშ პირს არ წარმოადგენს, მაშინ უდო ეხება და აუცილებლად თავისუფლდება ვადაზე ადრე! როგორც ვნახეთ, მას უდო, რატომღაც, არ შეეხო და შაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს 18 საათიდან, ზუსტად მას მერე, რაც უდო-ს კომისიისგან უარი მიიღო, გენერალმა ციხის ადმინისტრაციას მიმართა და ოფიციალურად დააფიქსირა, რომ შიმშილობა დაიწყო! იგი დღესაც, ამ წუთშიც შიმშილობს და ერთადერთი, მარტივი მოთხოვნა აქვს — ითხოვს იმის ახსნას, რატომ არ ათავისუფლებს ახალი ხელისუფლება ციხიდან და ამჟამად, ვისი პატიმარია იგი?!

— თავად უჩავას თუ აქვს პასუხი ამ კითხვაზე, ან მისი აზრით, რატომ ვერ მოხვდა პოლიტპატიმრების 202-კაციან სიაში, ბურჯანაძის იმ 7-კაციან სიაში, რომელიც მან ეკა ბესელიას კომისიას გადასცა?

— ვერ გეტყვით, ძალიან ძნელი სათქმელია. თუმცა ერთი რამის თქმა ნამდვილად შემიძლია: როცა ბატონ გია უჩავას შევთავაზე, ამ პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების საქმეების შემსწავლელ კომისიას ჩვენ თვითონ მივმართოთ-მეთქი, ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მას ეგონა, რომ სახალხო კრება და ნინო ბურჯანაძე თავად მიმართავდნენ ბესელიას კომისიას, ან ამას რომელიმე უფლებათადამცველი ორგანიზაცია გააკეთებდა, თუმცა ასე არ მოხდა.

— კი, მაგრამ, ამ მოლოდინის საფუძველს რა აძლევდა, როცა „მოღალატეს“ ეძახდნენ და მასა და მის ოჯახს ერთი მომკითხავიც არ ჰყავდა?

— როცა გია უჩავა აიყვანეს, მაშინ მისი ოჯახი სახელმწიფო დაცვის პროგრამაში ჩასმით, ფაქტობრივად, მძევლებად აქციეს და მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. სხვათა შორის, რაც შეეხება უჩავას გადაწყვეტილებას შიმშილობის შესახებ, ოჯახმა არაფერი იცის და გიამ თქვა, ამაზე გაზეთიდან გაიგებენ, სხვა გამოსავალი არ არისო. სხვათა შორის, როგორც გია უჩავა ამბობს, იგი იმდენად პოლიტიკური პატიმარი არ არის, რამდენადაც უკანონო პატიმარი. თუმცა, თუ ბადრი ბიწაძე უნდა იყოს იმ პოლიტპატიმრების სიაში, მაშინ მეც პოლიტპატიმარი ვარო!

— აქ ერთი დეტალია — ნინო ბურჯანაძისა და ირაკლი ბათიაშვილის თხოვნით, თქვენთან მოვიდნენ და უჩავას განცხადებები მოგთხოვეს, სადაც იგი საქმის მასალებს კბილაშვილს აწვდის და ბიწაძის სასარგებლო განცხადებებს აკეთებს. ეს მასალები თავად უჩავას რაში გამოადგა, თუ იგი სახალხო კრებამ და ნინო ბურჯანაძემ არანაირ სიაში არ შეაყვანინეს?

— რა თქმა უნდა, ნინო ბურჯანაძეს უჩავას საქმის მასალები მხოლოდ ბადრი ბიწაძის რეაბილიტაციისთვის სჭირდება, რათა ახლადაღმოჩენილი გარემოებით შევიდნენ იმ კომისიაში და საქმეს ბიწაძის საქმის მთავარი მოწმის, უჩავას განცხადება დაურთონ. აქ ხომ უჩავა ამბობს, რომ ყველა ჩვენება ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ, ფიზიკური ძალადობისა და ოჯახის მძევლად აყვანის შედეგია და პირდაპირ ხელს ადებს დათა ახალაიასა და სოსო თოფურიძეს! თუმცა თუ ბადრი ბიწაძე დაზარალებულია, გაუგებარია, ასეთივე დაზარალებული რატომ არ არის გენერალი გია უჩავაც!

ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

რას დაპირდა პანკისელ ჩეჩნებს იუსტიციის მინისტრი

4 დეკემბერს, პანკისის ხეობაში მცხოვრებმა ჩეჩნებმა, ლოპოტას სპეცოპერაციის შემდეგ დაკავებული ახმედ ჩატაევის ციხიდან გათავისუფლების მოთხოვნით, იუსტიციის სამინისტროს წინ, აქცია მოაწყვეს. ჩეჩნები ამტკიცებენ, რომ ჩატაევი უდანაშაულოა და ინვალიდი ადამიანი ციხეში უსამართლოდ ზის. პანკისელი ომარ ხანგოშვილი ირწმუნება, „აქციებს მანამ გავაგრძელებთ, სტრასბურგსა და ჰააგაშიც კი წავალთ, სანამ ახმედ ჩატაევს არ გაათავისუფლებენ. ის სრულიად უდანაშაულოა ამ საქმეში. მას ერთი ტყვიაც არ გაუსვრია“.

„არის ინფორმაცია, რომ ჩატაევისგან ელოდებიან კონკრეტულ ჩვენებას, რის საფუძველზეც უნდა დააკავონ რომელიღაც ყოფილი მაღალჩინოსანი!“

ახმედ ჩატაევი ლოპოტას ხეობაში, სპეცოპერაციის დროს დააკავეს. მოსალაპარაკებლად მისულ ადამიანს პირველი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. დაჭრილი ტყეში დაადგეს. 10 დღის შემდეგ, მესაზღვრეებთან მისული უიარაღო კაცი აიყვანეს და ციხეში ჩასვეს. ბოლო სასამართლო პროცესი გადიდო იმიტომ, რომ მოწმეები არ მიიყვანეს, რადგან, აქციის მონაწილენი ამბობენ, ასეთი მოწმეები ბუნებაში არ არსებობსო. აიუფა ბორჩაშვილი აცხადებს, რომ ჩატაევს მოწმე ხელს არ ადებდა, რადგან იცოდა, რომ შეიარაღებული ხალხის დასაშოშმინებლად მიყვანილი ჩატაევი პირველი დაჭრეს და დააპატიმრეს.

ახმედ ჩატაევის გათავისუფლებას მისი მეუღლე — აინა მარგოშვილიც ითხოვს. ის აქციაზე მცირეწლოვან შვილთან ერთად მივიდა. იმ შემთხვევაში, თუ მის მეუღლეს ციხიდან არ გაუშვებენ, იუსტიციის სამინისტროს წინ, შვილთან ერთად დადგება.

მუსა პანკისელი: „ახმედ ჩატაევი წინა ხელისუფლებამ თელავში გამოიძახა და ლოპოტას ხეობაში გადაიყვანა, რათა მოლაპარაკებები ეწარმოებინა იმ 17 მებრძოლთან, იქ რომ იყვნენ. რამდენიმე დღე ის დაკარგულად ითვლებოდა. ჩატაევის საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები, რომლებმაც შეცვალეს პირვანდელი ჩვენება. არის ინფორმაცია, რომ ჩატაევისგან ელოდებიან, რაღაც კონკრეტულ ჩვენებას, რის საფუძველზეც, რომელიღაც ყოფილი მაღალჩინოსანი უნდა დააკავონ. ჩვენ არ გვსურს, ახმედ ჩატაევი გახდეს იმ პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი, რომელიც მიმდინარეობს ყოფილ და ახალ ხელისუფლებას შორის. თუ ჩატაევი არ გათავისუფლდება, ფართომასშტაბიან აქციებს გავმართავთ. მივმართავთ თეა წულუკიანსა და არჩილ კბილაშვილს, ეს საქმე პირად კონტროლზე აიყვანონ და ჩატაევი გათავისუფლდეს“.

ომარ ხანგოშვილი: „თეა წულუკიანმა თქვა, რომ ჯერჯერობით, მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ციხეში დატოვება. ჩვენ იმისიც გვეშინია, რომ რუსეთისთვის უნდათ მისი გადაცემა. ის 17 მეომარი, რომელიც საზღვრის გადაკვეთას ცდილობდა, რუსეთში მიდიოდა საბრძოლველად. ამ ბიჭებს უნდოდათ იმ ომში მონაწილეობა, რომელიც დღესაც მიმდინარეობს კავკასიასა და რუსეთს შორის. 7 მოკლეს და 10 დაკარგულად ითვლება ამ დრომდე. შესაძლოა, ისინი იქითაც გადავიდნენ“.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი „ჩეჩნური დიასპორის“ წარმომადგენელი მექა ხანგოშვილი ახმედ ჩატაევს უკანონო პატიმარს უწოდებს და მის გათავისუფლებას მხარს უჭერს: „მთელი პანკისის ხეობის მოსახლეობა მოითხოვს, ლაფანყურის სპეცოპერაციის ობიექტურ გამოძიებას. მნიშვნელოვანია, მოხდეს ამ სპეცოპერაციის შუამავლის, უდანაშაულო ადამიანის გათავისუფლება. მთელი პანკისის ხეობა მას თავდებში ვუდგებით. ამ ეტაპზე, პროკურატურას იმის საშუალება და სამართლებრივი საფუძველი აქვს, რომ ეს ადამიანი გაათავისუფლოს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმეა, აქვს განგრენის ნიშნები და ფეხზე ამპუტაცია ესაჭიროება“.

აქციის მონაწილეებს აიუფა ბორჩაშვილს, აბდულა ცეთიაშვილსა და მექა ხანგოშვილს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, დაახლოებით, ერთ საათს ესაუბრა. შეხვედრის შემდეგ აქციის მონაწილეებმა განაცხადეს: „ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ადამიანი სამინისტრო ფანჯრიდან კი არ უყურებს საკუთარი უფლებების დასაცავად მოსულ ადამიანს, შეხვდება და მოუსმენს. მინისტრი დაგვპირდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოხდება ჩატაევის ექსტრადირება რუსეთში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. მეორე პირობა კი ის იყო, რომ საქმეს ობიექტურად გამოიძიებენ. პროცესს სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევენ და თუ ჩატაევი უდანაშაულოა, გათავისუფლდება“.

სოსო მანჯავიძე: „თუ ამნისტიას ისე დაახეიბრებენ, როგორც ახლა ახეიბრებენ, დაიწყება ფართომასშტაბიანი გამოსვლები ციხიდან და შედეგები ძალიან ცუდი იქნება!“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს! — დაახლოებით, ასეთია იმ ანალიზის მოკლე შინაარსი, რომელსაც „ვერსიისთვის“ სოსო მანჯავიძე აკეთებს. ქვეყანაში, სადაც ორი თვის წინ ძველი ხელისუფლება შეიცვალა, ორი თვის მერე, ახალი ხელისუფლების მინისტრებს „მანკიერი სისტემა ჭამს“. მანკიერ წრეზე სიარულსაც ვაგრძელებთ და ახალი მთავრობის სამეგობრო თუ სანათესაო „ბიუჯეტის შესათქვლეფად“ წინ ღორივით მიიწევს. ამნისტიის კანონის დახეიბრებაც მოასწრეს, იმიჯშელახული სააკაშვილის რეაბილიტირებაც, პრემიერსა და პრეზიდენტს კი თავთავიანთ არხებზე ვუსმენთ, საიდანაც მხოლოდ „უსაგნო ლანძღვის კორიანტელი მოედინება“... ეს სოსო მანჯავიძის შეფასებებია, რომელიც სულ ცოტა ხანში, საზოგადოების წინაშე ახალ ამპლუაში წარსდგება — 2010 წელს შექმნილი „წინააღმდეგობის მოძრაობა“ 19 დეკემბერს ყრილობას ჩაატარებს და პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსად“ გარდაიქმნება, რომლის თავმჯდომარეც დავით თარხან-მოურავი იქნება.

„წინააღმდეგობის მოძრაობა“ პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსად“ გარდაიქმნება!

— არჩევნების შემდეგ ვითარება რადიკალურად რომ შეიცვალა, ეს ცხადია. საინტერესო ისაა, რომ ხალხი, ვინც ამბობს, მმართველობა „ნაციონალების“ სტილში გრძელდებაო, როგორც წესი, თავადაა ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი. თურმე, მათ მიმართ იგივე მეთოდებს იყენებენ, რასაც ადრე თავად იყენებდნენ სხვების წინააღმდეგ პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის. ბოლოს და ბოლოს, სააკაშვილს მის მიერ შექმნილი სისტემა უკან მოუტრიალდა და ახლა მათი „დაჭერები“ მიმდინარეობს. იჭერენ თუ არა „ახალი ნაციონალები“ „ძველ ნაციონალებს“, ეს ძალიან რთული თემაა, მაგრამ ნახეთ, რა ხდება პროკურატურაში — კადრების ცვლილება მხოლოდ ზედა ფენაში ჩანს და არა, თუნდაც, რაიონულ დონეებზე.

პროკურატურა, როგორც გაწვრთნეს იმისთვის, რომ ბრძანებები შეასრულოს, ამას ძველებურად აგრძელებს. სიახლე აქ ისაა, რომ სასამართლოსა და პროკურატურას შორის კავშირი გაწყდა, ანუ სასამართლო კორპუსი, პირობითად, დამოუკიდებელია: „ნაციონალებს“ ბრძანება აღარ შეუძლიათ, რადგან ხელისუფლებაში აღარ არიან, მეორე მხრივ, ახალ ხელისუფლებას არ აქვს ბერკეტი, შიშის გარდა, სასამართლოზე გავლენა მოახდინოს, თუმცა სასამართლოსაც აქვს თავისი ინსტიტუციური მეხსიერება — სისტემა ძველი ინერციით მიდის და პროკურატურის გარეშეც ისე მოიქცევიან, როგორც აქამდე იქცეოდნენ.

ამ დროს, პროკურატურა, ცხადია, ხელისუფლების მორჩილია. თან, საკადრო გადანაცვლებები ერთ წრეში მიდის და ბევრი ადამიანისთვის მტკივნეულია, როცა რეპრესიული მანქანის მსხვერპლი გახდა, ამ დროს, რომელიმე განყოფილებაში შედის და იქ იმ კაცს ხედავს, იგივე პოზიციაზე ან უფრო დაწინაურებულს, ვინც მთელი 9 წელი ამწარებდა და სისტემის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა.

— ფაქტობრივად, მთავრობის საკადრო პოლიტიკასთან მივედით, რაც „ოცნების“ გულმხურვალე მხარდამჭერებს შორისაც კი დიდ უკმაყოფილებას იწვევს. როგორ ფიქრობთ, მთავარი პრობლემა პერსონებშია?

— ახლა სისტემური ცვლილების აუცილებლობაზე გადავდივართ — ანუ, ცვლილება ინსტიტუციაში თუ არ მოხდა, ზუსტად ისეთივე უკმაყოფილებამდე მივალთ, როგორც ყოველთვის, რადგან საქართველოში კადრების დაკომპლექტება პოლიტიკური ნიშნით ხდება.

ჩვენი ცენტრალური პრობლემა ისაა, რომ რომელი გუნდიც მოდის ხელისუფლებაში, იმას სულ თავისი ხალხი მოჰყავს. იმაზე ლაპარაკი აღარაა ხოლმე, ვინ როგორი კომპეტენტურია, ვინ რას წარმოადგენდა და ა.შ. ახალ გუნდს თავისი სამეგობრო, სანათესაო მოჰყავს, მერე ერთს მეორის სამეგობრო არ მოსწონს და მიდის ბრძოლა ერთმანეთში. ეს ყველაფერი საშინლად პროვინციულია! ყოველი ახალი გუნდი სულ ერთი და იგივე რამით კავდება — როგორმე სახელმწიფო ბიუჯეტამდე მიაღწიოს, რაც ერთი დიდი ბაგას როლს ასრულებს. მერე, ამ ბაგამდე მიღწევის პროცესში, როგორც საკვებამდე მიმავალი ღორები, ერთმანეთს უჯიკებენ ხოლმე და მათ ჯიკაობას ემსხვერპლება ჩვენი ბიუჯეტიც. მერე იწყება სოციალური უკმაყოფილება ხალხში, მეორე მხრივ კი — უკმაყოფილება მათში, ვინც ამ ბაგასთან არ აღმოჩნდა.

— შეიძლება თქვან, რომ ჯერ სისტემურ ცვლილებებზე ძალიან ადრეა საუბარი.

— ადრე კი არა, ამაზე უკვე 2 წელია ვსაუბრობთ და ეს ხელისუფლებას არათუ უკვე დაწყებული უნდა ჰქონდეს, წინასაარჩევნოდაც უნდა ეთქვა. ჩვენთან პოლიტიკოსების ორი კატეგორია არსებობს — ის, ვისაც ესმის, რომ რეალობა შესაცვლელია და არ იცის, კონკრეტულად, რა არის შესაცვლელი და მეორე, ვისაც ეს ესმის, მაგრამ არ იცის, როგორ უნდა გააკეთოს, ამიტომ პირველი კითხვაა — რა უნდა გაკეთდეს, როგორ უნდა მოეწყოს ქვეყანა, რომ მოსახლეობამ მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობა გაინაწილოს.

მეორე კითხვაა — როგორ? და პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ინსტიტუციონალური მოწყობის რეფორმაა: კერძოდ, შს სამინისტრო ქვეყნისთვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს. საუბარია არა იქ მომსახურე ადამიანებზე, არამედ თავად ინსტიტუციაზე, რომლის ხელში თავმოყრილია უზარმაზარი ხელისუფლება. იგი ძლიერ, დამოუკიდებელ უწყებებად, უშიშროებად, სასაზღვრო დეპარტამენტად, დაზვერვად და ა.შ. უნდა დაიშალოს.

— აბა, ახალ შს მინისტრს ჰკითხეთ, ეს იდეა თუ მოსწონს? არანაკლები „მონსტრია“ იუსტიციის სამინისტროც, მაგრამ არც იუსტიციას გამოეყო პროკურატურა და არც შსს-ს — უშიშროება, არადა, ახალი ხელისუფლება ამაზე თავად საუბრობდა.

— ესაა პრობლემა — ვინც უნდა იყოს მინისტრი და როგორი კეთილი ადამიანიც უნდა იყოს, სისტემა მას შეჭამს! ამიტომ უნდა არსებობდეს ამ უწყებების კონტროლის სისტემა. დაშლილი უწყებები კი ცალ-ცალკე უფრო ქმედითი და მობილურები გახდებიან, საბიუჯეტო თვალსაზრისითაც ნაკლები ხარჯი ექნებათ და რაც მთავარია, საკუთარი ფუნქციის შესასრულებლად იქნებიან მომართულნი და არა სახელისუფლო გუნდის უზრუნველსაყოფად. პრინციპში, ჯერ ორი თვეა გასული ახალი ხელისუფლების მოსვლიდან და ვნახოთ, რას აპირებენ.

— ჯერჯერობით, ტენდენცია გრძელდება — კახა გეწაძე, თენგიზ გუნავა... ეს ყველაფერი ჩვენ უკვე ნანახი ხომ გვაქვს?

— ნანახი გვაქვს, ნამდვილად და ვერც გამეორებაში ვხედავ რაიმე გასაკვირს: ბოლო 9 წელი ეს უწყება სამართალზე საერთოდ არ მუშაობდა. ნაცნობმა პროკურორმა მითხრა, აბა, წადი ახლა და სდიე, ვინ გატეხა ბინა, ამიტომ ავდგები, დავაწერ ამ საქმეს რომელიმე „პრისტუპნიკს“ და ეგ იქნებაო. აი, ამ ფსიქოლოგიით მოქმედებენ ადამიანები. გადაჩვეულნი იყვნენ მუშაობას და ვიღებდით სიტუაციას — პროკურატურა სასამართლოს აბსურდულ საქმეებს უგზავნიდა, სასამართლო შტამპავდა პირდაპირ განაჩენს ისე, რომ არც საქმის მასალებს ეცნობოდა, არც მტკიცებულებას უყურებდა, არც — მოტივაციას. ასე გარყვნა ერთმანეთი ამ ორმა ინსტიტუციამ. პროკურორები კი სიტუაციას ასე ხსნიდნენ — გამოძიებას იმის შიში რომ ჰქონოდა, სასამართლო ბოლო ინსტანციაში მაინც გადახედავს საქმესო, ასეთ შეცდომებს არ დავუშვებდითო.

ფაქტია, რეფორმის გარეშე, ზუსტად 2 წელიწადში, ან უფრო მალე, პროკურატურა ზუსტად იმადვე იქცევა, რაც აქამდე იყო. თან, ფსიქიკური ცვლილებებიც ხდება ადამიანში, რადგან აბსოლუტური ხელისუფლება აბსოლუტურად რყვნის — მით უმეტეს, რომ წარმოიდგენ, ახლა შენ ხარ ისეთ პოსტზე, ვისაც გინდა დაიჭერ, ვისაც გინდა — არა. აი, მეორე მხარეს ისინი არიან, ვისაც ეს ესმის, ამიტომ მონურ თვისებებს ამჟღავნებენ და იმ ადამიანებს რყვნიან, ვის ხელშიც მათი ბედია. ასეთივე ინსტიტუციური ცვლილებები უნდა ჩატარდეს მედიაში, ჯანდაცვაში, განათლების სისტემაში.

— მედიის გარშემო მოვლენები ყოველდღე იცვლება — „იმედი“ პატარკაციშვილის ოჯახს დაუბრუნდა, საზოგადოებრივ მაუწყებელს ფინანსური პოლიცია დაეცა, „რუსთავი 2“ ნიკა რურუამ ჩაიბარა. „მეცხრე არხს“ კი ივანიშვილმა ზედიზედ მეორედ გააგებინა თავისი გეგმები პოსტფაქტუმ — ესაა ჯანსაღი პროცესი და მედიის პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლება?

— ეს არაა გათავისუფლებული მედია და საერთოდ, მიმაჩნია, რომ მედიასაშუალებები, რომელთათვისაც პოლიტიკური მიმართულებაა გადამწყვეტი, ჟურნალისტურ მედიაგაერთიანებებს უნდა ეკუთვნოდეს. სახელმწიფო მათ გრანტს უნდა აძლევდეს, მაგრამ ისინი არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი სახელმწიფოზე და ამით გამოვრიცხავთ იმ საშინელებას, რაც დღეს ხდება ტელეეკრანებზე. კიდევ ვერ ვაცნობიერებთ, რა დონის ინფორმაციულ ჭაობში ვართ ჩაფლულნი, როცა ლანძღვა-გინების განუწყვეტელ, ორმხრივ, უსაზღვრო კორიანტელში ვიმყოფებით — მიმდინარეობს ბრძოლა, პრინციპით, მე ტალახს გესვრი და შენ თავი იმართლე, მთავარია, ტალახი ხომ მოგარტყიო! ამიტომაა სისტემური რეფორმები საჭირო, რათა პრემიერს არ ჰქონდეს თავისი არხი, პრეზიდენტს — თავისი! ბარონი მიუნჰაუზენი რომ ითრევს თავს ჭაობიდან საკუთარი წვერით, ზუსტად ამ დღეშია ახლა ერი — როგორმე, საკუთარი ხელით, ჭაობიდან თავი უნდა ამოვათრიოთ. „გულივერის მოგზაურობაში“ ერთი ცნობილი ქალაქია, რომელიც დაფრინავს, ხანდახან დაეცემა ხოლმე დედამიწაზე და მერე ისევ ჰაერში ხტება, ასე ვართ — ფეხს არ ადგამს ჩვენი სახელმწიფო აპარატი მიწაზე, ხალხსა და მის რეალურ მოთხოვნებს ისეა მოწყვეტილი, ამიტომ საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს სისტემა, სადაც ხალხის ნების გამოხატვა პლებისციტითა და რეფერენდუმით ჩვეულებრივ პოლიტიკურ მოვლენად უნდა იქცეს. რამდენჯერაც მქონდა ბედნიერება თუ უბედურება, ჩვენს პარტიებთან ურთიერთობისა, აშკარად ჩანდა, რომ როგორც ეშმაკს საკმევლის, ისე ეშინია ამ რეფერენდუმის.

— და ამ საკითხებამდე როდის მივა ახალი ხელისუფლება — „დაჭერების“ მერე რიგით მეორე მნიშვნელოვანი თემა გადასახადების თუნდაც 10%-ით დაწევაა, თქვენ კი კანონში შესატან ცვლილებებზე საუბრობთ.

— თუ ახალი ხელისუფლება აქამდე მალე არ მივა, მაშინ მალე წავა და ის მოვა, ვინც ამ საკითხებს სისტემურად დაალაგებს! რაც დღეს ხდება, ჩვენს მოსახლეობას რამდენიმე თვეში მობეზრდება.

დასასრული მე-7 გვერდზე

მედიკამენტები ცალობით აღარ გაიყიდება



სამკურნალო პრეპარატები ცალობით, პოლიეთილენის პარკებში ჩაყრილი აღარ გაიყიდება. ჯანდაცვის სამინისტროში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, პარლამენტი არსებული კანონმდებლობის დახვეწაზე უკვე მუშაობს.

ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით, ეს გადაწყვეტილება ძალაში იყო შესული, თუმცა დღემდე კონტროლის მექანიზმი არ არსებობდა. საკანონმდებლო ცვლილებების დამტკიცების შემდეგ კი თითოეული ფარმაცევტული კომპანია და აფთიაქი მიიღებს შეტყობინებას, რომ წამლების გაყიდვა უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული ჰიგიენური ნორმების დაცვით.

პრეპარატების შეძენისას ნებისმიერი სახის მეორადი შეფუთვა შესაბამისი ინფორმაციითა და შტამპით იქნება აღჭურვილი.

„ჯი-ეიჩ-ენი“

დავით ახალაიას, სოსო თოფურიძეს, ოლეგ მელნიკოვსა და გერონტი ალანიას აღმკვეთი, ღონისძიების სახით, პატიმრობა შეეფარდათ

თბილისის საქალაქო სასამართლომ დავით ახალაიას, სოსო თოფურიძეს, ოლეგ მელნიკოვსა და გერონტი ალანიას, აღმკვეთი ღონისძიების სახით, დაუსწრებლად, პატიმრობა შეუფარდა.

როგორც „პირველს“ ახალაიას ადვოკატმა, ირაკლი ზაქარეიშვილმა განუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ პროკურორმა დაცვის მხარის ვერც ერთ კონკრეტულ კითხვას ვერ უპასუხა, სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა, აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე, დააკმაყოფილა.

შეგახსენებთ, რომ თავდაცვის მინისტრის ყოფილ მოადგილეს, დათა ახალაიას, შსს სამინისტროს კუდ-ის დირექტორის მოადგილეს, სოსო თოფურიძეს, ოლეგ მელნიკოვს და გერონტი ალანიას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლის შესაბამისად, დაუსწრებლად წარედგინათ. საქმე ეხება მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს მუშაკთა ცემის ფაქტს. აღნიშნული დანაშაულისთვის დათა ახალაიას ბრალი სსკ-ს 143-ე მუხლის მე-2 ნაწილით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), 144/1 მუხლის მე-2 ნაწილით (წამება) და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება) წარედგინა.

იოსებ თოფურიძეს, გერონტი ალანიასა და ოლეგ მელნიკოვს ბრალი სსკ-ს 144/1 მუხლის მე-2 ნაწილით (წამება) და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება) წაუყენეს.

„პირველი“

ბიძინა ივანიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული ჯანდაცვის უნივერსალური სისტემის შექმნისკენ მოუწოდეს

საზოგადოების ერთი ჯგუფი პრემიერ-მინისტრს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული ჯანდაცვის უნივერსალური სისტემის შექმნისკენ მოუწოდებს. აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის ღირსება ხელშეუვალიას“ მიერ უკვე შექმნილია ონლაინპეტიცია, რომელსაც ხელს ამ იდეის მხარდამჭერები აწერენ.

„დღეს, საქართველოში ჯანდაცვის სისტემა, ძირითადად, პრივატიზებულია და ამ სისტემით სარგებლობა საკმაოდ ძვირია. მოსახლეობის იმ მცირე ნაწილს, რომელსაც სამედიცინო დაზღვევა გააჩნია, მაინც უწევს მომსახურებისთვის თანხის გადახდა, რადგან სადაზღვევო კომპანიები უარს აცხადებენ ხარჯების სრულიად დაფარვაზე. 2009 წელს ჯანდაცვაზე დახარჯული 1.8 მილიარდი ლარის 71 პროცენტს, მოსახლეობის მიერ ჯიბიდან გადახდილი თანხა წარმოადგენდა. სადაზღვევო კომპანიები, ხშირად ასევე არიან საავადმყოფოებისა და კლინიკების მფლობელნი და მათი მთავარი მიზანია, მოგების მაქსიმირება. რაც მიიღწევა, ერთი მხრივ, ექიმთა ანაზღაურების შემცირებით და მეორე მხრივ, მომსახურების ტარიფების გაზრდით. ეს მიდგომა აუარესებს ჯანდაცვის ხარისხს და მრავალი ჩვენგანისთვის მიუწვდომელს ხდის მას“, — აცხადებენ პეტიციის ავტორები და დასძენენ, რომ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა არ უნდა განისაზღვრებოდეს ბაზრის უხილავი ხელით. უსამართლობაა, როდესაც ბაზარი განსაზღვრავს იმას, თუ ვინ იცოცხლებს და ვინ არა.

„ჩვენ გვინდა, მთავრობამ შემოიღოს ჯანდაცვის უნივერსალური სისტემა, რომელიც უფასო იქნება გამოყენების დროს, დაფინანსდება საერთო გადასახადებიდან და უზრუნველყოფილი ჯანმრთელობის ეროვნული სამსახურის (ჯესის) მიერ, რომელიც არამომგებიანი საზოგადოებრივი სტრუქტურა იქნება.

ჩვენ გვჯერა, რომ ეს პირველ რიგში, სამართლიანი გადაწყვეტილება იქნებოდა. ეს ასევე სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისთვის და ეკონომიკური განვითარებისთვის. ჯანმრთელი საზოგადოება უფრო ბედნიერი და პროდუქტიულია. უნივერსალური ჯანდაცვის არსებობის შემთხვევაში, დანაშაული შემცირდებოდა და ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო სტაბილური გახდებოდა.

საქართველოს აქვს ამ მოდელის განხორციელების საშუალება. ჩვენი პირველადი გათვლებით, ჯესის არსებობა 850 მილიონი ლარი დაჯდებოდა წლიურად, რაც ჩვენი ბიუჯეტის, დაახლოებით, 11 პროცენტს შეადგენს. თუ გვინდა დემოკრატიულ და ცივილურ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც მოქალაქეები ურთიერთზე ზრუნავენ და ერთმანეთს პატივს ვცემთ, მაშინ აუცილებელია ჯესის შემოღება. უსამართლობაა, როცა ადამიანი მხოლოდ იმიტომ იტანჯება და იღუპება, რომ მკურნალობისთვის საკმარისი თანხა არ გააჩნია“, — ნათქვამია მათ განცხადებაში.

„მედიანიუსი“

ახლა ველოდები, გახდება „მე-9 არხი“ დამოუკიდებელი ტელეკომპანია თუ ბოლომდე ჩამოყალიბდება პროპაგანდისტულ მანქანად

ამ შემთხვევაში, როგორ უნდა დამაჯეროს ვინმემ, რომ მათ დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკა აქვთ? დავალიანების ჩამოწერის გადაწყვეტილება უკანონო იყო, რომელიც შესწავლილი უნდა იქნას. ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ყოფილი მმართველი გუნდი მფარველობდა კონკრეტულ ტელეკომპანიებს. არ უნდა ხდებოდეს მედიაში პოლიტიკური ფულის შემოსვლა. ეს თავისთავად იწვევს იმას, რომ პოლიტიკოსები ხდებიან სარედაქციო პოლიტიკის განმსაზღვრელები. ივანიშვილმაც და სააკაშვილმაც უნდა შეიგნონ, რომ თავი დაანებონ მედიასა და ბიზნესს და შესაბამისად, პოლიტიკური კორუფციაც გაქრება. ეს მიდგომა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს.

თამარ მელქაძე

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, მედიასივრცეში ახალი გადანაწილების პროცესი დაიწყო. „იმედის“, „რუსთავი 2“-ისა და „რეალტვ“-ს შემდეგ, სკანდალი „მეცხრე არხზეც“ აგორდა. თუმცა ამჯერად, მთავარი მოქმედი გმირები ის ჟურნალისტები იყვნენ, ვინც არხი გენდირექტორის, კახა ბექაურის გადადგომის შემდეგ დატოვეს. „ვერსიამ“ პროცესის შეფასება მედიაექსპერტს ზვიად ქორიძეს სთხოვა:

— მიმაჩნია, რომ ივანიშვილის სურვილი, გათავისუფლდეს არხისგან, მისასალმებელია. ერთი მხრივ, მას სურს, არსებობდეს ძლიერი და კარგი მაუწყებელი, მეორე მხრივ — მას უნდა არხისგან დისტანცირება, რაც უხერხულობას უქმნის, ამიტომაც საზოგადოებას შესთავაზა საკმაოდ პროვოკაციული წინადადება „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და „მეცხრე არხის“ შერწყმის შესახებ, რაც ასე არ იქნებოდა და ამიტომაც მალევე შეცვალა პოზიცია. დღის წესრიგში დადგა არხის გასხვისების საკითხი, მაგრამ ჯერ ასეთი ჯგუფი ვერ მოიძებნა. არც ის ვიცით, რა ფორმით მოხდება გასხვისება, როგორი იქნება დაფინანსება. ეს საინტერესო პროცესია, რომელსაც აქტიურად ვაკვირდებით. ამ საკითხზე ივანიშვილი არაფერს ამბობს. ზოგადად, არხზე რეორგანიზაციის პროცესი ძალიან მტკივნეულად მიდის.

— წამყვანები პირდაპირ ეთერში ტოვებენ არხს, სააგენტო „ინფო 9“-ის ჟურნალისტები ახალ ხელმძღვანელობას დაუპირისპირდნენ, პრემიერი კი აცხადებს, პროცესი ნორმალურად მიმდინარეობსო...

— სააგენტოს მოთხოვნა საერთოდ გაუგებარია. ეს იყო პოლიტიკური პროექტი, რომელიც ნორმალურ ქვეყანაში არც უნდა შექმნილიყო. ის ემსახურებოდა კონკრეტული ამოცანის შესრულებას და მიზანიც მიღწეულია, შესაბამისად, მათი პროტესტი გაუგებარია. რეორგანიზაციის პროცესებზე ვერ დავეთანხმები პრემიერ-მინისტრს. მისთვის შეიძლება ყველაფერი ნორმალურადაა, მაგრამ მე ასე ნამდვილად არ მიმაჩნია. როდესაც ასეთი ტიპის საკადრო ცვლილებები ხდება, სულ ცოტა, მმართველი გუნდი უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული პროცესში. მათ უნდა გაეთვალისწინებინათ თუნდაც იმ ჟურნალისტების პროტესტი, ვინც არხიდან წასვლის სურვილი გამოთქვა, მაგრამ ივანიშვილმა, რომელიც არხის არაფორმალური მმართველია, გადაწყვიტა, ამ ფორმით ეწარმოებინა კომუნიკაცია. თანამედროვე საზოგადოებაში ეს არ არის ნორმალური. შეიძლება მეპატრონემ თქვას, ჩემი ნებაა, რას და როგორ გავაკეთებო, მაგრამ საზოგადოების საქმეა, ჰქონდეს თუ არა ასეთი არხის მიმართ ნდობა. მედიანარმატება ხომ იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სანდოა საზოგადოებისთვის.

— გაჩნდა ინფორმაცია კახა ბექაურის მარეგულირებელ კომისიაში შესაძლო დანიშვნის შესახებ.

— ჭორებს ნამდვილად ვერ გადავამოწმებ, ეს საკმაოდ გრძელვადიანი პროცესია და არ ვარ დარწმუნებული, არჩევანი ბექაურზე გაკეთდეს, შეიძლება იქ შალვა რამიშვილიც დაინიშნოს, ანდა სულაც, სულ სხვა. რეალურად, რა ხდება მინის სასახლეში, რთული საკითხია. ჩემი აზრით, ეს პროცესები მალე მოგვარდება. სამწუხაროა, რომ რეორგანიზაციას ბევრი მაღალკვალიფიციური ჟურნალისტი შეეწირა. ახლა ველოდები, როგორ განვითარდება მოვლენები. გახდება „მე-9 არხი“ დამოუკიდებელი ტელეკომპანია თუ ბოლომდე ჩამოყალიბდება პროპაგანდისტულ მანქანად.

— პრობლემის გადაჭრის მარტივი გზა შესთავაზა ტელეკომპანიის მფლობელებს შორენა შავერდაშვილმა, რამაც საკმაოდ მწვავე რეაქცია გამოიწვია.

— ეს მართლაც, საინტერესო მოდელია. ვერ ვიტყვი, რომ ეს პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზაა, მაგრამ შესაძლებელია. დღეს „მე-9 არხი“ საკმაოდ წამგებიანი პროექტია და მან მზადყოფნა გამოთქვა, აიღოს არხზე პასუხისმგებლობა. თუ რეალურად დადგება არხის გასხვისების საკითხი, აუცილებლად უნდა დადგეს აუდიტის საკითხიც. უახლოეს მომავალში ვაპირებთ, პარლამენტს განსახილველად შევთავაზოთ კანონპროექტი ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ, რაც აუცილებელია მედიის დამოუკიდებლობისთვის. წინა ხელისუფლება ამაზე არ დაგვთანხმდა, მაგრამ ვფიქრობ, ახლა დროა, საკითხი გავააქტიუროთ.

— თქვენი აზრით, ზოგადად, დღეს როგორი ვითარებაა მედიასივრცეში, ნიკა გვარამია — „რუსთავი 2“-ზე, ლუბა ელიაშვილი — „მე-9 არხზე“... როგორ შეიძლება შეფასდეს პროცესი?

— ქართულ ტელეკომპანიებს კიდევ ერთხელ, სრულიად უკანონოდ ჩამოაწერეს მილიონობით დავალიანება.

„მე-9 არხის“ მონიტორინგი აჩვენებს, რომ ჟურნალისტებს ჰქონდათ სურვილი, ეკეთებინათ მიუკერძოებელი პროდუქცია, მაგრამ არხი ბოლომდე მიუკერძოებელი არასოდეს ყოფილა. იმ საინფორმაციო სივრცეში, რაც საქართველოში არჩევნებამდე იყო, შეივსო ალტერნატიული ინფორმაციის გავრცელების ნიშა, რომელიც მაშინდელი ხელისუფლების მიერ იბლოკებოდა.

მხოლოდ მენეჯმენტის შეცვლა კონკრეტულ შედეგებს არ მოიტანს და ბიძინა ივანიშვილი ჩამოყალიბდება ბერლუსკონის ტიპის მმართველად. რაც შეეხება „რუსთავი 2“-ს, მისი დირექტორების ცვლილება, მეპატრონის სრული უფლებაა, მაგრამ ძალიან ცუდი იქნება, თუ გვარამიას მისვლას მხოლოდ ალიბისთვის გამოიყენებენ. არ არის გამორიცხული, მთავარ პროკურატურას გარკვეული კითხვები გაუჩნდეს პროკურორობისდროინდელ მის საქმიანობაზე, რაც არ უნდა შეფასდეს, როგორც დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლა. ვფიქრობ, მისი დანიშვნის ერთ-ერთი ფაქტორი ესეც უნდა იყოს.

— განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, რამდენად შეგვიძლია მედიის თავისუფლებაზე ლაპარაკი?

— სამწუხაროდ, ასეთ სურათს ნამდვილად ვერ ვხედავ. ცუდია, რომ საქართველო ვერა და ვერ თავისუფლდება ამ სენისგან — პოლიტიკოსებმა თავი უნდა დაანებონ ბიზნესს. როცა ხელისუფლებისგან გათავისუფლდება ორივე მხარე, მედიას აღარ დასჭირდება შავის ფულის გათეთრება. იზრუნებს, შექმნას სანდო პროდუქტი, რათა ბიზნესმენი დააინტერესოს. ასე მოქმედებს ბევრი, ვინც დემოკრატიული პრინციპებით ცხოვრობს. იმ ჩაკეტილმა სივრცემ, რომელიც შექმნა სააკაშვილმა საქართველოში, გამოიწვია შავი ფულის შემოსვლა. პოლიტიკაშიც ფული მოვიდა. ისინი იყვნენ მთავარი დამკვეთები. სამწუხაროდ, ამას ბევრი ჩვენი კოლეგა დათანხმდა. დღეს, როცა გაჩნდა სარეკლამო ბაზრის დემონოპოლიზაციის ნიშნები, ვიმედოვნებ, მედიასაშუალებები ამისგან გათავისუფლდებიან და იზრუნებენ ისეთი პროდუქციის შექმნაზე, რომელიც ბიზნესმენს რეკლამის მიწოდებისკენ უბიძგებს. მთავარია, ამისთვის ჩვენც ვიყოთ მზად. სწორედ არსებულმა ვითარებამ გვაფიქრებინა ის, რომ შესაძლებელია ამერიკაში, საფრანგეთსა თუ ბრიტანეთში იყიდო გაზეთში სარეკლამო სტატია.

ვერსიანიუსი

უფლებადამცველთა გაერთიანება პროკურატურას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას სთხოვს

არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანება“ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კონსტანტინე კუბლაშვილს მოსამართლეებზე ზეწოლაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის სასამართლოს თანამშრომლებსა და მანდატურებთან წარდგენისას განაცხადა, რომ ვისაც სურს მუშაობა, იმუშაოს თუ არა და — გათავისუფლებული მანდატურების გზას გაუყვესო.

როგორც „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ, ნიკოლოზ მჟავანაძემ სასამართლოდან გათავისუფლებულ მანდატურებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თბილისის საქალაქო სასამართლოში დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც 5 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამია ფხაკაძემ სამსახურიდან გაათავისუფლა სასამართლოს ის მანდატურები, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ უკანონო მოსმენების, პოლიტიკური ზეწოლის, უკანონო ბრძანებებისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების გამო.

„კუბლაშვილმა მამუკა ახვლედიანის სასამართლოს თანამშრომლებსა და მანდატურებთან წარდგენისას მოსამართლეებს უთხრა, რომ აგერ, არის სასამართლო და თუ სადავო გაქვთ რამე, შემოიტანეთ სარჩელები, მაგრამ რას წაიღებთ აქედან, ამას მერე ვნახავთო. ეს არის აღიარება კუბლაშვილის მხრიდან, რომ ყოველი სასამართლო პროცესი, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ინტერესებში შედის, წინასწარ არის გადაწყვეტილი. ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია, თუ როგორ ერევა სასამართლოს საქმეებში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე“, — განაცხადა მჟავანაძემ და დასძინა, რომ უფლებადამცველთა გაერთიანებამ სასამართლოდან გათავისუფლებული შვიდი მანდატურის სამსახურში აღდგენისა და ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში სარჩელი შეიტანა.

აღნიშნული სარჩელის განხილვა 13 დეკემბერსაა ჩანიშნული, მაგრამ უფლებადამცველთა გაერთიანებაში ვარაუდობენ, რომ ეს პროცესი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უშუალო ზეწოლის ქვეშ ჩაივლის. როგორც მჟავანაძემ აღნიშნა, კოტე კუბლაშვილს სასამართლო სისტემა მონოპოლიზებული აქვს და სწორედ ამიტომ, მის წინააღმდეგ გამოძიების დაწყების მოთხოვნით, უფლებადამცველთა გაერთიანებამ უკვე მიმართა პროკურატურას და გადასცა შესაბამისი მასალები.

მჟავანაძის ინფორმაციით, უზენაესი სასამართლოს დასაპატიმრებლად მხოლოდ გამოძიება არ არის საკმარისი და ამისთვის პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობაა საკმარისი.

„მედიანიუსი“

„სმარტი“ გუდაურში – სიურპრიზი „ვისოლისგან“!

დაირაზმეთ „სმარტის“ ფანებო და გეზი გუდაურისკენ აიღეთ, რადგან სწორედ ამ კურორტზე გახსნა „ვისოლ ჯგუფმა“ 30 ნოემბერს ახალი, რიგით მეათე „სმარტი“. ზამთრის საკურორტო სეზონის დაწყების წინ დაბა გუდაურის ცენტრში, „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურთან „სმარტის“ ნარინჯისფერი ციყვის დაბინავება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ვისოლი“ მომხმარებლის ინტერესებზე ორიენტირებული კომპანიაა.

გუდაურის „სმარტი“ მომხმარებელს გერმანული, ჰოლანდიური, ესპანური, იტალიური თუ ადგილობრივი წარმოების ყოველდღიური მოხმარების უმაღლესი ხარისხის პროდუქტების ფართო არჩევანს სთავაზობს. ტრადიცია არც ამჯერად ირღვევა და ახალ სუპერმარკეტშიცაა განთავსებული „სმარტ კაფე“, სადაც გერმანული და ქართული ტექნოლოგიებით გამომცხვარი უგემრიელესი საკონდიტრო პროდუქტებით გაგიმასპინძლდებიან. აქვე შეგიძლიათ ინტერნეტით (WIFI) ისარგებლოთ. უმაღლესი ხარისხის მომსახურება და სრული კომფორტი ისეთ გარემოს შეგიქმნით, ვშიშობ, ზამთრის დასვენების დღეები „სმარტში“ არ გაატაროთ. მით უმეტეს, რომ ცივ ზამთარში, დიდ სიამოვნებას ცხელი, იტალიური „ტრუჩილოს“ ყავა — „ამერიკანო“, „კაპუჩინო“, „ლატე“, „ესპრესო“... მოგანიჭებთ და თანაც, მხოლოდ 2 ლარად. თუმცა, შეგიძლიათ ყავა მოსახერხებელი შეფუთვით, თუნდაც საბაგირომდეც კი მიიტანოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ სუპერმარკეტში საახალწლო საჩუქრების, სათამაშოებისა და ნაძვისხეების კუთხეც არის. აქვე შეგიძლიათ ისარგებლოთ ბანკომატით და სწრაფი გადახდის აპარატით.

„ვისოლი“ რომ მომხმარებლის უსაფრთხო მგზავრობაზე ზრუნავს, უკვე არავისთვის წარმოადგენს სიახლეს. შესაბამისად, არც ის გაგაკვირვებთ, რომ გუდაურის „სმარტში“ საშუალება გექნებათ, მოცურების საწინააღმდეგო ავტომობილის ჯაჭვები, საავტომობილო ზეთები და ანტიფრიზებიც კი შეიძინოთ.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ რიგით მეათე „ჩემი სუპერმარკეტიც“ შეინარჩუნებს მთელ ქსელში არსებულ დემოკრატიული ფასების პოლიტიკას. ეს ადგილობრივებსაც ძალიან ახარებთ და ცხადია, გაახარებთ დამსვენებლებსაც. გუდაურელები სიხარულს „სმარტის“ გახსნის დღესვე ვერ მალავდნენ. მათი თქმით, ზამთრის კურორტის სტუმრების უმაღლესი ხარისხის მომსახურებისა და მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად, ამიერიდან, საჭირო ნივთებისა თუ პროდუქტების შესაძენად ქალაქში ჩასვლა აღარ მოუწევთ, მაგრამ ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ „სმარტში“, ძირითადად, ადგილობრივები დასაქმდნენ. ახალ სუპერმარკეტში დასაქმებულთა რაოდენობა კი, დაახლოებით 50-ია. თითოეულმა თანამშრომელმა სპეციალური ტრენინგი გაიარა. ისინი დაზღვევითა და უფასო კვებით სარგებლობენ და როგორც აცხადებენ, ხელმძღვანელობამ ისეთი პირობები შეუქმნა, რომ თავს არა დაქირავებულ მუშებად, არამედ კომპანიის მნიშვნელოვან წევრებად მიიჩნევენ. ანაზღაურებითა და პირობებით კმაყოფილი მომსახურე პერსონალი კი, ცხადია, იმის გარანტიაა, რომ „სმარტში“ შესული თითოეული ადამიანი, მომსახურებით აღფრთოვანებული დარჩება.

„ვისოლთან“ პარტნიორობის შესახებ სიამოვნებით ისაუბრა „სმარტის“ მარკეტის გახსნისთვის გერმანიიდან სპეციალურად ჩამოსულმა, ცნობილი გერმანული ბრენდის, „კუხენმაისტერის“ წარმომადგენელმა.

თამარა მელიჰი: „ჩვენ ორი წლის წინ ვცადეთ საქართველოს ბაზარზე ექსკლუზიური პარტნიორის მოძებნა, მაგრამ — ამაოდ. სამწუხაროდ, ვერ შედგა კონტაქტი ისეთ კომპანიასთან, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებსა და მაღალი კლასის სერვისისთვის აუცილებელ პირობებს დააკმაყოფილებდა. ცოტა ხნის წინ გერმანიაში, საკვები პროდუქტების გამოფენაზე გავიცანით „სმარტისა“ და „ვისოლის“ წარმომადგენლები. ისინი ჩვენს სტენდთან მოვიდნენ და თანამშრომლობა შემოგვთავაზეს. საქართველოში ჩამოსვლისა და მათი საქმიანობის გაცნობის შემდეგ სიამოვნებით დავთანხმდით. დღეს უკვე „სმარტი“ „კუხენმაისტერის“ ერთადერთი წარმომადგენელია საქართველოში. მისი საშუალებით ჩვენ მუდმივად მოგამარაგებთ საუკეთესო ხარისხისა და ჯანმრთელი პროდუქტით. მოხარული ვარ, რომ დღეს მათთან ერთად ვარ“.

გუდაურში რიგით მეათე „სმარტის“ გახსნის დღეს „სიმბოლური“ უწოდა „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ. მისი თქმით, „ჩემი სუპერმარკეტის“ ქსელი სამომავლოდაც ელვისებური ტემპით განვითარდება.

სოსო ფხაკაძე: „გვიხარია, რომ ქსელი დინამიურად ვითარდება. გუდაურში წელს ძალიან ბევრ სიურპრიზს ვახვედრებთ მომხმარებელს. მათ სასიამოვნო გარემოში მოუწევთ ვაჭრობა. ასეთი სერვისი აქ დღემდე არ არსებობდა. მოხარულები ვართ, რომ საქართველოს გამორჩეულ ზამთრის კურორტზე როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე ნებისმიერი გემოვნებისა და მოთხოვნის მქონე დამსვენებლებს საშუალებას მივცემთ, ევროპული სტანდარტების, უმაღლესი ხარისხის პროდუქტებითა და მომსახურებით ისარგებლონ. უკვე ბევრი მომხმარებელი ჰყავს „სმარტს“. მომდევნო წელს 7-8 ობიექტის გახსნას ვაპირებთ. ეკონომიკურად მომგებიან ყველა ადგილზე იქნება წარმოდგენილი „სმარტი“. ჩვენ არ გვეშინია თბილისის გარეთ გასვლის, უკვე შვიდი მაღაზია გვაქვს რეგიონებში. ყველაზე მეტად ის გვახარებს, რომ ახალ სამუშაო ადგილებს ვქმნით. „ვისოლ ჯგუფი“ „სმარტის“ სუპერმარკეტების ქსელის მნიშვნელოვან გაფართოებას გეგმავს და 3000-მდე ადამიანს კიდევ დაასაქმებს“.

„ვისოლის“ წარმომადგენლების განმარტებით, უახლოეს თვეებში, „სმარტის“ სუპერმარკეტები თბილისის სხვადასხვა უბნებში, ბათუმში, ქუთაისსა და ფოთში გაიხსნება.

„ვისოლ ჯგუფმა“ „სმარტის“ ქსელის განვითარება 2010 წელს დაიწყო. „სმარტის“ სუპერმარკეტები დღეს წარმატებით ფუნქციონირებს რუსთაველის გამზირზე (ფოსტის ყოფილ შენობაში), აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე.

ნინო ლურსმანაშვილი

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

არჩილ კბილაშვილი: „ლაშა ნაცვლიშვილის ჩემს მოადგილედ გადმოყვანა იმან განაპირობა, რომ პროკურატურასა და შს სამინისტროს მეტი კოორდინაცია ჰქონდეთ“

ახალი ხელისუფლების ტრადიციას პროკურატურაც იზიარებს და „მეტი გახსნილობისთვის“, როგორც უწყებაში განმარტეს, მასმედიას ორ კვირაში ერთხელ შეხვედრას სთავაზობს. პირველი ასეთი შეხვედრა საქართველოს მთავარ პროკურატურაში არჩილ კბილაშვილსა და ჟურნალისტებს შორის 4 დეკემბერს გაიმართა. „ყოველდღე ახალ-ახალი განცხადებები შემოდის, ყოველდღე ახალ-ახალი საქმეები იწყება, ასე რომ, ამ მხრივ, სრული კომფორტი გვაქვს“ , — განაცხადა კბილაშვილმა და ზუსტად ერთი საათის განმავლობაში დაუღალავად პასუხობდა გირგვლიანის, რობაქიძის, მერაბიშვილის, ციხის ბუნტის, ციხის კადრების, პატრულის მოქმედებების, აჰმედ ჩატაევის, ბიუჯეტის, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრება-არდაპატიმრების, კვიციანისა და ყველა სხვა გახმაურებული საქმის გარშემო უკლებლივ ყველა კითხვას, რაც მასმედიის წარმომადგენლებს თავში მოუვიდათ.

როგორც ჩანს, ქვეყნის მთავარი პროკურორი არ იზიარებს აზრს, რომ ქვეყანაში დაპატიმრებები პოლიტიკური ნიშნით ხდება: **„ჩვენს მოტივაციას პოლიტიკური დამღა არ უნდა დაესვას. ყველა დაპატიმრების შემთხვევაში დავდეთ დოკუმენტები, რაც ჩვენი აზრით, დანაშაულის ნიშნების შემცველია. ეს ჩვენი გახსნილობის დამადასტურებელია, პოლიტიკურად მოტივირებულობა ჩაკეტილობას ნიშნავს. ჩვენ კი გვაქვს ამბიცია, რომ რასაც ვაკეთებთ, ამის შესახებ საზოგადოებამ ყველაფერი იცოდეს“,** — ირწმუნებოდა არჩილ კბილაშვილი, რომელმაც ვინ იცის, მერამდენეთ გასცა ერთი და იგივე პასუხი კითხვას — რა ეტაპზეა გირგვლიანის, ვაზაგაშვილისა და რობაქიძის მკვლელობათა გამოძიება: **„გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით, გვაქვს ახალი გარემოებები, ახალი მტკიცებულებებიც არის, გვყავს ახალი მოწმეები, მიმდინარეობს შესწავლა და ყველა პირი, ვინც ამ საქმესთან დაკავშირებულია, მალე დაიკითხება... ვაზაგაშვილს რაც შეეხება, როცა გამოძიება დამთავრდება, ის ყველა ასპექტს მოიცავს: იყო თუ არა მასთან მიმართებაში უფლებამოსილების გადამეტება და გამოიკვეთა თუ არა სხვადასხვა დანაშაულებათა ნიშნები... რობაქიძის საქმეზე პროკურატურამ დაკითხა გვაზავა და ამ მხრივ, რამდენიმე სიახლეა — შესაძლოა, გამოკვეთოს სხვა პირთა დანაშაულიც. ეს უახლოესი დღეების პერსპექტივაა, ამ ეტაპზე, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სავარაუდოდ, გამოიკვეთება თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი“.**

ციხის ცნობილ სკანდალსა და 2006 წლის ბუნტზე განმარტების გაკეთება არჩილ კბილაშვილს კვლავაც მოუწია და მისი თქმით, ე.წ. ციხის თემა, დაახლოებით 10 დღეში გაიხსნება, ხოლო გამოძიება, დიდი ალბათობით, უკვე პასუხისგებაში მიცემული თანამშრომლების გარდა, სხვა პირებზეც გავა. თუმცა, ამჯერადაც, როგორც ყველა მიმდინარე საქმის შემთხვევაში, არაფერი კონკრეტდება: „ციხის თემაზე გამოძიება ახლაც მიმდინარეობს. ბევრი მოვლენა და გარემოება იქნა გამორკვეული, რიცხვის წინასწარ თქმა სარისკო საქმეა, მაგრამ უახლოესი 10 დღის განმავლობაში ციხის თემის გახსნას ვგეგმავთ. პრინციპში, ეს საქმე ჩვენთვის უკვე გახსნილია, უბრალოდ, დეტალებია დასაზუსტებელი... აქტიური გამოძიების ფაზაშია 2006 წლის ციხის ბუნტიც და დიდწილად, იმის მზაობაც არსებობს, ეს თემა სრულიად ახალი კუთხით წარმოჩნდეს. ბუნებრივია, იკვეთება პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა სახელებიც და ამ ყველაფრის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას საზოგადოება წლის ბოლოს მიიღებს“, — განმარტა კბილაშვილმა და საინტერესო კომენტარი გააკეთა ვანო მერაბიშვილზეც. მისი თქმით, მერაბიშვილის დაპატიმრება ყალბი საბუთის ქონაზე და მისი მეშვეობით საზღვრის გადაკვეთაზე გულშიც არ გაუვლია: **„ზოგადად, ამ საქმის ირგვლივ გამოძიება შს სამინისტროს მიერ მიმდინარეობს და ვიცი, რომ სწორედ ისინი გაავრცელებენ ინფორმაციას, როცა ძიებას დაასრულებენ... ჩვენ მერაბიშვილი არასოდეს დაგვიკავებია, საქმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირველად, ინსპექტორს წარედგინა პასპორტი, რომელიც მერაბიშვილისა არ იყო და ამ ფაქტის მიუხედავად, იგი არც წასვლისას დაუბრკოლებიათ, არც ჩამოსვლისას. გამოძიება ამ ფაქტზე ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე მიმდინარეობს და აზრადაც არ გვაქვს, ამ საკითხზე ვინმე დავაკავოთ. გარანტიებს არ ვიძლევით, მაგრამ ამ საქმეზე მერაბიშვილის დაკავება არ მოხდება, იგი დაიკითხა მოწმის სახით, გვაქვს სხვადასხვა ჩვენებები და ამ ჩვენებებიდან რომელს ვიზიარებთ და რომელს არა, შესაძლოა, ამის მიხედვით განისაზღვროს ან არა, ვინმეს პასუხისმგებლობა. თუმცა, ამ გადასახედიდან სწორად არ მიმაჩნია ვინმეს დაპატიმრება“.**

კბილაშვილმა გარკვეული განმარტება თუ მინიშნება, მერიის გარდა, სხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ აპარატების შემოწმებაზეც გააკეთა: **„უკვე ვსწავლობთ თავდაცვის სამინისტროში სახელმწიფო სახსრების გამოყენებას. ამისთვის ძალიან დიდი, კომპეტენტური ჯგუფია შექმნილი და ისინი სამინისტროს მოღვაწეობის დროის მნიშვნელოვან მონაკვეთს შეისწავლიან. ასევე მიდის მერიის ცალკეული სამსახურების შესწავლა და არსებობს ინიციატივა, ამიტომ არც იმას გამოვრიცხავთ, უახლოეს მომავალში განათლების სამინისტროშიც დაიწყოს თანხების ხარჯვის შესწავლა. არ ვიცი, 10 დღე იქნება ამისთვის საჭირო, თუ 2 კვირა, მაგრამ საზოგადოება უკვე გაიგებს ჩვენს მიერ გამოძიებული ფინანსური თუ კორუფციული გეგმების შესახებ“.**

თუმცა, „ვერსიამ“ მისთვის საინტერესო საკითხები **არჩილ კბილაშვილთან** შეხვედრის დასრულების შემდეგ დააზუსტა:

— როდის შესრულდება დაპირება პროკურატურის იუსტიციის სამინისტროდან გამოყოფის შესახებ?

— ვვარაუდობთ, რომ ერთმანეთს უკვე ამ წლის ბოლოს გამოვეყოფით. პროექტი უკვე მზადაა და შესულია პარლამენტში. სახელს არ ვიცვლით, იცვლება ერთი რამ — იუსტიციის მინისტრი, რომელიც დღეს, კანონით, გენერალური პროკურორია და მას ყველაზე მეტი საპროკურორო უფლება აქვს, კარგავს ამ უფლებებს, მათ შორის, უფლებას უმაღლესი თანამდებობის პირთა დაჭერისა. ასევე, კარგავს უფლებას, დანიშნოს პროკურორები და ა.შ.

— კონტროლის თემა რომ გავაგრძელოთ, თქვენს გასაკონტროლებლად თუ გასაძლიერებლად, უწყებაში ლაშა ნაცვლიშვილი გამოუგზავნიათ. რა მიზანს ემსახურებოდა, რეალურად, ნაცვლიშვილის თქვენს მოადგილედ დანიშვნა?

— შემიძლია დავადასტურო, რომ იგი ნამდვილად მუშაობს ჩემს პირველ მოადგილედ, ხოლო ჩემთან დანიშვნის საჭიროება იმან განაპირობა, რომ შსს-სა და პროკურატურას მეტი კოორდინაცია ჰქონდეს.

— ეს რას ნიშნავს, ახალი მონსტრი კეთდება?

— ყველას აქვს უფლება, ის იფიქროს, რაც სურს. ლაშა ერთი თვე შს მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობდა, ეს ორი უწყება, პროკურატურა და შსს კი კოორდინირებულად უნდა მუშაობდეს — ანუ, ეს ნიშნავს: ჩვენ ვახორციელებთ ზედამხედველობას იმ საქმეზე, რასაც იძიებს შსს მაგრამ ზედამხედველობა უფრო ეფექტურია, როცა ხიდი არსებობს. მაგალითად, პროკურორმა უნდა იცოდეს, რა ოპერაციას აწარმოებს შსს-ს გამომძიებელი.

რატომ არ აპატიებს ლევან კალანდაძე „საკუთარი გადაფურთხებულის ალოკვას“ მეგობარ მინისტრებს?

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

„ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი ლევან კალანდაძე დუმილს არღვევს და ახალი ხელისუფლების ერთთვიანი მუშაობის შედეგებს აფასებს. „ახალი მემარჯვენეები“ ცხელი პოლიტიკური პროცესებიდან არ გამქრალან, მართალია, ოფისი შეიცვალეს და პარტიაში რესტრუქტურიზაცია მიმდინარეობს, მაგრამ მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით აკვირდებიან. მეტიც, ლევან კალანდაძემ საკმაოდ მკაცრად აღნიშნა: „არც ერთ მთავრობას არ ვაპატიებთ საზოგადოების მოტყუებას, უსინდისობას, უნამუსობას და საკუთარი გადაფურთხებულის ალოკვას!“ მართალია, „ნაციონალური მოძრაობა“ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოში „ქართულმა ოცნებამ“ ჩაანაცვლა, მაგრამ ქვეყანაში ამით არაფერი შეცვლილა, ყოველ შემთხვევაში, ცვლილება 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე არ ასახულა. მეტიც, „ოცნებისეული“ ბიუჯეტი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს წინამორბედს და საფრთხეებსაც შეიცავს. „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ლევან კალანდაძეს, ბიძინა ივანიშვილის მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრების, ანუ საკუთარი მეგობრების ოპონირება უწევს, რომლებთან ერთადაც, წლების წინ, წინა ხელისუფლებას აკრიტიკებდა:

— ჩვენ ეს „ფილმი“, 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგს ვგულისხმობ, უკვე ვნახეთ, მაგრამ არ ვიცი, რატომაა საზოგადოება ასეთი გულმავიწყი. თავის დროზე, სწორედ ამ საზოგადოებამ აირჩია გამსახურდიას ხელისუფლება და მერე ისე გადააგდო, რომ ერთხელაც არ დაფიქრებულა, რა შეცდომა დაუშვა. შემდეგ ავირჩიეთ შევარდნაძე და გადავაგდეთ, შემდეგ ავირჩიეთ სააკაშვილი 90%-ით და ისევ იგივე შეცდომა გავიმეორეთ. ჩვენ ვერ ვიგრძენით პასუხისმგებლობა, რომ სააკაშვილი ჩვენი აზროვნების, საკუთარი არჩევანის შედეგი იყო და მისი ხელისუფლებაც ჩვენ შევქმენით. თავისთავად, სააკაშვილი, შევარდნაძე, ან გამსახურდია პრობლემა არ ყოფილა, პრობლემა იყო ის სისტემა, რომელიც საზოგადოებამ შექმნა და რომელსაც მაკონტროლებელი ორგანო არ ჰყავდა. სამწუხაროდ, იგივე შეცდომა გავიმეორეთ დღეს და ვქმნით სისტემას, რომელსაც არავინ აკონტროლებს.

— ბატონო ლევან, ამ საზოგადოებამ საკუთარი პასუხისმგებლობის წილი უკვე გაიზიარა ამ პროცესში და შედეგად ეკონომიკური საბოტაჟი მიიღო, ვგულისხმობ საბიუჯეტო ომს თბილისის მერსა და ფინანსთა მინისტრს შორის, რის გამოც თბილისელების მდგომარეობა დამძიმდა — ნოდარ ხადურზე გაბრაზებულმა გიგი უგულავამ დედაქალაქში სოციალური შეღავათები გააუქმა.

— თბილისის მერიასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის დაპირისპირებაში, მთავარი პრობლემა ის არის, რომ ახალმოსულ პოლიტიკურ ძალას საკუთარი თავი ხელისუფლებად მიაჩნია. სამწუხაროდ, ახალი მთავრობა ხელისუფლება არ არის, ეს მხოლოდ მთავრობაა, ხელისუფლების ერთი ნაწილია. ვიდრე ჩვენი ახალი მთავრობა არ გაიაზრებს, რომ ის ხელისუფლების ნაწილია და არა — თავად ხელისუფლება, ვიდრე არ შეეგუება, რომ 2010 წლის თვიმმართველობის არჩევნებში ხალხმა სხვა ხელისუფლება აირჩია, რომელიც 2014 წელს უნდა შეიცვალოს, რაც სულაც არ არის ახალი ხელისუფლების ხუშტურებსა და ნება-სურვილზე დამოკიდებული, ეს პრობლემები სულ იქნება. ჩვენი ახალი მთავრობა, რომელიც ხელისუფლების ნაწილია, უნდა მიხვდეს, რომ მისი საქმე არ არის, ვინ იქნება ამა თუ იმ რაიონის საკრებულოს წევრი. ხელისუფლების გადაცემა იმას არ ნიშნავს, რადგან მე მოვედი, ახლა ყველაფერი უნდა ვმართო! ჩვენ უნდა შევეგუოთ პოლიტიკური პროცესების ისეთ პირობებში მართვას, როდესაც მთავრობაში სხვა პოლიტიკური ძალაა, პრეზიდენტი სხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელია და ადგილობრივ თვითმმართველობაშიც სულ სხვა პოლიტიკური ძალებია. იმის გამო, რომ არჩევნებში გავიმარჯვე, მე ვარ დემოკრატია და სახელმწიფო — ესაა ქვეყანაში ტოტალიტარიზმის გაჩენის საფუძველი!

— 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი პარლამენტში განსახილველად უკვე შევიდა. კონკრეტულად, რა საფრთხე დაინახეთ „ქართული ოცნების“ ბიუჯეტში?

— ბიუჯეტსა და ეკონომიკურ პროცესებზე საუბარი მიჭირს, უხერხულ მდგომარეობაში ვარ, რადგან ბიძინა ივანიშვილის მთავრობის ეკონომიკური ბლოკის მინისტრები და მათი მოადგილეები ჩემი პირადი მეგობრები არიან. „ნაციონალური მოძრაობის“ ბიუჯეტის მთავარი პრობლემა არაგამჭვირვალობა და არატრასფარენტულობა იყო. წლების განმავლობაში ვამბობდით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამული უნდა ყოფილიყო, ამიტომ ველოდი, რომ ის ადამიანები, რომლებიც ახლა ბიუჯეტის სადავეებთან არიან, პირველ რიგში, სწორედ ამაზე გააკეთებდნენ აქცენტს. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციონალური მოძრაობის“ ბიუჯეტი გადაამღერა და ისევ არაპროგრამული ბიუჯეტი წარმოგვიდგინა. „ნაციონალებს“ ბიუჯეტთან მუშაობის ასეთი სტილი ჰქონდათ — ყველა სამინისტროში არსებობდა ეგრეთ წოდებული სხვა ხარჯების მუხლი, ანუ არაკლასიფიცირებული ხარჯები. ეს ნიშნავს ხარჯებს, რომელთა ხარჯვის მიზნობრიობა ბიუჯეტში

„ქართული ოცნება“ პენსიას არ ზრდის, ტარიფებს არ ამცირებს, მოსახლეობას „აბოდებს“ და ძვირადღირებულ „ჯიპებს“ ვერ თმობს!

განსაზღვრული არ არის. ახალი მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრებმა ბიუჯეტიდან ეგრეთ წოდებული სხვა ხარჯების მუხლი ამოიღეს და ცალკე ფონდი გააკეთეს, რომელსაც „მთავრობის ახალი ინიციატივების ფონდი“ უწოდეს. შინაარსობრივად, არაფერი შეცვლილა და 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით, 900 000 000 ლარზე მეტი არაკლასიფიცირებული, გაუშიფრავი ხარჯი მაინც დარჩა, რომელიც კაციშვილმა არ იცის, რაში დაიხარჯება.

— თქვენი მეგობარი, ნოდარ ხადური გიპასუხებდათ, რომ მთავრობის ახალი ინიციატივები გაშიფრულია, რადგან 900 000 000 ლარამდე თანხა დევნილთა სახლების მშენებლობას, ინფრასტრუქტურულ პროექტებს, განათლებას, ჯანდაცვასა და სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარდება.

— როგორ გგონიათ, იმ ეგრეთ წოდებულ სხვა ხარჯებს, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ბიუჯეტში იყო ჩადებული, არ ახლდა დანართი, რისთვის უნდა დახარჯულიყო? ინფრასტრუქტურის სამინისტროს თავისი ბიუჯეტის სხვა ხარჯების მუხლში ეწერა, რომ ეს თანხა ინფრასტრუქტურის განვითარებაზე უნდა დახარჯულიყო, განათლების სამინისტროს არაკლასიფიცირებულ ხარჯებსაც ყოველთვის ეწერა, რომ ეს იყო განათლების სისტემის რეორგანიზაციის ხარჯები და ასე შემდეგ. ეს არის ზოგადი, ანუ როგორც ამერიკელებს უყვართ, ეგრეთ წოდებული ბლა-ბლა-ბლა, რომელიც ამ ხელისუფლებამაც გადმოიღო „მთავრობის ახალი ინიციატივების ფონდში“. მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრებმა ყველაზე კარგად იციან, რას ნიშნავს პროგრამული ბიუჯეტი, მაგრამ ის პათოსი, რომლითაც საზოგადოებას ესაუბრებიან, მაპატიეთ და, პროფესიონალების მიერ ნაკლებად პროფესიონალი საზოგადოების „დაბოლებაა“.

— „ნაციონალური მოძრაობის“ ბიუჯეტის პრობლემა ის იყო, რომ ვერასოდეს გავიგებდით, რამდენი ცალი „ჯიპი“ იყიდა ამა თუ იმ სამინისტრომ, თორემ 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც 600-გვერდიანი დოკუმენტი იყო, 200-გვერდიანი დანართი ახლდა, სადაც ყველა ხარჯი არა, მაგრამ ხარჯების ნაწილი გაშიფრული იყო.

— რამდენი „ჯიპი“ იყიდა ამა თუ იმ უწყებამ, ამას 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტშიც ვერ ნახავთ. ჩამოიარეთ სამინისტროები და „ქართული ოცნების“ დეკლარირებული „ქამრების შემოჭერის“ შედეგებსაც გადაანწყდებით, 50 000-60 000 აშშ დოლარიანი ახალი „ჯიპების“ სახით. გარწმუნებთ, რომ აბსოლუტურად ყველა სამინისტრომ შეიძინა „ლენდკრუზერ 200“ მარკის ახალთახალი „ჯიპები“.

— იმის თქმა გინდათ, რომ დაპირებების შეუსრულებლობა „ქართული ოცნების“ მთავარი პრობლემაა?

— „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებები საკმაოდ ლამაზად გამოიყურებოდა, მიმზიდველი და მაცდური იყო. ვგულისხმობ სოციალურ დაპირებებს — საყოველთაო დაზღვევას, მაგრამ მოდი, ამ ბიუჯეტის მეხუთე მუხლში ვნახოთ, სად არის საყოველთაო დაზღვევა. სამწუხაროდ, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ახალი პროექტი, მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევას არ ითვალისწინებს. რაც შეეხება მეორე მნიშვნელოვან სოციალურ დანაპირებს — საპენსიო უზრუნველყოფას, ჯერ ერთი, პენსია 220 ლარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ პროგრამაში წერია, რომ პენსია საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდება. შესაძლოა, ხელისუფლებას დავეთანხმოთ კიდეც, რომ 1 სექტემბრიდან პენსია 150 ლარამდე გაიზრდება, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, ახლა პენსია 140 ლარია. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად, 2013 წლის 1 სექტემბერს პენსია მხოლოდ 10 ლარით იზრდება. სხვათა შორის, დღეს აღარავინ საუბრობს იმაზე, რომ ამ ხელისუფლებას საარსებო მინიმუმის დათვლის ახალი მექანიზმები უნდა შემოეღო, რაც პენსიის 220, ან 230, გნებავთ, 250 ლარამდე ზრდის საფუძველი იქნებოდა. ამ მეთოდოლოგიის შეცვლას ეკონომიკის მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი სჭირდება, რომლის მიხედვით, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური ახალ საარსებო მინიმუმს დაიანგარიშებს. ამ პროცედურას მხოლოდ ერთი კვირა სჭირდება, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ამის შემდეგ ფინანსთა მინისტრი ვალდებული იქნება, ეს ყველაფერი ბიუჯეტში ასახოს. სამწუხაროდ, ვეჭვობ, რომ ამ ეტაპზე, ახალ ხელისუფლებას არ უნდა საარსებო მინიმუმის ახლებურად დაანგარიშება და პენსიის 220 ლარამდე ზრდა.

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი საკითხია სოფლის მეურნეობის განვითარების მილიარდიანი ფონდი, რაც საკმაოდ სახიფათო თემაა. „ქართული ოცნება“ მოსახლეობას წინასაარჩევნოდ პირდებოდა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ფონდს შექმნიდა, მაგრამ ბიუჯეტის კანონი ამას არ ითვალისწინებს. ხელისუფლებამ საკუთარი დანაპირების ტრანსფორმირება განახორციელა და ახალი სახით წარმოგვიდგინა ეს ფონდი, რომელიც ბიუჯეტიდან კი არა, კერძო სტრუქტურების შემოსავლებიდან შეივსება. მაპატიეთ, მაგრამ თუ ამ ფონდმა არ იმუშავა, საზოგადოებამ პასუხი ვის უნდა მოსთხოვოს, კერძო სტრუქტურებს? ეს ხომ ნონსენსია, რადგან ამ თვალსაზრისით, კერძო სტრუქტურას საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება არ გააჩნია. საბოლოო ჯამში, ერთი მხრივ, გარკვეული დაპირებები მივიღეთ, რომელმაც „ქართული ოცნების“ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება განსაზღვრა და მეორე მხრივ — ამ პირობების შეცვლილი, დამახინჯებული და ინტერპრეტირებული ასახვა სახელმწიფო ბიუჯეტში. დენის ტარიფზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თურმე, ახლა „აღმოაჩინეს“, რომ დენის ტარიფის შემცირება არ შეგვიძლია, ეს უნამუსობა, უსირცხვილობა და უსინდისობაა! ეს ყველაფერი შეიძლება აიხსნას რამდენიმე პირობით, პირველი — არაკომპეტენტურობით. ვერ გათვალეს რაღაცები და საზოგადოება ამას იმკის; მეორე — ტყუილით. წინასწარ იცოდნენ, რომ ამას ვერ შეასრულებდნენ, მაგრამ პიარის გამო, საზოგადოებას მაინც შეპირდნენ და მესამე — უპასუხისმგებლობით, რაც არაკომპეტენტურობისა და ტყუილის კომბინაციაა, ანუ იცოდნენ, რომ არაფერი გამოვიდოდა, დათვლილიც არ ჰქონიათ და მაინც შეპირდნენ საზოგადოებას, რაც 2013 წლის ბიუჯეტში მაინც ვერ ასახეს.

— ბატონო ლევან, კომუნალური ტარიფის შემცირების რესურსი რეალურად არსებობს?

— ეს ძალიან ფაქიზი თემაა, ენერგეტიკოსი არ ვარ და ამ თემას დეტალებში ვერ განვიხილავ, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ დენისა და ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების გაცილებით დიდი რესურსი არსებობს, ვიდრე „ქართული ოცნების“ დაპირებული, 10%-იანი შემცირებაა. ეს რესურსი არსებობს არა გენერაციის, არამედ — დისტრიბუციის ხარჯზე. რატომღაც მეჩვენება, რომ ენერგეტიკის ახალი მინისტრი ძალიან კარგად ირგებს იმ მდგომარეობას, რომელშიც ყოფილი მინისტრი და თუნდაც, წინა ხელისუფლება იყო. ყოველთვის ვამბობდით, რომ ენერგეტიკაში არსებობს ბუნებრივი მონოპოლია, ენერგეტიკის სფერო კი ხელისუფლებაში მყოფი პარტიის ხაზინის შევსების ერთ-ერთი წყაროა. დღეს რატომ არავინ საუბრობს იმაზე, რომ რადგანაც ტარიფი არ მცირდება, ეს ხელისუფლებაში ახლად მოსული პოლიტიკური ძალის პარტიული ხაზინის ან თანამდებობის პირების პირადი ბიუჯეტების შევსების წყაროა? ტარიფის ძალიან დიდი კომპონენტი ენერგეტიკის დისტრიბუციის ნაწილში ხელოვნურადაა გაბერილი, ესეც ეგრეთ წოდებული გაუმჭვირვალე, არაკლასიფიცირებული ხარჯებია, რომელიც კაციშვილმა არ იცის, რაში მიემართება, რეალურად. საზოგადოებას ყოველთვის ჰქონდა საფუძვლიანი და ობიექტური ეჭვი, რომ დანაკარგების თემა დისტრიბუციის კომპონენტში საკმაოდ გაბერილი იყო. სწორედ ეს არის ტარიფის ის ნაწილი, სადაც „ძაღლის თავია დამარხული“ და რაც მაღალი თანამდებობის პირებისა, თუ პარტიული კეთილდღეობის „ქერის ორმო“ იყო ყოველთვის. ეჭვი მაქვს, რომ ენერგეტიკის სამინისტროს ახალმა გუნდმა, ამ თვალსაზრისით, ძალიან კარგად აუღო ალღო, რას ნარმოადგენს მაღალი ტარიფი.

— როგორც ჩანს, სექტემბერ-ოქტომბერში ბიუჯეტის საგადასახადო ნაწილი არ შესრულებულა, კომპანიებმა და ორგანიზაციებმა გადასახადებს თავი აარიდეს, რის გამოც ქვეყანას საკმარისი ფინანსური რესურსი აღარ გააჩნია და შესაბამისად, „ოცნება“ დანაპირებს ვერ ასრულებს, ასეა?

— დიახ, რადგან როგორც ჩანს, ქვეყანაში საგადასახადო შემოსავლების კუთხით, სერიოზული პრობლემაა. წინასაარჩევნო პერიოდში, ჯერ კიდევ აგვისტოდან მოყოლებული, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური პასიურობდა, რაც წინა ხელისუფლების პოზა იყო, თითქოს საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით, ბიზნესის წნეხი შეასუსტა და თავის ნებაზეც კი მიუშვა. ოპტიმალური შემოსავლების მიღების კუთხით, სავარაუდოდ, ნოემბერ-დეკემბერშიც პრობლემები გვექნება. არ მომეწონა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლების განცხადება, რომ ისინი საკონტროლო შესყიდვების გამკაცრებას იწყებენ, ამაზე საუბარი სირცხვილია, რადგან ვინ, ვინ და, ამ ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ ასეთი ტიპის გამკაცრების გამო, ჯოხი წვრილი და საშუალო ბიზნესის კისერზე ტყდება. როგორც წესი, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები ძალიან კარგად აწყობენ კომუნიკაციას ხელისუფლებასთან და საკუთარი ლობისტური თუ ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, მათ პრობლემები არასოდეს ექმნებათ.

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

რას პასუხობენ ექსპრემიერ ზურაბ ნოღაიდელს ყოფილი თანაგუნდელები და ყოფილი ღიღერის რა სისხლის სამართლის დანაშაულებზე საუბრობს სერგო ჯავახიძე

რამდენიმეხნიანი დუმილის შემდეგ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. მართალია, ნოღაიდელი თბილისში კულუარულად არაერთხელ იყო ჩამოსული, თუმცა ოფიციალურად, არც არავის შეხვედრია და არც პოზიცია დაუფიქსირებია. მეტიც, იგი არც იმ სასამართლო პროცესებს ესწრებოდა, სადაც ყოფილი თანაგუნდელები პარტიიდან წაღებული ათობით ათასი ლარის დაბრუნებას ედავებოდნენ. ერთ-ერთი უკანასკნელი, რაც „ვერსიისთვის“ გახდა ცნობილი, ის იყო, რომ ნოღაიდელმა აღსრულების ბიუროს დაასწრო და ვიდრე სასამართლოს ძალით მთელ ქონებას დაუყადაღებდნენ, ყველაფერი ცოლის სახელზე გადააფორმა. 3 დეკემბერს გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე ექსპრემიერი ჯერ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს გამოეხმაურა, შემდეგ თავისი მიზნების შესახებაც გვამცნო.

სერგო ჯავახიძე: „დღესაც ჩავატარებდი ყრილობას და მეორედ გადავაყენებდი ნოღაიდელს!“

„სააკაშვილს ჰგონია, რომ შეინარჩუნებს ტელევიზიების ნაწილს, ბიზნესების ნაწილს, სასამართლოს, ადგილობრივ თვითმმართველობებს და ექნება შესაძლებლობა, ხელისუფლებაში მობრუნდეს, ამიტომ, ვიდრე ეს ხიფათი საქართველოზე დამოკლეს მახვილივით იქნება დაკიდებული, მუდმივად საფრთხის ქვეშ ვიქნებით. შესაბამისად, დანაშაულების დამკვეთებმა და ორგანიზატორებმა დროულად უნდა აგონ პასუხი მთელი ქვეყნის წინაშე“, — განაცხადა ნოღაიდელმა დაახლოებით, იგივე ტონით, როგორითაც 2009 წელს მიხეილ სააკაშვილისთვის ხელ-ფეხის მიმტვრევას აპირებდა. რაც მთავარია, ისიც ირკვევა, რომ ნოღაიდელი პოლიტიკაში დაბრუნებას არ გეგმავს, არც ბიზნესგეგმების შესახებ უთქვამს რამე, სამაგიეროდ, შეგვატყობინა, რომ იმ პოლიტიკური პარტიის დაბრუნებას აპირებს, რომლითაც დავითაშვილ-ძიძიგურთან ერთად, 2010 წელს ადგილობრივ არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და რამდენიმე თვეში, საკუთარმა თანაგუნდელმა სერგო ჯავახიძემ ყრილობა მოუწყო და თავმჯდომარეობიდან გადააყენა. მისი თქმით, ნოღაიდელმა ახალ მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს ორი მნიშვნელოვანი საქმის მასალებიც მიაწოდა ზურაბ ადეიშვილისა და ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ:

ზურაბ ნოღაიდელი: „პოლიტპატიმრების სიაში, მადლობა ღმერთს, ჩემს გამო დაპატიმრებული 3 ადამიანი შეიყვანეს. დარწმუნებული ვარ, ისინი ახლო მომავალში გათავისუფლდებიან და რეაბილიტირებულნი იქნებიან. ორ მნიშვნელოვან საქმესთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურას მივმართეთ. ერთი საქმე ეხება პოლიტიკურ პატიმარს, პაატა კაიკაციშვილს, რომლის რეაბილიტაციაც აუცილებლად უნდა მოხდეს. საქმის დეტალები დაახლოებით ასეთია: მას ორმა პოლიციელმა ჩაუდო ნარკოტიკი და კიდევ 4 პოლიციელი ცრუ მოწმე გახლდათ, თუმცა ცხადია, ისინი საკუთარი ინიციატივით ვერ იმოქმედებდნენ. ჩვენთვის ნათელია, რომ ისინი კონკრეტული პირების მიერ მიცემული დავალებით მუშაობდნენ. ეს პირები ქობულეთისა და აჭარის პოლიციის ხელმძღვანელები არიან. თავის მხრივ, ეს ორი პირი, რა თქმა უნდა, მაშინდელი შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის დავალებით მოქმედებდა. მეორე საქმე შეეხება მოქმედებებს ჩემს წინააღმდეგ — დაწყებული „სამართლიანი საქართველოს“ რეგისტრაციით იუსტიციის სამინისტროში, დასრულებული უკანონო ყრილობის ჩატარებით. ეს პარტია რეგისტრირებულია შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც დღესაც იუსტიციის სამინისტროში მუშაობს. აქაც მნიშვნელოვანია ის ფაქტი, ეს ადამიანი საკუთარი შეხედულებითა და გადაწყვეტილებით ჩადიოდა ამ უკანონობას, თუ მიიღო შესაბამისი დავალება თავისი უშუალო უფროსის, იუსტიციის მაშინდელი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილისგან. ამ საქმის დეტალური გამოძიება მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენთვის, რადგან ჩვენთვის ისედაც ნათელია, ვის რა ინტერესი ჰქონდა, არამედ იმის გასარკვევად, რეალურად, ვინ იყო ამ დიდი კონსპირაციის შემკვეთი. ამ საქმის დეტალური განხილვა, დაწყებული სასამართლო გადაწყვეტილებებით, დასრულებული სხვადასხვა ადამიანების ამ პროცესებში მონაწილეობით, მართლა მნიშვნელოვანია. გასარკვევია, ეს ადამიანები იყვნენ თუ არა პოლიციისა და „ნაციონალური მოძრაობის“ აგენტები პარტიაში, როგორც ჩვენ გვგონია. საქართველოსთვის ამ კითხვებზე პასუხის მიღება ძალიან მნიშვნელოვანია! იმ აგენტებს, რომლებიც მოქმედებდნენ გუშინდელ მთავრობასთან, კვლავაც არ უნდა მიეცეთ სამოქმედო არეალი ახალ მთავრობაში — ამას, ერთხელ და სამუდამოდ, წერტილი უნდა დაესვას! დარწმუნებულიც ვარ და ოპტიმისტურადაც ვარ განწყობილი, რომ სიმართლე გაირკვევა. დღეს თქვენს წინაშე ვარ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საქმეები ბოლომდე მივიდეს, არამედ მინდა, ყურადღება ამ საქმეების საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე გავამახვილო — ეს საქმეები იყო ორგანიზებული და დაკვეთილი, მინიმუმ, ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის მიერ და თუნდაც ამ საფუძვლიან ეჭვებსაც უნდა გაეცეს პასუხი... პარტიის დაბრუნებისთვის ბრძოლას რომ ვაპირებ, ეს თავისთავად ნათელია, ამის შესახებ შეტანილი სარჩელის ერთ-ერთ ნაწილშიც

გვაქვს საუბარი, თუმცა პოლიტიკურ აქტივობას უახლოეს პერიოდში ნამდვილად არ ვაპირებ!“

„ვერსიამ“ კი ის გაარკვია, რას აპირებს მეორე მხარე — **სერგო ჯავახიძე**, რომელიც დღეს მოძრაობა „თავისუფალი საქართველოსთვის“ ლიდერია და პარტიის დათმობა ყოფილი „ბოსისთვის“, ბუნებრივია, მის გეგმებში არ შედის:

— ნოღაიდელის ორივე განცხადებაზე მინდა კომენტარის გაკეთება — ე.ი. პირველი ნაწილიდან ჩანდა, რომ არიქა, ნოღაიდელი ამნისტიას მიესალმება და პატიმრების ბედმა შეაწუხა ამ ბოლო დროს. უკანასკნელი ორი წელი მაგას არაფერი აწუხებდა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პრემიერ-მინისტრობის პერიოდში ძალიან ბევრჯერ ჰქონდა შანსი, ამნისტიის შესახებ ინიციატივით გამოსულიყო და არ გაინტერესებთ, დღეს რატომ მოუნდა ეს ყველაფერი? რაც შეეხება მეორე ნაწილსა და პარტიას — დღესაც ჩავატარებდი ყრილობას და მეორედ გადავაყენებდი ნოღაიდელს! აქ მეორე საკითხიცაა: იუსტიციის სამინისტროზე რომ ლაპარაკობს, რა შეხება აქვს იუსტიციას პარტიის ყრილობასთან?

— ის, რომ შერჩევითი სამართლის პირობებში, შეეძლოთ, თქვენთვის პარტიის დარეგისტრირების უფლება არ მოეცათ და ამის საბაბს ათასჯერ გამონახავდნენ.

— კანონი ასეთია — მე ვარ პარტია და უნდა მივმართო იუსტიციის სამინისტროს, რომელიც ვალდებულია, დამარეგისტრიროს. ხოლო თუ რაიმე ხარვეზი მაქვს, დამიდგენს, შევასწორებ და თავიდან დაარეგისტრირებს. დარეგისტრირების გარდა, სხვა როლი იუსტიციას, უბრალოდ, არ აქვს! როგორ ფიქრობთ, ხალხი იყო ყალბი, დელეგატები, პოლიტიკოსები თუ ვინ?.. თუ დავალიანება და ვალდებულებები არ ჰქონდა ნოღაიდელს ამ პარტიაში — მაინც რა იყო მისთვის ამ პარტიის ყრილობაში გაუგებარი?! თანხაც, პარტიის ვალი, ჯერ ბოლომდე არ ამომიღია, ამაზე კიდევ ვილაპარაკებთ, რადგან ჯერ ჩვენი კუთვნილი ფულის 30%-მდე ამოვიღეთ. ყველა ძალიან კარგად იცნობს ნოღაიდელს — ჭიათურა-მანგანუმისა და ზესტაფონის ფეროს გასხვისების ხარჯზე ჩაიდო ფული ჯიბეში და ყველაფერი იღონა, რომ რეგრესული პენსიები არ გაეცა. 2015 წლამდე ენერგოტარიფი რომ ვერ გადაიხედება, ამ საბუთსაც ხელი სწორედ ნოღაიდელმა მოაწერა და ამით ფულიც იშოვა. კიდევ ბევრი მსგავსი მასალა არსებობს მის წინააღმდეგ. ამ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ — 7 ნოემბერს სწორედ ის იყო პრემიერი, როცა გამოვიდა და დემოკრატიულად შეაფასა ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. საგანგებო მდგომარეობაც მან გამოაცხადა. ასე რომ, ჯერ ამ საკითხებზე აგოს პასუხი, სფერო არ არის დარჩენილი, სადაც ნოღაიდელზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საქმის აღძვრა არ შეიძლება. ეგ ვისზე უნდა ლაპარაკობდეს, როცა ორ წელიწადში გაგვიმილიონერდა პრემიერ-მინისტრი. ახლა ასეთი ადამიანი ვინმეს მხარდაჭერით თუ სარგებლობს ამ ხელისუფლებაში, ყოჩაღ!

— მაინც ვისი მხარდაჭერით სარგებლობს, როგორ გგონიათ?

— ხმაზე ვერ შეატყვეთ? მართალია, ყველა იმ პოლიტიკური ძალის ლიდერი, ვინც ახლა კოალიციაში ან მის გარეთაა, მას ლანძღავდა და ახლა რატომ უნდა ვიფიქრო, რომ პოზიციები შეიცვალა, არ ვიცი, მაგრამ რაღაცის იმედი რომ აქვს, ხომ ფაქტია?! თავი დავანებოთ ალასანიასთან, „რესპუბლიკელებსა“ და სხვებთან მის პრობლემებს, ალბათ, ახლა ეგ დავითაშვილსა და ძიძიგურსაც მოსთხოვს „ეროვნულ საბჭოში“ აღდგენას!

— მთავარი თემა ისაა, რომ თქვენს წინააღმდეგ პროკურატურაში შეიტანა სარჩელი — რა შანსები აქვს, რომ პარტია დაიბრუნოს და თქვენ როგორ აპირებთ მოქმედებას?

— ნოღაიდელი, მგონი, ისევ ხელისუფლებაშია და ჯერ ვერ მოიხსნა პრემიერის მანტია! შეიძლება, ასე იმიტომაც ლაპარაკობს, თორემ მაგას შანსი აქვს ნული! ეგ კაცი ილუზიებშია დღეს და რა ვუყოთ? ე.ი პარტიების ისტორიაში ერთადერთ ფაშისტურ პარტიას უჩივლეს – ახლა ტიპი პარტიას რაღაცას უჩივის და ხომ გეუბნებით, არაადეკვატურია-მეთქი. რაც მე ჩამოვთვალე, იმ თემებზე ძალიან ბევრი საქმე არსებობს და მათ გარშემო მუშაობას ვაგრძელებ. ესაა ჩემი გეგმაც!

სოსო მანჯავიძე: „თუ ამნისტიას ისე დაახეიბრებენ, როგორ ახლა ახეიბრებენ, დაიწყება ფართომასშტაბიანი გამოსვლები ციხიდან და შედეგები ძალიან ცუდი იქნება!“

მე-3 გვერდიდან

„ნაციონალების“ წყალობით, ქვეყანაში აღარც ფინანსური და ეკონომიკური და აღარც მოთმინების რესურსი არსებობს, გეოპოლიტიკური რესურსიც აღარ აქვს ამ კურსს, ან სულაც უკურსობას! „ბენზინი“ დამთავრდა, ახლა ინერციით ვივლით დაღმართზე და იქ გავჩერდებით, სადაც გავივაკებთ. ეს „დაჭერები“ დიდხანს ვერავის გაართობს.

— „დაჭერებიც“ აღარაა გასართობი — გუნავა-გენაძე გასაგებია, მაგრამ რეალურად, ყველა ხომ მერაბიშვილი-ადეიშვილის დაპატიმრებას ითხოვს? ამ დროს, ერთი ყალბი საბუთით ხელში გაუშვეს, როგორც ამბობენ, მეორეს — ჯერჯერობით, დარღვევაც ვერ უპოვეს.

— უკაცრავად, მაგრამ ვანო მერაბიშვილს მე ერთ დღეში, უფრო სწორად, ერთ საათში დავიჭერ!

> **მე თვითონ ვიცი მისი პირადი საქმეები და რა ვერ დათვალეს ეს ყველაფერი, ჩემზე კარგად არ იციან?! ან ვანოს საქმეებს რა ნივთმტკიცება უნდა, მაგალითად, ჩვენთან მოდის ხოლმე ადამიანი, ვინც მუხროვანის აჯანყების დროს, პირადად ვანო მერაბიშვილმა სცემა გლოკის ტიპის იარაღით, სულ თავში ურტყა და დაასისხლიანა! კარგი, ავიღოთ თუნდაც 7 ნოემბერი — ყველამ ვნახეთ უნიღბო თანამშრომლები, რომლებიც ათი ერთზე მიდიოდნენ და უიარაღო, ძირს დაყრილ მოქალაქეებს სასიკვდილოდ სცემდნენ. მათი სახეები კადრებში ჩანს, ამის მერე კი ეს ხალხი დაწინაურდა. ამ დროს შს მინისტრი ხომ ვანო მერაბიშვილი იყო, ანუ ერთი, ძალის გადამეტების მუხლი უკვე არის, ხომ? რატომ არ დასაჯა ეს ხალხი, როცა მინისტრი იყო? — ეგეც მეორე, სამსახურეობრივი გულგრილობა. რატომ არ გაუშვა ისინი სამსახურიდან ძალის გადამეტებისთვის? ნაცვლად ამისა, დააწინაურა — ეგეც მესამე, დანაშაულის წახალისება.**

ხალხო, რა ლევან მაისურაძე, რის ყალბი პასპორტი, ვანოს დაჭერა რომ გინდოდეს, მარტო ამ ვიდეომასალებს დაუდებ და ერთ დღეში დაიჭერ!

— აბა, რა არ ჰყოფნით, პოლიტიკური ნება?

— მოკლედ, თუ ხელისუფლება ამ პირველ პირებს ძალიან მალე არ დაიჭერს, ასეთ გართობას ხალხი ძალიან მალევე სხვა გართობით შეცვლის. ანდა, თუ ამნისტიას ისე დაახეიბრებენ, როგორც ახლა ახეიბრებენ, დაიწყება ფართომასშტაბიანი გამოსვლები ციხიდან და შედეგები ძალიან ცუდი იქნება!

— ამასობაში, „წინააღმდეგობის მოძრაობას“ გაცხადებული გქონდათ, რომ თქვენი შექმნის მიზანი „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხება იყო, დამარცხდა და ამით ამოიწურა თქვენი ფუნქცია, როცა ახალი რეჟიმის შეცდომებზე საუბრობთ, თუ მათ არ სჭირდებათ სამოქალაქო კონტროლი?

— ახლა წინააღმდეგობის მოძრაობის ბაზაზე, ვაკეთებთ პარტიას „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“. გახსოვთ, ჩვენს ვსაუბრობდით საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებაზე, ასევე, მოვითხოვდით მოსახლეობის აღწერას და გვქონდა ინფორმაციული ბრძოლა ქვეყნის გარეთ, რითაც საკაშვილმა და მისმა ბანდამ გამოუსწორებელი ზარალი მიიღო — ეს იყო ინფორმაციული დარტყმა, ციხის კადრებს ვგულისხმობ, რასაც ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაუძლებდა!

— ვერც გაუძლო, მაგრამ როგორ ჩანს, საგარეო ფრონტზე დაშვებული შეცდომები ახლა რეალობას სწრაფად ცვლის.

— ეგ ერთ-ერთი მძიმე თემაა —

> **რასაც საგარეო ფრონტზე ახალი ხელისუფლება აკეთებს, საერთოდ პარადოქსი, კომედია, სასწაული და საშინელებაა! იმდენი მოახერხეს, რომ ორ თვეში რეაბილიტაციის საშუალება მისცეს ძირსდანარცხებულ „ნაციონალებს“. ესეც სისტემური შეცდომებია. ბარემ, ვიტყვი ახლა, რაც სათქმელია — სინამდვილეში, არანაირი დემოკრატიული არჩევნები აქ არ ჩატარებულა.**

> **უბრალოდ, ივანიშვილი და მისი ხალხი მოვიდა და იმ ციხეში შევიდა, სადაც მეციხოვნეები აღარ იდგნენ! მერე გაყალბებული 20 პროცენტი იზეიმა „ქართულმა ოცნებამ“ და სააკაშვილს ხელში იარაღი მისცა, რომ ის დემოკრატია და ასეთივე არჩევნები ჩაატარა. ჰოდა, ამ დიდ ტყუილში რომ შეყვები ადამიანს, არც ის ალიყურები უნდა გაიკვირვო, რასაც დასავლეთი გიგზავნის.**

— მერე, ამ ეიფორიულ ფონზე, სწორი დროა პოლიტიკაში ახალი პარტიით შემოსვლისთვის? ან, რა პოზიცია გექნებათ, ოპოზიციური?

— „ნაციონალები“ კი წავიდნენ, მაგრამ ცვლილებები იმ საკითხში, რაზეც ახლა ვსაუბრობდით, არ გატარებულა, ჩვენ კი ამაზე საჯაროდ ლაპარაკი ჯერ კიდევ 2010 წელს, „წინააღმდეგობის მოძრაობიდან“ დავიწყეთ. ამის დრო ყოველთვის არის, თუმცა ის არასწორი აზრი, რომ ახალი პარტიის გაჩენა პოლიტიკურ სივრცეში ავტომატურად, ან ხელისუფლების დანამატი უნდა იყოს, ან მის წინააღმდეგ გაჩენილი, უნდა დავივიწყოთ — ჩვენ არც პოზიცია ვიქნებით, არც ოპოზიცია. პარტიის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი იქნება, ხოლო მე — გენერალური მდივანი. ის საკითხები, რაზეც ყურადღებას გავამახვილებთ, უკვე ვახსენეთ — ჩვენ მიუღწევლად არ მიგვაჩნია, ხალხმა გადაწყვეტილებებში მონაწილეობა რეფერენდუმის გზით მიიღოს.

— ე.ი. არჩევნებამდე „შუაგაკრებილთა“ რიგებში არ ყოფილხართ. სისტემურ ცვლილებებზე რომ საუბრობთ, ეს ძალიან მაღალი თამასა ხომ არ არის ახლადშექმნილი პარტიისთვის?

— მინდა გითხრათ, ჩვენ ამ პროცესს შუაში კი არა, გვერდიდან მოვყვებოდით, შესაბამისად, არც „გავიკრიფეთ“ და სიტუაციის ანალიზიც უკეთ შევძელით. ჩვენ გვიცნობს და მხარს გვიჭერს დასავლეთის დემოკრატიული სამყარო, სადაც ჩვენი პერმანენტული ვიზიტებით ამ რეჟიმზე რეალური ინფორმაციის გატანას ვემსახურებოდით და მიზანსაც მივაღწიეთ. 19 დეკემბერს, ყველა წესის დაცვით, ყრილობასაც ჩავატარებთ და ცოტა ხანში, ქართველი ხალხი ნახავს, რას ნიშნავს ნამდვილი პარტიული ცხოვრება და მუშაობა.

ირაკლი მენაღარიშვილი: "იმედია, პალესტინასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ დაფიქსირებულ პოზიციას გართულება არ მოჰყვება და ეს ინციდენტი ამით ამოიწურება"

საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი იმედოვნებს, რომ პალესტინასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ დაფიქსირებულ პოზიციას გართულება არ მოჰყვება და ეს ინციდენტი ამით ამოიწურება.

ამის შესახებ მენაღარიშვილმა „პირველს" პალესტინასთან დაკავშირებით მიღებული იმ რეზოლუციის კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმად, საქართველომ პალესტინის გაერო-ს მუდმივი დამკვირვებლიდან დამკვირვებელ სახელმწიფოდ გადაქცევას მხარი დაუჭირა. **„აღნიშნულ საკითხზე არაერთი და ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია გავრცელდა. კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ახსნა თუ როგორ მოხდა გადაწყვეტილების მიღება და რომ კონსულტაციები მათ ისრაელთანაც და საქართველოში ისრაელის ელჩთანაც ჰქონდათ და ამაში მე ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მაშინ უცნაურია, ელჩის რეაქცია საქართველოს პოზიციაზე. ამდენად, გარკვეული გაუგებრობები მაინც იყო",** — განაცხადა მენაღარიშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს პოზიცია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზე ნეგატიურად არ აისახება.

რაც შეეხება იმას, თუ რა მოტივით შეიძლებოდა ეხელმძღვანელა ქართულ მხარეს გაერო-ს ასამბლეაზე, ექსპერტის თქმით, მისთვის რეალური მოტივი ცნობილი არ არის და ამ ეტაპზე, პროგნოზის გაკეთებაც რთულია. **„ჩემთვის რეალური მოტივი ცნობილი არ არის, გარდა იმისა, რაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრის მხრიდან გაჟღერდა. მე არ ვიქნები მომხრე ამ საკითხის დრამატიზირების. ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული საქართველო-ისრაელის ურთიერთობებზე უარყოფითად არ აისახება და ამ ინციდენტს სხვა გართულება არ მოჰყვება. სამომავლოდ კი უფრო მეტი დაფიქრება გვმართებს",** — აღნიშნა მენაღარიშვილმა.

ამასთან, ექსპერტი 1992 წელს საქართველოს მიერ პალესტინის დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტსაც შეეხო და აღნიშნა, რომ „ფაქტი ფაქტად რჩება". **„ეს მოხდა 1992 წელს. ყველას გვახსოვს რა პერიოდი იყო. როგორ და რატომ მოხდა, ამის გარკვევა შეუძლებელია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, თუმცა ეს არ წარმოადგენდა აუცილებლობას იმისთვის, რომ გაერო-ს ასამბლეაზე განსხვავებული პოზიცია გვქონოდა. ჩვენთვის მთავარია, ვიყოთ იმ ქვეყნების გვერდით, რომელთაც ამ რეგიონში მშვიდობა რეალურად სურთ და საქართველოსთვისაც ეს უნდა იყოს ამოსავალი პრინციპი",** — აღნიშნა მენაღარიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ჯალაღანიას განცხადებით, პალესტინისთვის გაერო-ს არამუდმივი წევრის სტატუსის მინიჭებისთვის თანხმობის გადაწყვეტილება საქართველომ მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა მხარესთან კონსულტაციის შემდეგ მიიღო. როგორც ჯალაღანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაზე კონსულტაციები გაიმართა ამერიკასთან, ისრაელთან და ევროპულ სახელმწიფოებთან.

„საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან ჩვენი საუკუნოვანი კავშირები. ასევე მეგობრობა და თანამშრომლობა ებრაელ ხალხთან. ამ რეგიონს ჩვენ მეგობრის თვალით ვუყურებთ და ნებისმიერი ძალადობრივი ფაქტი ჩვენს გულისტკივილს იწვევს. ამ რეგიონში სტაბილურობის მიღწევა მოლაპარაკების გზით ჩვენი რეგიონის ერთ-ერთ ეროვნულ ინტერესად მიგვაჩნია. შესაბამისად, რეზოლუცია, რომელიც გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე იყო მიღებული, საქართველოს მიერ განიხილებოდა სწორედ ამ ჭრილში. გადაწყვეტილება მიღებული არ იყო ზედაპირულად, მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ყველა მონაწილე მხარესთან. გადაწყვეტილება რა თქმა უნდა, არ იყო მარტივი, ეს ყველაფერი ჩვენი ეროვნული ინტერესებითა და ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევებით იყო განპირობებული. ჩვენი ურყევი პოზიცია და რწმენაა, მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით არსებული ფორმატით ამ პრობლემის და ამ კონფლიქტის მოგვარება", — განაცხადა ჯალაღანიამ და დასძინა, რომ საქართველო ცდილობს, თავის საგარეო პოლიტიკაში თანმიმდევრული იყოს და პალესტინასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებით ქვეყანამ ის პოზიცია გააგრძელა, რაც მას წლების განმავლობაში საერთაშორისო ასპარეზზე აქვს.

თავის მხრივ, საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის იუვალ ფუქსის განცხადებით, პალესტინასთან დაკავშირებით გაერო-ს ასამბლეაზე საქართველოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ისრაელისთვის სამწუხარო მოულოდნელობა იყო.

„ეს გადაწყვეტილება რეალურად არაფერს ცვლის. არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის შედეგად შეიქმნა. ისრაელმა წარსულში არაერთხელ დაამტკიცა, რომ მშვიდობის მომხრეა, თუმცა ამის მისაღწევად მხოლოდ ერთი გზა არსებობს – პირდაპირი მოლაპარაკებები. ეს არის გზა, რამალასა და იერუსალიმს შორის, რომელსაც მანქანით სულ რაღაც ათ წუთამდე სჭირდება. არ არის აუცილებელი ამისთვის ათი საათი იფრინო ნიუიორკამდე. კიდევ ერთი საკითხი, რაც მინდა ვთქვა, არის ის, რომ დამოუკიდებლობის საყოველთაო დეკლარაციით ვერ შექმნი სახელმწიფოებს და ვერც წვლილს შეიტან რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ჩვენთვის საქართველოს პოზიცია სამწუხარო მოულოდნელობა იყო, მაგრამ შემიძლია ისიც გითხრათ, რომ საქართველოს ადმინისტრაციასთან ჩვენ ხანგრძლივი ურთიერთობა გვაკავშირებს. ის გუშინ არ დაწყებულა და არც დღეს დასრულებულა", - განაცხადა ისარელის საგანგებო სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში.

„პირველი "

რევაზ გაჩეჩილაძე: „პალესტინის საკითხში ქართული დიპლომატია სავსებით გონივრულად მოიქცა"

რამდენად სწორად მოიქცა ქართული მხარე, როცა გაერო-ს ასამბლეაზე მხარი დაუჭირა გაერო-ში პალესტინის დამკვირვებელი სახელმწიფოს სტატუსს, ასევე იმაზე, ამის შემდეგ, სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პროცესები ახლო აღმოსავლეთში და როგორ აისახება ეს ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე, „ინტერპრესნიუსი" თსუ-ს პროფესორს, ისრაელში საქართველოს ყოფილ ელჩს რევაზ გაჩეჩილაძეს ესაუბრა:

— ბატონო რევაზ, როგორ შეაფასებდით პალესტინასთან დაკავშირებით გაერო-ს ასამბლეის გადაწყვეტილებას და თქვენი აზრით, როგორ აისახება ეს მსოფლიო პოლიტიკასა და ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებაზე?

— ეს არ იყო პალესტინისთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭება, ეს იყო პალესტინისთვის დამკვირვებელი სახელმწიფოს სტატუსის განსაზღვრა, ანუ პალესტინა უკვე არის გაერო-ს არაწევრი, მაგრამ დამკვირვებელი სახელმწიფო. სხვათა შორის, პალესტინას დამკვირვებლის სტატუსი მანამდეც ჰქონდა, მაგრამ დამკვირვებელი სახელმწიფოს სტატუსი არ გააჩნდა. გაერო-ს დამკვირვებელი სახელმწიფოს სტატუსი აქვს ვატიკანს. ეს სტატუსი დამკვირვებელ სახელმწიფოს აძლევს უფლებას, მონაწილეობა მიიღოს გაერო-ს გენერალური ასამბლეის მუშაობასა და იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც გაერო-ს ეგიდით არსებობენ და საქმიანობენ. ამიტომ მიღებული გადაწყვეტილება პალესტინისთვის, გარკვეულწილად, წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მაინც სიმბოლურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ეს გაერო-ს სრული წევრობა არაა.

რამდენადაც მახსოვს, 2011 წლის სექტემბერში პალესტინა გაერო-ს სრულ წევრობას ითხოვდა. მაშინ ეს მოთხოვნა იმის გამო არ გავიდა, რომ საჭირო იყო უშიშროების საბჭოს თანხმობა. უშიშროების საბჭოში ეს წინადადება განხილვაზე არც დამდგარა, ვინაიდან იგი უშიშროების საბჭოს მხარდაჭერას ვერ მოიპოვებდა.

მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგი იყო ისრაელი, აშშ და კიდევ შვიდი ქვეყანა. ყველაზე მეტად, ეს გადაწყვეტილება არ უნდოდა ისრაელს და ესეც გასაგები უნდა იყოს. ისრაელს არ სურს, პალესტინას ჰქონდეს უფლება, მიმართოს ჰააგის სასამართლოს. ისრაელი მდინარე იორდანეს დასავლეთის ნაპირზე ახალშენებს იმ ტერიტორიაზე აშენებს, რომელსაც პალესტინა თავისად მიიჩნევს. სხვათა შორის, გაერო-ც ამ ტერიტორიებს პალესტინის ტერიტორიებად მიიჩნევს.

როდესაც 1967 წელს გაერო-მ ისრაელ-პალესტინასთან დაკავშირებით მიიღო რეზოლუცია 241, მასში ცოტა ბუნდოვნად, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ ეს ტერიტორიები პალესტინის უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, 1947 წელს, როდესაც მოხდა პალესტინის გაყოფა ებრაულ და არაბულ სახელმწიფოებად, ასე დაადგინა გაერო-მ და შემდეგაც, 1948 წელს ისრაელის სახელმწიფო გამოცხადდა, მაშინ იქ არაბული სახელმწიფო არ შექმნილა და მხარეები საბოლოოდ, 1949 წელს დაზავდნენ. ფაქტობრივად, გავლებულ იქნა ის ხაზი, რომელიც მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირს შემოსაზღვრავდა და ქალაქ იერუსალიმს ორ ნაწილად ჰყოფდა. აღმოსავლეთ იერუსალიმი არ იყო ისრაელის იურისდიქციის ქვეშ. დანარჩენი ტერიტორია მაშინ ხელში იორდანიამ ჩაიგდო. სწორედ იორდანიამ მოახდინა ამ ტერიტორიების ანექსია. საერთოდ, აქ ძალიან ბევრი იურიდიული კაზუსია. რაც იმას ნიშნავს, რომ პალესტინის საკითხი ასე მარტივად არ არის. რეალურად, ეს ტერიტორიები პალესტინას, როგორც სახელმწიფოს არ ეკუთვნოდა, ისინი ანექსირებული იყო იორდანიის მიერ, რომელსაც მაშინ ტრანსიორდანია ერქვა და ახლა იორდანია ჰქვია. ეს ის ტერიტორიებია, რომელზეც ახლა ისრაელი და პალესტინა დავობენ და ისრაელმა 1967 წელს იორდანიას წაართვა. მაშინ ისრაელმა ასევე დაიკავა აღმოსავლეთ იერუსალიმი და 1981 წელს აღმოსავლეთ იერუსალიმის ანექსირება მოახდინა. ანუ, ისრაელმა იერუსალიმი ერთიან ქალაქად აქცია და თავისი იურისდიქცია აღმოსავლეთ იერუსალიმზეც განავრცო. ამას გაერო არ ეთანხმება, სწორედ ამიტომაცაა, რომ აღმოსავლეთ იერუსალიმში კოსტა-რიკას საელჩოს გარდა, გაერო-ს არც ერთი წევრი ქვეყნის საელჩო არ მდებარეობს. გაერო არ ცნობს ისრაელის ოფიციალურ დედაქალაქად იერუსალიმს, ჩვენც მათ შორის. ამიტომაცაა, რომ საქართველოს საელჩო ისრაელში არა იერუსალიმში, არამედ თელ-ავივშია.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ აისახება ეს გადაწყვეტილება ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებაზე. საინტერესოა ის, თუ რა ხდება იორდანიაში. მეფე აბდალას მიმართ ხალხი საკმაოდ დიდი ხანია უკმაყოფილებას გამოთქვამს. გაძლიერებულია მეფის წინააღმდეგ მებრძოლი ოპოზიცია. ახლო აღმოსავლეთში ძალიან ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. სხვათა შორის, იორდანიაში მცხოვრებთა 70% წარმოშობით მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირიდანაა, ანუ პალესტინელები

არიან. ამიტომ, ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ როგორ აისახება გაერო-ში მიღებული გადაწყვეტილება ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებაზე. თუ პალესტინა მიიღეს გაერო-ში, მაშინ ახლო აღმოსავლეთის ყველა არაბული ქვეყანა პალესტინასთან დიპლომატიურ ურთიერთობას დაამყარებს. ამით ახლო აღმოსავლეთში, პრინციპში, არაფერი შეიცვლება, ვინაიდან არსებული დაპირისპირება მომავალშიც გაგრძელდება. ამ თვალსაზრისით, ვითარების განსაკუთრებულ გაუარესებას არ ველი.

— მიუხედავად იმისა, რომ ისრაელმა გაერო-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაგმო, რა სიახლეებს უნდა ველოდეთ ისრაელსა და პალესტინას შორის ურთიერთობებში?

— პრობლემა სწორედ ისაა, რომ გაერო-ს დამკვირვებელ სახელმწიფოს აქვს უფლება, დაადგინოს თავისი საზღვრები, რომელსაც შემდეგ სხვა სახელმწიფოები აღიარებენ. ეს კი ისრაელისთვის ყველაზე დიდი პრობლემა იქნება. 1967 წლიდან მოყოლებული, ისრაელის ყველა მთავრობა ითვისებდა იმ ტერიტორიებს, რომელსაც მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირი ჰქვია და მას პალესტინა თავისად მიიჩნევს. ამ ტერიტორიაზე, დღეისთვის, 100-მდე ებრაული ახალშენია აგებული, რომელშიც დაახლოებით, 300 ათასი ებრაელი მოსახლე ცხოვრობს. თუ ამას კიდევ აღმოსავლეთ იერუსალიმში მცხოვრებ, დაახლოებით, 200 ათას ებრაელ მოსახლეობას დავუმატებთ, გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს, რომ ისრაელი მიღებულ გადაწყვეტილებას მტკივნეულად აღიქვამს.

პალესტინას ისრაელთან ტერიტორიული პრეტენზიები სწორედ იმ ტერიტორიებზე აქვს, სადაც ამჟამად, ისრაელის 500 ათასი მოქალაქე ცხოვრობს. უფრო მეტიც, 30 ნოემბერს, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ისრაელი ამ ტერიტორიებზე კიდევ 3 ათას სახლს ააშენებს. უნდა გითხრათ, რომ ისრაელის ეს გადაწყვეტილება დაგმო არა მარტო ინგლისმა, არამედ საფრანგეთმა და შეერთებულმა შტატებმაც. აშკარაა, რომ გაერო-ში მიღებული გადაწყვეტილება ისრაელ-პალესტინის ურთიერთობებზე ცუდად აისახება.

— თუ ამერიკა ამ გადაწყვეტილებას მხარს რეალურად არ უჭერდა, მაგრამ იგი მაინც პალესტინის სასარგებლოდ იქნა მიღებული, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსოფლიოში აშშ-ს პოზიციები შესუსტებულია?

— საქმე ისაა, რომ ისრაელის მოქმედებების დამგმობი რეზოლუცია გაერო-ში, თუ არ ვცდები, დაახლოებით, 30-ზე ოდნავ მეტია მიღებული. დაგმობის წინააღმდეგი გამოდიოდა ისრაელი, აშშ, წყნარ ოკეანეში კუნძულოვანი სახელმწიფო მიკრონეზია და კიდევ ამდაგვარი რამოდენიმე სახელმწიფო. აშშ ისრაელის საკითხში ძალიან ხშირად რჩებოდა უმცირესობაში. ასე ხდება 1980-იანი წლებიდან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აშშ-ს ავტორიტეტი მსოფლიოში დაცემულია. ყველამ იცის, რომ აშშ ყოველთვის ვალდებულია, მისცეს ხმა ისრაელის სასარგებლოდ.

— საქართველოს მიერ პალესტინის მხარდაჭერამ ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მომხდართან დაკავშირებით, ისრაელის ელჩმა იუვალ ფუქსმა საქართველოს გადაწყვეტილების მიმართ „გაკვირვება და იმედგაცრუება" გამოთქვა. მისივე თქმით, სწორედ ამის გამო გადაიდო ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის დაგეგმილი ვიზიტი თბილისში. თქვენი აზრით, როგორ აისახება საქართველოს მიერ პალესტინის მხარდაჭერა საქართველო-ისრაელის ურთიერთობებზე?

— გამოდის, ისრაელმა უნდა გააფუჭოს ურთიერთობა ყველა იმ 138 ქვეყანასთან, რომელმაც რეზოლუციას მხარი დაუჭირა. რეზოლუციას მხარი დაუჭირეს ჩინეთმა, ინდოეთმა, საფრანგეთმა. რა, ბატონი ლიბერმანის ვიზიტი ყველა ამ ქვეყანაში გადაიდება? ბატონი ელჩი ფუქსი ვალდებულია, გააკეთოს ამგვარი განცხადება, ვინაიდან ის თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავს და ამაში გასაკვირი არაფერია. რეალურად, ეს არ აისახება საქართველო-ისრაელის ურთიერთობებზე. მით უმეტეს, რომ 1992 წელს საქართველომ სცნო პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია. რაზეც დღეს თავის განცხადებაში ვრცლად ისაუბრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, დავით ჯალაღანიამ.

— საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ჯალაღანიას განცხადებით, „ყოველგვარი სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად, ქართულმა მხარემ ხმის მიცემისას გააკეთა დათქმა რეზოლუციის ტექსტის მიმართ. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ საქართველო არ განიხილავს ამ ტექსტს, როგორც პალესტინის გაერო-ს მუდმივი წევრის სტატუსს. გასაგებია ბატონი ჯალაღანიას განმარტება, მაგრამ თუ ასეა, კიდევ უფრო გაუგებარი ხდება ქართული მხარის გადაწყვეტილება პალესტინასთან დაკავშირებულ რეზოლუციაზე და იქნებ კენჭისყრისას, მართლაც, თავის შეკავება სჯობდა, როგორც ამას ბევრი მიიჩნევს?

— არაწევრი, დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსი, პრაქტიკულად, არაფერს ნიშნავს. პალესტინა აქამდეც იყო გაერო-ში დამკვირვებელი, ახლა დამკვირვებელი სახელმწიფოა. რატომ უნდა შეეკავებინა საქართველოს თავი ამ რეზოლუციაზე კენჭისყრისათვის, არ მესმის. საქართველო ასე რომ არ მოქცეულიყო, თითქმის მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ გამოვიდოდა. რაც შეეხება დათქმას, ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ საქართველო პალესტინას შემდეგ სტადიაზე მხარს არ დაუჭერს, თუ ისრაელის თანხმობა არ იქნება. პალესტინის საკითხში ქართული დიპლომატია სავსებით გონივრულად მოიქცა.

რობერტ სტურუა: „თქვენც მოგივლით კანონი, ღვთის კანონი მაინც. გახრწნილო ლობისტებო, ამერიკის ევროპისა და საქართველოსი“

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა რობერტ სტურუამ **facebook**-ის საკუთარ გვერდზე მიმართვა გაავრცელა, რომელსაც „ჯი-ეიჩ-ენი“ უცვლელად გთავაზობთ:

„ო, ლობისტებო, ლობისტებო! შემოგაკლდათ ქართველი ხალხის ფული, რომელსაც ჩვენი ლამაზი მთავრობა გიხდიდათ? ო, ლობიზმი, — ვთქვათ პირდაპირ, — ო, ქრთამო, მექრთამეებო! დააკანონეთ ძარცვა პატარა ქვეყნების! ო, თვალთმაქცო ევროპა, ადამიანების უფლებებს ისტერიკულად რომ გვიქადაგებთ, ვეღარ გაწვდიან ქართველი ჩასუქებული ტირანჩიკები ჯამაგირს? ზამთრის კურორტებზე სეირნობა ვეღარ გამოგდით, ბავშვები ვერ დაისვენებენ შობის არდადეგებზე კორტინა დ'ამპეცოებში და ალპებში? იჭერენ თქვენ მათხოვარ ფავორიტებს? ო, ამერიკის ბობოლა ჩინოვნიკებო, დედამიწას თქვენ საკუთრებად რომ თვლით და საქართველოს ბედი კი ფეხებზე გკიდიათ? ცოტა ჭამეთ, არა? გაბრაზდით, არა? მაიამიში სახლებს ვეღარ ყიდულობთ? თუ სამართალი სამუდამოდ არ დაასამარეს ცივილიზაციის ერთგულმა შვილებმა (მე კი მჯერა, რომ ჯერ ცოცხალია), თქვენც მოგივლით კანონი, ღვთის კანონი მაინც. გახრწნილო ლობისტებო, ამერიკის ევროპისა და საქართველოსი“, – წერს სტურუა.

რობერტ სტურუა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად 30 ნოემბერს დაინიშნა. გადაწყვეტილება კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ მიიღო და სტურუას დანიშვნის შესახებ ოფიციალურად განუცხადეს თეატრის თანამშრომლებს. რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან 2011 წელს, მისი კრიტიკული განცხადებების გამო, უშუალოდ, კულტურის მაშინდელმა მინისტრმა გაათავისუფლა. მას შემდეგ სტურუა რუსეთში მოღვაწეობდა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

საზოგადოება

„მივადგები ივანიშვილის რეზიდენციას ჩემი შვილებიანად, ან დამეხმაროს ან დატოვოს ეს ბავშვთა სახლი, სანამ ცხოვრება გაუმჯობესდება!“

ნელი თორდია

რას ითხოვენ მშობლები და რა სკანდალურ ინფორმაციას გვაწვდის ბავშვთა სახლის დირექტორის ყოფილი მოადგილე

დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამის ფარგლებში, 2012 წლის ბოლომდე საქართველოში არსებული ყველა ბავშვთა სახლი დაიხურება. პროგრამის თანახმად, ბავშვთა სახლებში განთავსებულთა 30-35% ბიოლოგიურ ოჯახებს უნდა დაუბრუნდეს, დანარჩენები კი მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში უნდა გადანაწილდნენ. ამ დროისთვის დახურულია განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა 11 სკოლა-პანსიონი, 25 ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება, 2 განსაკუთრებული ტიპის დაწესებულება, 2 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება, 2 დღის ცენტრი, 1 ჩვილ ბავშვთა სახლი. 2012 წლის ბოლომდე არსებობას განაგრძობს თელავისა და კოჯრის ბავშვთა სახლები, თუმცა ბავშვების მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გადაყვანის პროცესი უკვე დაწყებულია. რატომ ეწინააღმდეგებიან მშობლები ბავშვების მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გადაყვანას და რას ითხოვენ ივანიშვილის მთავრობისგან, ამაზე „ვერსიას“ ერთ-ერთი აღსაზრდელის მშობელი, მაია ზოსიმშვილი ესაუბრება:

— ხუთი შვილის დედა ვარ, აქედან ერთი პატიმარია, სამი — კოჯრის ბავშვთა სახლში მყავს. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდი, როცა გავიგე, რომ დეკემბრის ბოლოს კოჯრის ბავშვთა სახლი დაიხურება და ჩემს შვილებს სადღაც, გადაკარგულში გადაიყვანენ. სახლკარი დამწვარი მაქვს და არაფერი გამაჩნია, რომ ბავშვები სადმე წავიყვანო. კოჯრის ბავშვთა სახლი ჩემი ერთადერთი იმედი იყო.

— ბავშვის მცირე ტიპის საოჯახო სახლში გადაყვანა გადაკარგულში წაყვანაა?

— მცირე ტიპის საოჯახო სახლები, ძირითადად, რეგიონებშია... კოჯრიდან წაყვანილი ბავშვები ზოგი ახალდაბაში გადაიყვანეს, ზოგიც — უფრო შორს. იმდენად გვიჭირს, რომ კოჯრამდე ასასვლელი ფულის შოვნასა და შვილების მონახულებას ძლივს ვახერხებთ და ახალდაბაში ჩასასვლელი ფული საიდან მოვიტანოთ? აი, ახლა, ერთ შვილს ბრმა ნაწლავის ოპერაცია აქვს გასაკეთებელი და უფულობის გამო, ვერ ვუკეთებ. მიწევს სახლში, საცოდავად და ხვალ რომ ბინის პატრონმა ოთახის დაცლა მომთხოვოს, სად წავიყვანო, არ ვიცი. კოჯრის ბავშვთა სახლი და მისი დირექტორი რომ არა, არ ვიცი, რა გვეშველებოდა. დეკემბრიდან კი ესეც აღარ გვექნება.. ნამდვილად ვიცი, რომ იმ მცირე ტიპის საოჯახოებში ბავშვების გაკავება უჭირთ. ბავშვები მასწავლებლებს ეპარებიან და ძველ ბავშვთა სახლში ჩამოდიან. იქ არ გვინდა, თქვენთან დავრჩებითო. კარგ პირობებში რომ იყვნენ, არც გამოიპარებოდნენ. შვილების მოსანახულებლად კოჯორში ასულს, მცირე საოჯახოდან გამოპარული ბავშვები საკუთარი თვალით მინახავს. ბატონ როლანდსაც რამდენჯერმე დაურეკეს, ბავშვები გამოიპარნენ და იქნებ მოგვაძებნინოთო. ნამდვილად ვიცი, იქ გაჩერება არავის უნდა და ჩემს შვილებს იქ ვერ გავუშვებ.

— თქვენი თანხმობის გარეშე, ბავშვის გადაყვანის უფლება აქვთ?

— ახლა უკვე აქვთ.

> **შარშან, 11 ნოემბერს, სასამართლოს ძალით, დროებით შემიზღუდეს დედობა. სასამართლო მომსახურეობაში 50 ლარიც გადამახდევინეს, თითქოს ეს ყველაფერი ჩემს ინტერესებში შედიოდა. ბავშვი სკოლაში მყავდა მისაყვანი და სანამ დედობას არ შეგიზღუდავენ, ვერ მიიყვანო. გამგეობაში გამლანძღეს კიდეც. იპოვეთ ბავშვთა სახლი და მიყარეთ შვილებიო. მე არ მინდა, ჩემი შვილები ჩემს გვერდით იყვნენ? ვინმემ ამიხსნას, ნორმალურია, როცა ბიოლოგიურ დედას შვილის ბავშვთა სახლიდან გაყვანისას 90 ლარით ეხმარებიან და უცხო თუ გაიყვანს, 450 ლარით? უკუღმა დაწერეს ყველაფერი... უცხოს ბავშვი ფულის გამო გაჰყავს და იმ 450 ლარიდან, რეალურად, რამდენს დაახარჯებს ბავშვს, კიდევ საკითხავია და ნამდვილი დედა, საშუალება თუ აქვს, შვილს არაფერს მოაკლებს.**

450-ლარიანი დახმარება რომ მოეცათ, შვილებს გვერდიდან არ მოვიშორებდი. გოგო მყავს საოპერაციო, ერთ თვალზე აქვს 4% და მეორეზე — 30%. დარბის ბატონი როლანდი, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია და ეს ბავშვთა სახლიც თუ დაიხურა, ბავშვებს ვერსად გავუშვებ. ხომ გვყავს ახალი მთავრობა? მივადგები ივანიშვილის რეზიდენციას ჩემი შვილებიანად და ან დამეხმაროს, ან დატოვოს ეს ბავშვთა სახლი, სანამ ცხოვრება გაუმჯობესდება. სხვა გამოსავალი ნამდვილად არ მაქვს“.

კოჯრის ბავშვთა სახლის დახურვასა და მცირე ტიპის საოჯახო სახლებიდან გამოქცეულ პატარებთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორი როლანდ აბულაძე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა იმედოვნებს, რომ ახალი ხელისუფლება ბავშვების საზიანო გადაწყვეტილებებს არ მიიღებს:

— ხელშეკრულებების ვადა დეკემბერში გვეწურება, თუმცა ბავშვთა სახლის დახურვის ან გაუქმების შესახებ ბრძანება არ მოგვსვლია. ახლახან, ჩვენი დეპუტატი ზაზა პაპუაშვილი იყო მოსული და გაეცნო ბავშვთა სახლში არსებულ მდგომარეობას. დარწმუნებული ვარ, ახალი ხელისუფლება ისეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, რომ ბავშვების ინტერესები დააზარალოს. მეტს ვერაფერს გეტყვით“.

გაცილებით სიტყვაუხვი აღმოჩნდა ერთ-ერთი უკვე დახურული ბავშვთა სახლის დირექტორის მოადგილე და იმ პირობით, რომ გაზეთში მის ვინაობას არ დავასახელებდით, ჩატარებულ დეინსტიტუციონალიზაციასთან დაკავშირებით, ერთობ საინტერესო მოსაზრებები გაგვიზიარა:

— ბავშვთა სახლების განადგურება „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან დაიწყო, მაგრამ იმის გამო, რომ განათლების ობიექტების გაყიდვა არ შეიძლებოდა, პროცესები დროში გაიწელა. ჯერ ბავშვთა სახლები განათლების სამინისტროს დაქვემდებარებიდან ჯანდაცვაში გადაიტანეს, მერე კი დეინსტიტუციონალიზაცია მოიგონეს დახურეს და გააუქმეს, რაც შეიძლებოდა.

> **დღეისთვის, ბავშვთა 40-სახლიდან, მხოლოდ თელავისა და კოჯრის სახლებია დარჩენილი. გეცოდინებათ, ეს სახლები თბილისშიც და თბილისს გარეთაც პრესტიჟულ ადგილებზე მდებარეობდა და შეძენის მსურველი ბევრი ჰყავდა. დიღმის ბავშვთა სახლი, როგორც ვიცი, ბაჩო ახალაიამ დაისაკუთრა თავდაცვის სამინისტროსთვის. რომ დასცლოდა, გრანდიოზული რემონტის ჩატარებას აპირებდა. სავარაუდო მყიდველები ჰყავს წყნეთის, საგურამოსა და კოჯრის ბავშვთა სახლებსაც. რაც შეეხება მცირე ტიპის საოჯახო სახლებს, იქიდან ცუდი ინფორმაციები მოდის.**

— დაგვიკონკრეტეთ იმიტომ, რომ თუ ამ სახლების ფოტოსურათებით ვიმსჯელებთ, ბავშვებისთვის ყველა პირობაა შექმნილი.

— არ ვიცი, ფოტოებით ვინ რას იმსჯელებს, თუმცა ამბობენ, რომ ახალდაბაში ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს სხვადასხვა კერძო სამუშაოებზე უფასო მუშებად იყენებენ, ამიტომაც გამორბიან იქიდან ბავშვები. როგორც ვიცი, სისტემაში, დაახლოებით, 2000 ბავშვი იყო და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ამის მეოთხედიც არაა. სად წავიდნენ ეს ბავშვები და რა პირობებში არიან, არავინ იცის... რეალურად, ქუჩიდან რის ვაი-ვაგლახით დაბრუნებული ბავშვები, ნაჩქარევად ჩატარებული რეფორმის წყალობით, ისევ ქუჩაში აღმოჩნდნენ. ამბობენ, შარშანდელი ყინვების დროს, ქუჩის ბავშვების სიკვდილიანობა იყო. გამორიცხავთ, რომ წელსაც იგივე არ განმეორდება? ზამთრის ყინვაში ბავშვთა სახლიდან ბავშვების გამოყრა დანაშაულია და საერთოდ, არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა, რომ რეფორმა ასე ნაჩქარევად და გაუაზრებლად ჩაეტარებინათ. ამ ყველაფრის შედეგებს საზოგადოება უახლოეს ხანებში იხილავს.

> **იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ქუჩის ბავშვთა სტატისტიკა არ არსებობს, ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამის ეფექტურობაზე ან შედეგებზე საუბარი რთულია. ერთადერთი კვლევა ამ მიმართულებით 2008 წელს, ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ ჩაატარა. კვლევის შედეგების მიხედვით, 2008 წლის ნოემბერში საქართველოს დიდ ქალაქებში — თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში ქუჩაში 1 600 ბავშვი აღმოჩნდა. 2 000-ზე მეტი ბავშვი ირიცხებოდა ქვეყნის მასშტაბით მდებარე ბავშვთა სახლებში. თუ გავითვალისწინებთ, 2008 წლის შემდეგ მოსახლეობის სოციალური ფონის გაუარესებასა და დიდი ბავშვთა სახლების დახურვას, რა მდგომარეობაა ქვეყანაში ქუჩის ბავშვთა რაოდენობის ზრდასთან მიმართებით, ადვილი წარმოსადგენია. ცნობისთვის, დღეისთვის მოქმედი მცირე საოჯახო ტიპის 43 სახლში მხოლოდ და მხოლოდ 267 ბავშვი ცხოვრობს.**

თრთოლა თბილისში

არჩევნებში გამარჯვებულები უნდა მოერიდონ უკანონობას, რომელსაც ერთ დროს თავად უპირისპირდებოდნენ!

The Economist

ექსსაბჭოთა სახელმწიფოებში, სადაც დემოკრატია ნაზი ყვავილია, საქართველო თითქოს მისასალმებელი გამონაკლისი იყო, ოქტომბრის არჩევნები და ძალაუფლების გადაცემა, რომელიც მას მოჰყვა, თითქოს სხვებისთვის ქმნიდა ნიმუშს. მმართველმა პარტიამ, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, მისი ლიდერის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გასაკვირად, წააგო მთლიანობაში სამართლიანად ჩატარებული არჩევნები. მას სწამდა, რომ მისი პარტიის დამსახურება ეკონომიკური მოდერნიზაციის სფეროში, გამარჯვებას მოუტანდა. ხელისუფლებაში ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნება“ მოვიდა, ასევე მისი ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის გასაკვირად: მილიარდერი ბიზნესმენი სულ იმას ამბობდა, რომ არჩევნებს გაუყალბებდნენ.

ახლა საქმე ცუდად მიდის. ეს ნაწილობრივ, იმიტომ ხდება, რომ ძალაუფლება გაყოფილია: ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი გახდა, ხოლო სააკაშვილი 2012 წლის ოქტომბრამდე (ის კენჭს ვეღარ იყრის) პრეზიდენტად რჩება. დარტყმა უფრო პრემიერ-მინისტრზე მოდის – მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად, პარტიებმა ერთმანეთთან თანამშრომლობის პირობა დადეს, „ქართული ოცნება” ახლა ძალაუფლებას აგრესიულად იყენებს, „ნაციონალური მოძრაობის“ ოცამდე ბობოლა დააპატიმრეს, მათ შორის თავდაცვის ყოფილი მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალური შტაბის უფროსი და თბილისის ვიცე-მერი. მათ წაუყენეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, უკანონო დაპატიმრებებისა და წამების ბრალდებები. ივანიშვილის მთავრობა აგრეთვე ცდილობს, გაათავისუფლოს საპატიმროებიდან ადამიანები, რომლებიც რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობისა და ტერორიზმის გამო (ასეთი იყო, მაგალითად, თბილისში ამერიკის საელჩოს დაბომბვა) დაისაჯნენ გასულ წლებში.

ამერიკამ, ნატო-მ და ევროპის კავშირმა მკაცრად ფორმულირებული განცხადებები გაავრცელეს. მიმდინარე კვირას ევროკავშირიდან ქეთრინ ეშტონი და რეგიონზე პასუხისმგებელი მაღალი რანგის ამერიკელი ჩინოვნიკი ეწვივნენ თბილისს. მათ შეშფოთებისთვის სერიოზული მიზეზი ჰქონდათ. საქართველო არა მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ენერგეტიკული დერეფანია, რომელზეც გადის დასავლეთ ევროპაში მიმავალი მილსადენები ცენტრალური აზიიდან და კასპიის ზღვიდან, არამედ იშვიათი საჩვენებელი მაგალითი პოსტსაბჭოთა სივრცეში. ქვეყანა ენერგიულად ატარებს ეკონომიკისა და საჯარო ადმინისტრაციის რეფორმას, ცდილობს, შექმნას დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ინსტიტუტები. ის ცნობილია იმით, რომ კავშირები აქვს ევროპასა და ამერიკასთან და ამ კავშირების განმტკიცება სურს. „ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს, რომ კუდიანებზე ნადირობის მსხვერპლია. რაც არ არის მართალი. პარტიამ არჩევნებში იმიტომ წააგო, რომ ხალხი აღშფოთებული იყო თავის მმართველებზე, რომლებიც დაუსჯელად მოქმედებდნენ. „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები მოიგო ცხადი მანდატით – მან უნდა გამოასწოროს წარსული უსამართლობა. ბოლო წლები ცხადყოფს, რომ ეს შეიძლება ეხებოდეს ელიტურ კორუფციას, დაშინებასა და სხვა სახის დანაშაულს (ვიდეომ, რომელზეც ასახული იყო, როგორ აწამებენ ტუსაღებს ციხეში, ხელი შეუწყო „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებას).

უცხოელებმა, რომლებიც მოხიბლულნი არიან სააკაშვილით და თვალი დახუჭეს მის დანაშაულებზე, უნდა მიიღონ ის ფაქტი, რომ დემოკრატიულად არჩეული მთავრობის მოვალეობაა, დასაჯოს დამნაშავეები, ისინიც კი, ვინც დასავლეთისადმი ლოიალურნი არიან. ეჭვმიტანილები, რომლებიც შეიძლება გაიქცნენ საზღვარგარეთ, უნდა დააკავონ. თუ სასამართლო დაადგენს მათ ბრალეულობას, ისინი უნდა დააპატიმრონ. თუ ასე არ მოხდა, ეს იქნება იმ ღირებულებების ღალატი, რომელთაც დასავლეთი საქართველოში ამკვიდრებდა.

ჭალახის სრული

გარკვეულწილად, პოსტსაარჩევნო ანგარიშსწორება, ალბათ, გარდაუვალია, ივანიშვილის ბანაკი იქცევა ისევე ცუდად, როგორც მათი მტკიცებით, სააკაშვილი იქცეოდა. ნადირობა „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივ მმართველებზე და ახალი, მყვირალა სასახლიდან პრეზიდენტის გამოსახლების მცდელობა იმ არგუმენტით, რომ ის ძალიან ძვირია, შურისძიებაა. „ქართული ოცნების“ რიტორიკა, „ნაციონალური მოძრაობის“ შედარება ომისშემდგომ ნაცისტურ პარტიასთან გერმანიაში, ხშირად ძალიან გადაჭარბებულია. ასეთივეა მისი განცხადება იმის შესახებ, რომ რაღაც ძალები ცდილობენ, შეუნარჩუნონ ძალაუფლება სააკაშვილს.

„ქართული ოცნების“, როგორც სამთავრობო პარტიის, მთავარი პასუხისმგებლობა ქვეყნის პოლიტიკის სისუფთავისა და კანონიერების დაცვაა. იმის ნაცვლად, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დაშალოს და ამ სურვილის არსებობის შემაშფოთებელ ნიშნებს ის აკლენს, მან კონცენტრირება უნდა მოახდინოს მმართველობაზე. მან უნდა მართოს ისე კარგად, რომ ამომრჩევლებმა საპრეზიდენტო და ადგილობრივ არჩევნებში მას მიანიჭონ გამარჯვება. უკრაინის მაგალითი იმის დასტურია, რით შეიძლება დაამთავროს ქვეყანამ, თუ მთავრობა მის გზას გაჰყვება. იქ, უკრაინაში, ოპოზიციის ლიდერი, იულია ტიმოშენკო ციხეში ზის მას შემდეგ, რაც მას კორუფციაში (შეიძლება უსამართლოდ) დასდეს ბრალი. კიევის მოუქნელი პოლიტიკის გამო, ევროკავშირმა მასთან ურთიერთობა გაყინა. ინვესტორების ნდობაც ქრება. სააკაშვილის მემკვიდრეობაში შედის არა მხოლოდ სიცოცხლისუნარიანი კონსტიტუცია, არამედ ევროკავშირში ინტეგრაციის ნათელი პერსპექტივა და დიდი კეთილგანწყობა, ბრიუსელში, ვაშინგტონში და სხვაგანაც. ივანიშვილმა უნდა მოუაროს ამ ყველაფერს და არ გაფლანგოს.

foreignpress.ge

რას მოითხოვენ ღანჩხუთში საპროტესტო აქციის მონაწილენი

გაორებული „ოცნება“ და გაოგნებული თვითმმართველობა ღანჩხუთში

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

უკვე რამდენიმე დღეა, ღანჩხუთში გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, კახა ასკურავას და ახლა უკვე საკრებულოს თავმჯდომარის, რევაზ ჩიტიძის გადადგომის მოთხოვნით, უზენაესი საბჭოს დეპუტატმა გია ფირცხალაიშვილმა შიმშილობა დაიწყო. მართალია, „ქართული ოცნების“ ადგილობრივი წევრების ნაწილი აქციასთან, გარდა მათი მოქალაქეობრივი ვალისა, სხვა სახის კავშირს გამორიცხავენ და მის ორგანიზებასთან რაიმე ტიპის შეხებასაც უარყოფენ, თუმცა მაჟორიტარი დეპუტატის, თემურ ჩხაიძის მიერ გასაიდუმლოებული მომავალი გამგებლის კანდიდატზე ღიად საუბარს არ ერიდებიან. თავის მხრივ, პროვოკაციასა და „ქართული ოცნებისგან“ დამოუკიდებლად დაწყებულ თამაშს უწოდებს დეპუტატი კოალიციის წევრთა აქციაში აქტიურ ჩართვას. რაც შეეხება მოთხოვნებს, ალოგიკურად და არაადეკვატურად აფასებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რაც მათივე განცხადებით, ლამის სასაცილო ხასიათსაც იღებს. „ვერსია“ კომენტარებისგან თავს შეიკავებს და ღანჩხუთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესის მონაწილე ყველა მხარის პოზიციას გთავაზობთ.

თემურ ჩხაიძე, „ქართული ოცნება“, ღანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი:

— ბატონო თემურ, აქცია რამდენიმე დღეა მიმდინარეობს, შიმშილობა კი უკვე მეორე დღეა გამოაცხადეს. ჩვენ თვალს ვადევნებთ მიმდინარე მოვლენებს და იკვეთება, რომ მასში კოალიციის წევრები ძალიან აქტიურად არიან ჩართულნი, მაგრამ თქვენთან შეთანხმება არ მომხდარა.

— როცა ვიყავი ჩასული მომიტინგეებთან და ვკითხე, რა მოთხოვნები ჰქონდათ მათ — გადადგეს გამგებელიო. გამგებელი ისედაც გადამდგარია. არის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი ასკურავა. მერე ვიკითხე — თუ გადადგება გამგებელი, მერე რა იქნება-მეთქი, მიპასუხეს, რომ დალაგდებოდა ყველაფერი. ამოვედი და მაშინ პირველად შევედი ჩიტიძის კაბინეტში, ქვემოთ კი, ფარულ გარიგებებზე დაიწყეს ამის გამო საუბარი, რაც ნამდვილად დიდი სისულელეა.

ჩიტიძის კაბინეტში დამხვდა საკრებულოს რამდენიმე წევრი, იქ იყო ბატონი ასკურავაც, რომელმაც თქვა, ახლავე დავწერ განცხადებას და გადავდგებიო.

— და ამის შემდეგ გაჩნდა ახალი მოთხოვნა, რეზო ჩიტიძის გადადგომასთან დაკავშირებით.

— როგორც კი ჩავედი და ვუთხარი, რომ ასკურავა თანახმაა, გადადგეს-მეთქი, მაშინვე გაჩნდა ახალი მოთხოვნა, რაც მაშინ პირველად გავიგე, რომ იწყებენ შიმშილობას, რადგან უნდა გადადგეს საკრებულოს თავმჯდომარეც.

— ბატონო თემურ, არჩევნებამდე კოალიციის წევრების მხრიდან სულ კეთდებოდა განცხადებები, რომ ხელისუფლებაში მათი მოსვლის შემდეგ აღარ იქნებოდა კანონის უპატივცემულობა, ადამიანების პოლიტიკური ნიშნით გამორჩევა და მათი თანამდებობიდან გათავისუფლება, ახლა კი, აბსოლუტურად საწინააღმდეგოს ვიღებთ.

— გასაგებია. ამაზე მათთან მქონდა საუბარი, რომ თუ გადადგება გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, მაშინ მეორე მოადგილემ უნდა შეასრულოს მოვალეობა, ვთქვი, რომ ეს უნდა მოხდეს კანონის სრული დაცვით, რომ დათო ჩხაიძესაც შეტანილი აქვს გამგებლის თანამდებობაზე განცხადება. მიიღებენ ამაში მონაწილეობას სხვებიც, ჩატარდება კონკურსი და საბოლოოდ, ღირსეული ადამიანი, ხალხის რჩეული დაიკავებს ამ თანამდებობას. ეს საუბარი მქონდა მომიტინგეებთან, როცა დათო ჩხაიძემ გამიყვანა გვერდით და მითხრა, შენ რა გიშლის ხელს, მე თუ ვიქნები გამგებელიო. მე ვუთხარი, ამას სჭირდება ცივილური ფორმა, მიიღე შენ კონკურსში მონაწილეობა, მიიღებენ სხვებიც და ვისაც აირჩევს ხალხი, ის იქნება-მეთქი.

— არჩევნებამდეც მუდმივად არსებობდა კოალიციაში შიდა დაპირისპირებები, მაგრამ მაშინ, როგორც არჩევნების შემდგომ საუბრებში აფიქსირებდნენ, ნაკლებად ხმაურდებოდა ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ჰქონდათ მიზანი — მოეგოთ არჩევნები. ახლა უკვე ღიად ფიქსირდება, რომ კოალიცია, ფაქტობრივად, ორადაა გაყოფილი, კონსენსუსამდე ვერ მიდიხართ. როგორ მოახერხებთ მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობას, მათ გადაწყვეტას, როცა ერთსულოვნება და ერთი მიზანი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს?

— ეს უნდა ვკითხოთ იმ ხალხს, ვინც ამას აკეთებს. ღანჩხუთში იმიტომ ჩამოვედი, რომ საქმე გავაკეთო, შევცვალო ბევრი რამ, რაც უმსგავსობად მიმაჩნია. მინდა, ხალხი დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას, იგრძნონ, რომ პირველ რიგში, მათთვის ბევრი რამ შეიცვალა.

— საუბრობთ იმაზე, რისი სურვილიც გაქვთ, მაგრამ ფაქტია — ეს ადამიანები, კოალიციის წევრების ნაწილს ვგულისხმობ, თქვენს წინააღმდეგაც წამოვიდნენ. ფარულ გარიგებებშიც კი დაგადანაშაულეს.

— თემურ ჩხაიძე აქ ვერაფერს გააკეთებს, კანონი იკანონებს და მის ფარგლებში გაკეთდება ყველაფერი. რა თქმა უნდა, ნამდვილად ვერ დავიწყებ ამ რამდენიმე კაცის ჭკუაზე სიარულს, რადგან ჩახედული ვარ და ვიცი, რას ნიშნავს კანონი, ვიცი, თავად ცენტრში კოალიციის დამოკიდებულება ამ ყველაფრის მიმართ. მე მათთან ხშირი საუბრები მაქვს. ის, რაც გარეთ ხდება, არ არის „ქართული ოცნების“ მიზანი.

— ხაზს უსვამთ, რომ ეს ადამიანები კოალიციის ინტერესების გვერდის ავლით მოქმედებენ, გამოდის, მათ უკან სხვა ძალა დგას, რომლის დაკვეთასაც სწორედ კოალიციის წევრების ნაწილი ასრულებს.

— ამას ასე ვერ ვიტყვი, მაშინ სიღრმისეულად უნდა ვიცოდე, იქ რა ხდება. ეს არ დაიმალება და გაირკვევა. ეს არ არის კოალიციის მიზანი. ეს უფრო პროვოკაციაა ამ ადამიანების მხრიდან“.

გია ფირცხალაიშვილი, აქციის ერთადერთი მოშიმშილე, ზვიად გამსახურდიას დროს უზენაესი საბჭოს დეპუტატი:

— ბატონო გია, აქცია დაიწყეთ ასკურავას გადადგომის მოთხოვნით. როცა თქვენთან ჩამოვიდა დეპუტატი და გითხრათ, რომ ასკურავა ამისთვის მზადაა, უცებ გაჩნდა სხვა მოთხოვნაც, უკვე საკრებულოს თავმჯდომარის გადადგომასთან დაკავშირებით.

დასასრული მე-11 გვერდზე

„მაკდონალდსის“ საქველმოქმედო აქციის შედეგად შეგროვებული თანხით სიმსივნით დაავადებული ბავშვები იმკურნალებენ

საქველმოქმედო აქციის — „ბედნიერი დღეები მაკდონალდსში“ შედეგად შეგროვებული თანხა „კიბოს კვლევის ცენტრს — მარტინ დ. აბელოფის ლაბორატორიას“ გადაეცა და კიბოთი დაავადებული ბავშვების მკურნალობას მოხმარდება. აქციის შედეგები „მაკდონალდსის“ ფილიალში პრესკონფერენციის დროს შეჯამდა.

„მაკდონალდსის“ დირექტორის, **თენგიზ კაპანაძის** განცხადებით, აქციის შედეგად შეგროვებული თანხა სიმსივნით დაავადებული 5 ბავშვის დიაგნოსტიკას, კვლევასა და მკურნალობას მოხმარდება. ამასთან, კიბოს კვლევის ცენტრი თავის მხრივ ბავშვებს საშუალებას მისცემს, 14 ათას ლარამდე ღირებულების სამკურნალო პროცედურები და კვლევები ჩაიტარონ.

„ამ მასშტაბურ პროექტში ყოველწლიურად საქართველოც ერთვება და სიამოვნებით უწყობს ხელს სიმსივნით დაავადებული ან სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის თანხების შეგროვებას. 20 ნოემბერს, აქციის ფარგლებში, „მაკდონალდსის“ ყველა რესტორანთან დამონტაჟდა სპეციალური ფოტოკაბინები „გაიღე ღიმილი“. ფოტოს გადაღება კი ამ მხიარულ ფოტოკაბინაში სულ 2 ლარი ღირდა. ამასთანავე, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ შეიქმნა სპეციალური აპლიკაცია, სადაც ღილაკ „დაეხმარე“-ზე თითოეული დაწკაპუნებისას „მაკდონალდსი“ თავის მხრივ საქველმოქმედო ანგარიშზე 10 თეთრს რიცხავდა. აქციამ 10 დღე გასტანა. ვიმედოვნებთ, რომ ცენტრს ჩვენი საქველმოქმედო აქციის შედეგად მოგროვებული თანხა არაერთი სასიკეთო მიზნის განხორციელებაში დაეხმარება, მით უფრო, რომ საქმე ამ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოების ყველაზე უმცროს წარმომადგენლებს ეხება, რომლებიც მძიმე სენს ებრძვიან“, — განაცხადა თენგიზ კაპანაძემ.

„კიბოს კვლევის ცენტრი — მარტინ დ. აბელოფის ლაბორატორიის“ ხელმძღვანელის **ალექსანდრე თავართქილაძის** განცხადებით კი, ასეთი ტიპის ქველმოქმედება სიმსივნით დაავადებული ბავშვებისათვის საუკეთესო საჩუქარია, ვინაიდან ისინი აღნიშნული თანხით არაერთი სამედიცინო პროცედურის ჩატარებას შეძლებენ.

„მოხარულები ვართ, რომ „მაკდონალდსმა“ ასეთი საქველმოქმედო აქცია სწორედ ონკოლოგიური პრობლემების მქონე ბავშვების დასახმარებლად ჩაატარა. ასეთი დაავადებების მქონე ბავშვებს არაერთი სამედიცინო კვლევა თუ მანიპულაცია ესაჭიროებათ, გადმოცემული თანხაც სწორედ აქეთ იქნება მიმართული. მადლობას ვუხდით „მაკდონალდს“, რომ სიმსივნით დაავადებულ ბავშვებზე ზრუნვა მათი პრიორიტეტია“, — აღნიშნა ალექსანდრე თავართქილაძემ.

აქცია „ბედნიერი დღეები მაკდონალდსში“ ყოველწლიურად ტარდება და მსოფლიოს მასშტაბით კომპანიის მიერ განხორციელებულ ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ პროექტს წარმოადგენს. აქცია ყოველწლიურად მსოფლიო 119 ქვეყანაში მდებარე 34,000 რესტორანში ერთდროულად ტარდება.

ხათუნა ოჩიაური: „IRI-ს კვლევების თანახმად, საქართველოში იგივე პრობლემები დგას, რაც არჩევნებამდე“

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ხათუნა ოჩიაურის განცხადებით, **IRI**-ს კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის წინაშე იგივე პრობლემები დგას, რაც არჩევნებამდე.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (**IRI**) წარმომადგენლებმა საქართველოს მოსახლეობის განწყობის შესასწავლად ჩატარებული უკანასკნელი კვლევის შედეგები „ნაციონალურ მოძრაობას“ გააცნეს.

„კვლევის თანახმად, მოსახლეობის წინაშე იგივე მთავარი პრობლემა დგას, რაც იყო არჩევნებამდე და ბოლო პერიოდის განმავლობაში, ესაა დასაქმება, სამუშაო ადგილების შექმნა. გარდა ამისა, მოსახლეობას აქვს მოლოდინი, რომ ახალი მთავრობა დაპირებებს შეასრულებს და ორ ძირითად პოლიტიკურ ძალას შორის დიალოგი შედგება“, — განაცხადა ოჩიაურმა.

„პირველი“

გაორებული „ოცნება“ და გაოგნებული თვითმმართველობა ლანჩხუთში

მე-10 გვერდიდან

ყოველდღე შეიცვლება მოთხოვნები, თუ ჩამოყალიბდებით რაიმე კონკრეტულზე?

— მე შიმშილობა დავიწყე გუშინ და მაქვს კონკრეტული მოთხოვნები: გადადგეს პრეზიდენტი, გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი, ლანჩხუთის გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე.

— „შეწყდეს ფარული გარიგებები“ — ამაში რას გულისხმობთ? ფაქტია, ორი მხარე გყავთ ნაგულისხმები.

— არ ვიცი, რა მხარეზეა საუბარი. ეს ჩემი კი არა, აქციის ახალგაზრდა მონაწილეების მოთხოვნაა.

— ანუ, ყველას აქვს უფლება, მოვიდეს აქციაზე, რომლის ორგანიზატორად თქვენ სახელდებით და ახალ-ახალი მოთხოვნებით მიაღწიონ საკუთარ მიზნებს, თუ რა ხდება?

— ეს მე არ ვიცი. მე, როგორც რიგით მოქალაქეს, მაქვს კონსტიტუციური უფლება, მოვითხოვო, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები და მათ შორის, პრეზიდენტი აღარ მართავდნენ ქვეყანას.

— რადგან კანონსა და კონსტიტუციურ უფლებაზე საუბრობთ, ამ ადამიანების უფლებაზე რას გვეტყვით? მაგალითად, საკრებულოს თავმჯდომარეს ლეგიტიმაცია 2014 წლამდე კანონით აქვს მინიჭებული, თქვენ კი ამ უფლებამოსილების შეჩერებას ითხოვთ.

— მე არ მოვითხოვ, რომ მან საკრებულო დატოვოს. უბრალოდ, თავმჯდომარე არ უნდა იყოს.

— ეს დეპუტატების გადასაწყვეტია, ბატონო გია.

— დიახ, მათია და მე არ ვერევი მაგაში.

— პროტესტის ასეთი ფორმა დეპუტატებზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზეწოლას ხომ არ ნიშნავს?

— არა. არავისზე ზეწოლას არ ვახდენ.

— და შიმშილობას რამდენ ხანს გააგრძელებთ?

— სანამ არ გადადგებიან ის ადამიანები, ვისზეც უკვე გესაუბრეთ, მათ შორის პრეზიდენტიც“.

რომან ბიწაძე, აქციის მხარდამჭერი, რესპუბლიკური პარტიის ლიდერი:

— ამ აქციის ორგანიზატორი გია ფირცხალაიშვილია, მე აქ ვარ, როგორც რიგითი მოქალაქე იმიტომ, რომ ესენი ჩემი თანამებრძოლები და მეგობრები არიან.

— თქვენ აქ წარმოადგენთ კოალიციასაც, ბატონო რომან, როგორც მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი.

— მხარს ვუჭერ იმ მოთხოვნებს, რაც აქ არის.

— გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის გადადგომის მოთხოვნას, დეპუტატი თემურ ჩხაიძე ალოგიკურს უწოდებს, ამბობს, რომ ყველაფერი კანონის სრული დაცვით მოხდება და ადგილი არ უნდა ჰქონდეს პროვოკაციას. რატომ ცივილურ ფორმას არ მიმართავთ, სულ მალე ხომ გამოცხადდება კონკურსი გამგებლის თანამდებობაზე?!

— მართალია, არ ეთანხმება ის კაცი ასეთ ფორმას, მაგრამ ჩვენთვის უცნობია, ვის მოიაზრებს იგი გამგებლად. ჰყავს რამდენიმე კანდიდატურა და ჩვენ არაფერს გვეკითხება. ახლა კუკუ-დამალობანას ხომ არ ვითამაშებთ?

— ფაქტია, კოალიციის მოსაზრება ორად იყოფა, დეპუტატი და რამდენიმე წევრი გმობს ასეთ ფორმას, თქვენ მათ ფარულ გარიგებებში სდებთ ბრალს. რატომ მიიღო ჩვეული სახე იმან, რომ კოალიციაში კონსენსუსამდე ვერ მიდიხართ?

— მე ვარ ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგი და ამიტომაც ვარ აქ. არ მინდა, განმეორდეს იგივე, რაც მოხდა მარტვილში.

— დეპუტატი ამბობს, რომ რა მოთხოვნებიც აქ ჟღერდება, არ არის „ქართული ოცნების“ მიზანი, კულუარებიდან კი გამოვიდა ინფორმაცია, რომ ეს ყველაფერი კუკავას შტაბიდან იმართება.

— რას ამბობთ, ეს ცილისწამებაა. პირიქით, კუკავას შტაბთან ბატონ თემურს უფრო ხშირად ნახავთ. მიბრძანდით ადგილზე და თავად დაინახავთ, იქ ვინ შედის და ვინ გამოდის“.

რევაზ ჩიტიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

— მხოლოდ 29 ნოემბერს გაჩნდა მოთხოვნა თქვენი გადადგომის თაობაზე, რას აპირებთ?

— ყოველთვის მიუღებელია აქციის ასეთი ფორმა და სახე. ყველაფერს აქვს თავისი წესი, რომელსაც არეგულირებს კანონი. ჩემთვის, პირადად, ეს თანამდებობა არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, სხვა არაფერი. არც ამის დათმობაა პრობლემა, მაგრამ ეს უნდა იყოს იმ საკრებულოს წევრების მოთხოვნა, რომლის თავმჯდომარესაც წარმოვადგენ. ხვალ რას ვაპირებ? მინდა გითხრათ, რომ გამგებლის ვაკანსია არის ლანჩხუთში. პირადად მე კი, მაქვს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, განვიხილავთ 2013 წლის ბიუჯეტს. დატვირთული და აქტიური პერიოდია და უფლება არ მაქვს, ამ პროცესებს ხელი შევუშალო.

— ამოვიკითხეთ ასეთი მოთხოვნაც — „მიეცით თავისუფლება საკრებულოს დეპუტატებს“. საერთოდ რატომ ჩნდება მოსაზრება, რომ დეპუტატები იმყოფებიან წნეხის ქვეშ და მეორე, ის რამდენად არის ზეწოლა საკრებულოს დეპუტატებზე, რაც გარეთ ხდება?

— საერთოდ, სასაცილოა ამაზე საუბარი. ყველა ადამიანი თავისუფალია და ყველას აქვს თავისი აზრისა და ნების გამოხატვის საშუალება, მაგრამ ეს ფაქტი, შეიძლება ერთგვარ ზეწოლად განვიხილოთ იმიტომ, რომ გარკვეულ პროცესებს არა მარტო ხელს უშლის, არამედ დაძაბულობას და ცუდ მუხტს ბადებს“.

კახა ასკურავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი:

— ბატონო კახა, წარწერა, დავაკმაყოფილოთ ლანჩხუთის მოსახლეობის მოთხოვნა — გადადგეს კახა ასკურავა...

— გამგეობის შენობის წინ, ჩემი გადადგომის მოთხოვნით, მოსახლეობის აქცია ნამდვილად არ მიმდინარეობს და ამას თავადვე დაინახავდით. მე საკრებულოს სხდომაზეც გავაკეთე განცხადება, რომ თუნდაც ერთი ადამიანის მოთხოვნა ჩემთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩემი გადადგომის მოთხოვნა ნამდვილად არასერიოზულად ჟღერს. მე ვარ გამგებლის მოადგილე და ვასრულებ მის მოვალეობას. ასე რომ, ეს მოთხოვნაა თავად არაკომპეტენტური. ის ადამიანები, ვინც კარავში არიან, ცოტა უხერხულ მდგომარეობაში იგდებენ თავს. ჩვენ შევთავაზეთ მათ ცივილური ფორმა, რომ გამოცხადდება კონკურსი გამგებლის თანამდებობაზე და ნებისმიერ მსურველს შეეძლება მონაწილეობა. ისინი თავს გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალად მიიჩნევენ და ასეთი მიდგომები ცოტა არასერიოზულია.

— თუმცა „ოცნება“ უარყოფს აქციის ორგანიზატორობას და მასთან რაიმე ტიპის კავშირს. მაგალითად, რომან ბიწაძე აცხადებს, რომ ის კონკრეტულ შემთხვევაში მხარს მოსახლეობის მოთხოვნებს უჭერს და ამიტომაც დგას იქ.

— ამაზე გეუბნებით, არასერიოზულია ეს ყველაფერი-მეთქი. ბატონი რომანი კოალიციის ერთ-ერთი აქტიური წევრი და რესპუბლიკური პარტიის ლიდერია. პირადად, მე, არანაირ სკამს არ ვეპოტინები, მიუხედავად იმისა, რომ ვფიქრობ, ვინმეზე ნაკლები გამგებელი არაფრით ვიქნები, მაგრამ მზად ვარ, თუ ჩემი გადადგომა ამ ჯგუფს დააცხრობს, გადავდგე კიდეც, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი ჩათვლის ამას საჭიროდ, რადგან თემურ ჩხაიძე არის ადგილზე კოალიციის გამარჯვებული.

— ანუ, ჩხაიძის გადაწყვეტილებაზე ხართ დამოკიდებული?

— არა. მე დამოკიდებული ვარ კონკურსზე.

— თქვენ მიიღებთ მასში მონაწილეობას?

— მივიღებ მონაწილეობას, მაგრამ, ამ ეტაპზე გამგებლის მოვალეობას ვასრულებ. სხვანაირად არ შეიძლება. მუშაობის პროცესს ხელს ვერ შევუშლით და ვერ შევაფერხებთ.

მოასწრებს თუ არა „ტანაპი“ რუსული გაზის „განეიტრალებას“

ზურაბ გამრეკელი

ა/წლის 7 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, შავი ზღვის პორტ ნოვოროსიისკთან, საზეიმო ვითარებაში გახსნის რუსეთ-ბულგარეთის დამაკავშირებელი „სამხრეთის ნაკადის“ გაზსადენის საზღვაო მონაკვეთის მშენებლობას.

„სამხრეთის ნაკადის“ წარმატების საიდუმლო

რუსული „სამხრეთის ნაკადის“ წარმატება მოსკოვისადმი სოფიას პოზიციის შერბილებამ განაპირობა, რაც მოსკოვისათვის დღემდე გადაულახავ ბარიერს წარმოადგენდა. ბულგარეთის სახელმწიფო კომპანიამ „ბულგარგაზმა“ რუსულ „გაზპრომთან“ გააფორმა ათწლიანი კონტრაქტი, 2013 წლიდან ყოველწლიურად 2.9 მლრდ კუბმეტრი გაზის მიღებაზე. კონტრაქტი, რომლის დეტალებიც საიდუმლოა, გულისხმობს „ტრანსბალყანური გაზსადენით“, რომელსაც საბჭოთა დროს „პროგრესს“ უწოდებდნენ, მისაღები რუსული გაზის ფასის 20%-ით გაიაფებას – ათას კუბმეტრზე 524-დან, 420 დოლარამდე; ასევე, გაზმომარაგების სქემიდან შუამავალი კომპანიების – რუსულ-ბულგარული „ოვერგაზის“ (50% „გაზპრომისაა“, 50% — „ოვერგაზჰოლდინგის“) და რუსულ-გერმანული **WIEE**-ს (50% „გაზპრომისაა“, 50% — გერმანული „უინტერშალის“) ჩამოცილებას; ახალ შეთანხმებაში ასახულია ექვსი წლის შემდეგ კონტრაქტის გადახედვის შესაძლებლობა; ასევე, უფრო მოქნილი „აიღე ან გადაიხადეს“ პრინციპი (თუ წინა კონტრაქტის თანახმად, ის 90% მისაწოდებელ გაზს ეხებოდა, ახალი კონტრაქტით — 80%-ს შეეხება). იმავდროულად, „გაზპრომმა“ და „ბულგარეთის ენერგოჰოლდინგმა“ მიიღეს „სამხრეთი ნაკადი ბულგარეთის“ (50%-50%) საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილება.

რამდენიმე დღით ადრე, ანალოგიური გადაწყვეტილებები მიღებული იქნა „სამხრეთის ნაკადის“ შავი ზღვის სექციისა და ცალკეული ქვეყნების (სერბეთი, უნგრეთი, სლოვენია) ეროვნული გაზსადენების სექციების მშენებლობაზე.

გავრცელებული ინფორმაციით, ბულგარეთის პრემიერმა ბოიკო ბორისოვმა უარყო გავრცელებული აზრი, რომ ის თავის დროზე, პოლიტიკური მოსაზრებების გამო იყო ამ გაზსადენის აგების წინააღმდეგი. პირიქით, მან მიუთითა ბულგარეთისთვის „სამხრეთის ნაკადის“ გაზსადენის მნიშვნელობაზე, თუმცა არ დაადასტურა ხმები, თითქოს მის მთავრობას ეს პროექტი იმდენად მოსწონს, რომ რუსულ მხარეს სატრანზიტო გადასახდელებსაც კი არ გადაახდევინებს. პირიქით, მისი აზრით, ამ შემოსავლებმა ქვეყნის სოციალური ინფრასტრუქტურა უნდა გააუმჯობესოს. ამასთან, ბორისოვმა ვერ დამალა გაზსადენის ეკონომიკური მნიშვნელობაც: „ეს 16 მლრდ დოლარის ღირებულების გაზსადენი აიგება არა სახელმწიფო, არამედ კერძო დაფინანსებით“, — აღნიშნა მან. პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ ბულგარეთისთვის ეს გაზსადენი „ნაბუქოსა“ და „დერეფნის“ სხვა პროექტებზე აქტუალურია, ვინაიდან ის ქვეყნის გაზმომარაგებას ემსახურება მაშინ, როცა ევროკავშირის „დერეფნის“ პროექტებს სოფიასთვის მხოლოდ სატრანზიტო მნიშვნელობა აქვს. ამრიგად, თავის ტერიტორიაზე „სამხრეთის ნაკადის“ გაყვანის ნებართვის გაცემაში ბულგარეთი იაფ რუსულ გაზსა და სერიოზულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს.

თუმცა, ბულგარეთის მიერ „გაზპრომისთვის“ მის ენერგოპროექტზე ნებართვის მიცემის მიუხედავად, მის დაუყოვნებელ რეალიზაციას, სავარაუდოდ, ხელს შეუშლის ევროკავშირის მიერ მოთხოვნილი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ არარსებობა. ასევე, ევროკავშირის „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნების შეუსრულებლობა და რუსული გაზსადენის მთავარი კონკურენტის, აზერბაიჯანულ-თურქული „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ მშენებლობის დაჩქარება. კონკურენციის სიმწვავეზე „სოკარის“ ელვისებური საპასუხო ნაბიჯები მეტყველებს.

ბაქოს გეოპოლიტიკური პასუხი

სწორედ ევროკავშირის მოთხოვნების გათვალისწინება იქნება, ევროკომისარ გიუნტერ ეტინგერის აზრით, აზერბაიჯანულ-თურქული „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ (**TANAP**) წარმატების საწინდარი. ეს მილი საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადენის“ (**SCP**) გაგრძელება იქნება ერზერუმიდან ბულგარეთ-თურქეთის საზღვრამდე, საიდანაც ის ცენტრალური და სამხრეთ ევროპის გაზმომარაგებისთვის, ევროკავშირის „ნაბუქო-უესტს“ დაუკავშირდება. არ გამორიცხავენ მისი მეორე განშტოების „ტრანსადრიატიკული გაზსადენით“ (**TAP**) ბალკანეთიდან იტალიამდე გაგრძელებასაც. ამ გაგრძელების მარშრუტების საკითხზე „შაჰ-დენიზის“ კონსორციუმი საბოლოო გადაწყვეტილებას 2013 წლის II კვარტალში მიიღებს — მთავარია, „ტანაპის“ აზერბაიჯანულ-თურქული კონსორციუმი უკვე რეალურად არსებობს.

აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის ვიცე-სპიკერის განცხადებით, ამჟამად აზერბაიჯანული ენერგეტიკული რესურსები მსოფლიოს შვიდი საექსპორტო მილსადენით მიეწოდება. მისი ინფორმაციით, „ტანაპის“ მძლავრი გაზსადენი, 2017 წლიდან, ევროპაში გაიტანს აზერბაიჯანის ახალი საბადოების – „შაჰ-დენიზი 2“-ის, „აფშერონის“, „უმიდის“ და ა.შ. გაზს. მეტიც, ამ დღეებში გაზსადენ „ტანაპზე“ სტატია ცნობილმა ჟურნალმა „ფორბსმაც“ გამოაქვეყნა, სადაც მიუთითა, რომ ევროპული „ნაბუქოს“ ირგვლივ არსებული მრავალწლიანი გაურკვევლობის შემდეგ, თურქეთმა და აზერბაიჯანმა ამ პროექტის შექმნა, სწორედ რომ, დროულად გადაწყვიტეს. მასში წილის შეძენით დაინტერესდნენ მსოფლიოს ისეთი ენერგეტიკული ლიდერები, როგორებიცაა „ბი-პი“, „სტატოილი“ და „ტოტალი“.

ევროკომისარმა გიუნტერ ეტინგერმა განაცხადა, რომ 30 ტრლნ კუბმეტრი გაზის მარაგის მქონე აზერბაიჯანული გაზის შესყიდვა ევროპას ამ გაზსადენით პირდაპირ, შუამავლების გარეშე ურჩევნია. ეტინგერმა მაღალი შეფასება მისცა „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ პროექტს და აზერბაიჯანულ და თურქულ მხარეებს მისი დროულად განხორციელებისკენ მოუწოდა.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, მართალია, ზოგადად „სამხრეთის გაზის დერეფნის“ სიტყვიერი მხარდაჭერა გამოხატა, მაგრამ „ფორბსს“ მიაჩნია, რომ აშშ-მ სწორედ „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ მხარდაჭერა უნდა გააააქტიუროს.

ბრიუსელში „სოკარის“ წარმომადგენლობის (სტამბოლისა და ლონდონის ოფისების შემდეგ) გახსნაზე გამოსვლისას, ევროპის ენერგოკომისარმა ეტინგერმა არ გამორიცხა ბრიუსელის მიერ „ნაბუქოს“ ჩანაცვლება „ტრანსანატოლიური გაზსადენით“ და იმედი გამოთქვა, რომ თურქული და აზერბაიჯანული მხარეები ამ გაზსადენის ირგვლივ გაფორმებული შეთანხმებების დროულ რატიფიცირებას მოახდენენ.

ამ ინფორმაციის გავრცელებიდან რამდენიმე დღეში, აზერბაიჯანის პარლამენტმა მოახდინა ივნისის ბოლოს ხელმოწერილი აზერბაიჯან-თურქეთის სამთავრობათაშორისო შეთანხმების რატიფიცირება, თურქეთის ტერიტორიაზე აზერბაიჯანული გაზის შესყიდვის, რეალიზაციის, ტრანზიტისა და სატრანზიტო ტარიფების შესახებ. ასევე, რატიფიცირებულია ორი ქვეყნის ხელშეკრულება, შავ ზღვაზე რუსული „სამხრეთის ნაკადის“ მთავარი კონკურენტის — „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ მშენებლობის შესახებ. თუმცა, ბაქოს ბუნდოვანმა საექსპორტო ამბიციებმა „სოკარის“ წარმომადგენლობის გახსნის საზეიმო განწყობა გარკვეულწილად დაჩრდილა.

კერძოდ, მართალია, ევროპის „დედაქალაქში“ „სოკარის“ ოფისის გახსნა დასავლეთში მიიჩნიეს, როგორც „შაჰ-დენიზის“ მეორე ფაზის გაზის, რუსეთის გვერდის ავლით, ევროპაში მიწოდებისკენ, ბაქოს მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯი, მაგრამ ოფისის გახსნისას „სოკარ აზერქიმიას“ ხელმძღვანელის, მუხტარ ბაბაევის გამოსვლაში, სრულიად მოულოდნელად, რატომღაც, ევროკავშირის მკვეთრი კრიტიკა გაისმა. თანაც, წარმომადგენლობის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე აზერბაიჯანული მხარის მომხსენებლებმა იმდენად გადააჭარბეს დროის ლიმიტს, რომ ევროკომისარ გიუნტერ ეტინგერს თავისი გამოსვლის ერთი საათით დაგვიანებით დაწყება მოუწია. სამწუხაროდ, ამ ფაქტებმა ბრიუსელში ისევ ეჭვები გააჩინა ბაქოს საექსპორტო გეგმების მიმართ.

ზემოაღნიშნული ოფისის გახსნას, სავარაუდოდ არაშემთხვევით, დროში დაემთხვა კიდევ ერთი, საინტერესო მოვლენა. აზერბაიჯანული პრესის ცნობით, ნატო-ს სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ ბაქომ ბრიუსელში წარადგინა სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ალიანსის მიერ დაცვის წინადადებები, რაზეც ბრიუსელს არანაირი საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს. აზერბაიჯანს მიაჩნია, რომ ენერგეტიკის სახელმწიფოთაშორისო ბრძოლის მთავარ იარაღად სულ უფრო მეტად გამოყენების კვალობაზე, მსოფლიოში ენერგოუსაფრთხოების დაცვისადმი მოთხოვნები გაიზრდება. რუსული „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობის დაწყებამ, სავარაუდოდ, გაზარდა აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე არსებული რუსული პროექტებისადმი ალტერნატიული მილსადენებისადმი პოტენციური საფრთხე და ბაქოში სრულიად სამართლიანად ჩათვალეს, რომ ნატო-ს მიერ მათი დაცვა აუცილებელია.

ამიტომაა, რომ აზერბაიჯანის მიერ ნატოში წარდგენილი წინადადებების ძირითადი ნაწილი ეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-სუფსას ნავთობსადენებისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის ფიზიკურ დაცვას. ეს წინადადებები ასახავს ასევე, ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში არსებული ინფრასტრუქტურისადმი, სომხეთის მხარის მიერ, არაერთხელ გამოთქმულ მუქარაზე სათანადო რეაგირებას.

„ტანაპის“ გეოეკონომიკური გამოწვევები

აზერბაიჯან-თურქეთის „ტანაპის“ პროექტის რატიფიცირების დაჩქარება, გარდა კონკურენტი „სამხრეთის ნაკადის“ წარმატებებისა, სავარაუდოდ, კიდევ ორმა მიზეზმა განაპირობა.

ერთია, უკრაინის პოზიციის ცვლილება, რომელიც თუ ადრე რუსული მილსადენების გაზის სანაცვლოდ, აზერბაიჯანული თხევადი გაზის ყულევის ტერმინალიდან მიღებას გეგმავდა, ახლა აქცენტს ყატარის იაფ თხევად გაზზე აკეთებს.

უკრაინის საინვესტიციო და ეროვნული პროექტების სააგენტოს ხელმძღვანელმა ვლადისლავ კასკივმა, აგრეთვე ესპანური „გაზ ნეიჩურალ ფენოსას“ (**Gas Natural Fenosa**) და ამერიკული „ექსელერეიტ ენერჯის“ (**Excelerate Energy**) მენეჯერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებებს უკრაინაში, ოდესასთან, თხევადი გაზის ტერმინალის აგების შესახებ. ამერიკული ფირმა გაზის გათხევადების მცურავი ქარხნების მფლობელი ცნობილი კომპანიაა, რომლებსაც უკრაინული მხარე, სავარაუდოდ, იჯარით აიღებს. ხოლო ესპანური კომპანია ინვესტორია, რომელიც მომავალი ტერმინალის აქციების ერთი ნაწილის მფლობელი იქნება. ამასთან, უკრაინულ პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია მასზედ, რომ ამ დღეებში ყატარში უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტის დროს, მოლაპარაკებების ერთ-ერთი ძირითადი თემა იქნება უკრაინული მარცვლეულის ბარტერი ყატარის თხევად გაზში.

არსებული ინფორმაციით, მიწოდების ხარჯის გათვალისწინებით, ყატარული თხევადი გაზი უკრაინას სამჯერ იაფი დაუჯდება, ვიდრე — რუსული ან აზერბაიჯანული. ეს გაზი, უკრაინის რეგაზიფიკაციის საკუთარი ტერმინალის აშენებამდე, იჯარით აღებულ მცურავ ამერიკულ ტერმინალებზე შეინახება. ამიტომ, აზერბაიჯანული გაზის ევროპაში მიწოდების ძირითად მარშრუტად უახლოეს წლებში უკრაინა, სავარაუდოდ, აღარ განიხილება და კვლავ თურქეთი დარჩება.

„ტანაპის“ შეთანხმების რატიფიცირების დაჩქარების მეორე მიზეზია, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ამერიკული „ნობელ ენერჯის“ დახმარებით, ისრაელის მიერ გაზის სამრეწველო მასშტაბებში მოპოვების დაწყება, რაც კასპიისპირეთის „მეოთხე გაზის დერეფნის“ კონკურენტი მარშრუტი ხდება. ეს ნიშნავს, რომ 2012 წელს კასპიისპირეთის ქვეყნების ნახშირწყალბადების საექსპორტო ინფრასტრუქტურას, რუსული „სამხრეთის ნაკადის“ გარდა, ხმელთაშუაზღვისპირეთში ახალი გამოწვევებიც გაუჩნდა.

კერძოდ, ა/წლის 27-28 მარტს ქ. ათენში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც აშშ-ს, საბერძნეთის, ისრაელის, კვიპროსის და სხვა მონაწილეების თანდასწრებით, ევროკავშირის ახალი ენერგეტიკული „დერეფნის“ შექმნა გამოცხადდა. საუბარია ამ რეგიონში აღმოჩენილი ახალი საბადოების აირის ევროპაში ტრანსპორტირებაზე. მაგრამ, აშშ-ს „ნობილ ენერჯის“ მიერ კვიპროსის ოფშორზე გაზის საბადოების ისრაელის მონაწილეობით დამუშავებას ეწინააღმდეგება თურქეთი, ლიბანი და რუსეთი. თუმცა, ამ ეტაპზე ეს ქვეყნები, ზემოაღნიშნულ კონფერენციაში მონაწილე საერთაშორისო აქტორების მიმართ მუქარისშემცველი განცხადებებით იფარგლებიან მაშინ, როცა კონფერენციის მონაწილეებმა უკვე კონკრეტული მოქმედებები დაიწყეს. ისრაელის ენერგეტიკის მინისტრის, უზი ლანდაუს ინფორმაციით, ქვეყანამ შექმნა სამთავრობო კომისია, რომელიც ხუთ საკითხზე იმუშავებს:

* აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის გაზის ისრაელში მიწოდება ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის;
* მსოფლიო ენერგობაზრის მომარაგებისთვის კვიპროსზე და ისრაელში თხევადი გაზის ტერმინალების შექმნა;
* გაზის ოფშორულ საბადოებთან თხევადი გაზის მცურავი ტერმინალის შექმნა;
* საბადოებიდან საბერძნეთში, იქიდან კი იტალიის გავლით, ევროკავშირში გაზსადენის აგება;
* ელექტროენერგიის გაზით გენერაციის სრული ციკლის გამოყენება და ისრაელ-კვიპროს-საბერძნეთის მომხმარებლების დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის კაბელის გაყვანა.

ამ გეგმის განხორციელებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბერძნეთს, რომელიც იზიარებს ევროპისკენ გაზსადენის აგების გეგმას, რადგან იმედი აქვს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ენერგოუსაფრთხოებისთვის ის რეგიონულ „ჰაბად“ გადაიქცევა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის „დერეფნის“ ერთ-ერთი პროექტის, „ინტერკონექტორი თურქეთი-საბერძნეთი-იტალია“ (**ITGI**) პარტნიორები, იტალიური „ედისონი“ და ბერძნული სახელმწიფო კომპანია „დეპა“ (ის პროექტში მონაწილეობს ფილიალით-**DESFA**-თი), ასევე დაინტერესებულნი არიან აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან რუსული ან აზერბაიჯან-ულ/ცენტრალურაზიური გაზის მარშრუტების ალტერნატივის შექმნით.

დასასრული მე-13 გვერდზე

მე-12 გვერდიდან

ესაა აზერბაიჯანის ამბიციების ზრდის „მესამე განზომილება“ (ევროპის გაზმომარაგებისა და კასპიის რესურსების ტრანზიტის მონოპოლიზების გვერდით). გამომდინარე აღმოსავლეთ ბალკანეთში „ნაბუქო-უესტისა“ და „ბი-პის“ ინიცირებული „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპული მილსადენის“ (**SEEP**) კონკურენციიდან, სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ ზემოაღნიშნული ორი პროექტის დამანგრეველი დაპირისპირების შედეგად, აზერბაიჯანული გაზის რაღაც რაოდენობა, ცენტრალური ევროპის გარდა, წავა საბერძნეთისკენაც, ხოლო იქიდან იტალიის „ჰაბებისკენ“ გაემართება. ამისთვის ევროკავშირის ფავორიტი პროექტია „ტრანსადრიატიკული გაზსადენი“ (**TAP**), რომელმაც „შაჰ-დენიზის“ ტენდერში „ინტერკონექტორი“ (**ITGI**) დაამარცხა. სწორედ ამ პროექტების შანსების გათანაბრების მიზნით აიძულებს ბრიუსელი საბერძნეთს, მოახდინოს **ITGI**-ის მთავარი „მამამძრავებელი ძალის“ – ბერძნული „დეპას“ პრივატიზება.

კონკურენცია ბერძნული გაზგამანაწილებელი ქსელის ირგვლივ

„დეპას“ პრივატიზებამ, შესაძლოა, შეცვალოს ძალთა ბალანსი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ათენის გამოცხადებულ საპრივატიზებო აუქციონში, 14 მონაწილე კომპანიას შორის, ერთ-ერთი მთავარი ადგილი „სოკარს“ უჭირავს. თუ „სოკარი“ შეძლებს „დეპას“ ყიდვას, მაშინ **ITGI** „ახალი სიცოცხლის“ შანსს მიიღებს, როგორც აზერბაიჯანის სტრატეგიული პრიორიტეტი ბალკანებზე. მეტიც, „ნაბუქოში“ აზერბაიჯანის ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობის მიუხედავად, „დეპას“ პრივატიზებით ბაქო, როგორც აქციონერი, „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ინფრასტრუქტურაში (რომელიც გადაჭიმული იქნება „შაჰ-დენიზიდან“, „ტანაპის“ გავლით, იტალიის ნაპირებამდე), მიიღებს საკუთარ წილს. ამასთან, აზერბაიჯანისთვის ნულოვანი ფასეულობა აქვს „დეპას“ ყიდვას იმ შემთხვევაში, თუ იგი საბერძნეთის გავლით გაზის ტრანსპორტირებაში არ მიიღებს მონაწილეობას.

არაა გასაკვირი, რომ „დეპას“ ყიდვის ერთ-ერთი მსურველი „გაზპრომია“, რომლის ეს სურვილი პირდაპირაა დაკავშირებული მისი „სამხრეთ ნაკადის“ სატრანზიტო გეგმებთან. თავის მხრივ, ათენი მიიღებს საკმაოდ დიდ შემოსავალს ამ გარიგებიდან, თანაც ჩაერთვება რუსული ან აზერბაიჯანული გაზის ტრანზიტში, თუმცა საკითხავია, რამდენად იქნება ეს პოზიტიური ევროპის ენერგო-ბაზრისთვის. გაზის მომწოდებელი და თან ტრანზიტორი, ანუ ვერტიკალურად ინტეგრირებული რუსული „გაზპრომის“ ან აზერბაიჯანული „სოკარის“ მიერ „დეპას“ ხელში ჩაგდება, არ იქნება შესაბამისობაში ევროკავშირის „მესამე ენერგოპაკეტთან“.

აშშ-ს პოზიცია, ამ თვალსაზრისით, თურქეთის ინტერესების მაქსიმალურად მხარდაჭერაა. ზემოაღნიშნულ კონფერენციაზე შემთხვევითი არ იყო, აზერბაიჯანში აშშ-ს ახლანდელი ელჩის, რიჩარდ მორნინგსტარის შენიშვნა მასზედ, რომ რეგიონში გაზის მოპოვების კუთხით არსებობს რამდენიმე სამართლებრივი და პოლიტიკური პრობლემა, რომლებიც უნდა გადაიჭრას, თანაც ისე, რომ აღნიშნული ენერგორესურსებით რეგიონის მეზობლად მყოფმა ყველა ქვეყანამ ისარგებლოს. რიჩარდ მორნინგსტარმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა აშშ-ს მხარდაჭერა „სამხრეთის გაზის დერეფნისადმი“ და უარყო რუსეთის მონაწილეობის შესაძლებლობა მასში ისევე, როგორც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის ახალ ოფშორულ საბადოებში. მან ასევე არ გამორიცხა ამ რესურსებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მომარაგებაში „ტრანსადრიატიკული გაზსადენისა“ (**TAP**) და „ინტერკონექტორის“ (**ITGI**) პროექტების თანამშრომლობა.

რუსული მხარე ელოდება რუსეთის პრეზიდენტის ისრაელში ვიზიტს, სადაც ვლადიმირ პუტინი, სავარაუდოდ, დააყენებს საკითხს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის საბადოების ერთობლივ ათვისებაზე და ამით ევროპის გაზმომარაგებაში „გაზპრომის“ მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნებაზე. მანამდე, ექსპერტების აზრით, რუსეთი შეეცდება, ყოველნაირად შეაფერხოს ამ საბადოების ათვისების დაწყება.

მით უმეტეს, რომ ა/წლის მაისის ბოლოს გამართულ „ხმელთაშუაზღვის ნავთობისა და გაზის მე-3 კონფერენციაზე“ კვლავ დაისვა ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნისა“ და „გაზპრომზე“ დამოკიდებულების შესამცირებლად გაზმომარაგების დივერსიფიკაციის საკითხები.

კონფერენციაზე „შაჰ-დენიზის“ მეორე ფაზის გაზის ტრანსპორტირების ტენდერში დამარცხებული „ინტერკონექტორის“ (**ITGI**) პროექტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ბერძნული კომპანია „დეპას“ მენეჯერი საჩინისი თავის გამოსვლაში ევროკავშირის „დერეფნის“ მნიშვნელობის ყოველნაირად შემცირებას ცდილობდა. მისი ინფორმაციით, წელს იტალიაში მზის ენერგიაზე მასობრივად გადასვლის გამო, ამჟამად, იქ 6 მლრდ კუბმეტრით შემცირდა გაზის მოხმარება და ამის გამო, საჩინისმა ბრიუსელს მოუწოდა არა „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტების ხელშეწყობისკენ, არამედ ბალკანეთის ქვეყნების „გაზპრომზე“ დამოკიდებულების შემცირებისკენ.

კერძოდ, მისი მტკიცებით, თუკი „ბი-პი“ და „შაჰ-დენიზის“ კონსორციუმი „ტრანსადრიატიკული გაზსადენის“ პროექტს დაუჭერენ მხარს, მაშინ ბალკანეთის ქვეყნები ისევ რუსული „გაზპრომის“ ჰეგემონიის ქვეშ დარჩება. ამავდროულად, „დეპას“ მენეჯერმა მისი კომპანიის პრიორიტეტად აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან კვიპროსის ოფშორის გაზის ევროკავშირში მილსადენით და გათხევადებული სახით ექსპორტი მიიჩნია. ამ მოწოდების პასუხად, აზერბაიჯანის პრეზიდენტის სტრატეგიული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელმა გიულმირა რზაევამ განაცხადა, რომ კვიპროსის ოფშორში დაზვერილი გაზის ოდენობა მცირეა „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტების შესაძლებლობებთან შედარებით.

თანაც, მისი აზრით, საჭირო იქნება რამდენიმე წელი, რათა დაიწყოს კვიპროსის ოფშორზე გაზის მოპოვება. რზაევამ ხაზი გაუსვა აზერბაიჯანის მყარ პოზიციას მასზე, რომ ბაქო დაასწრებს რუსულ „სამხრეთის ნაკადს“ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე შეჭრას, რაზეც რუსეთის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბაქოს საკმაოდ აქვს ევროპასთან ენერგო-თანამშრომლობის გამოცდილება, მაგრამ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ბედი მოსკოვის, ბრიუსელისა და ვაშინგტონის ხელშია.

დაბოლოს, რაც ასევე სპეციალისტების აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია, ამჟამად თურქეთი მთლიანად გადართულია აზერბაიჯანის „შაჰ-დენიზის“ გაზის ევროპაში მიწოდების პროექტებზე. ამდენად, ანკარა სავარაუდოდ, შეეცდება, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის „ახალ დერეფანში“ მონაწილეობის ნაცვლად, „იმუშაოს“ მისი ფუნქციონირების დაწყების მაქსიმალურად შეფერხებაზე და კვლავ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტების „ერთგული“ დარჩება. ამასთან, ზემოაღნიშნული პროექტების განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნას ევროპაში ე.წ. ენერგიის ალტერნატიული წყაროების – ფიქლების აირის, მაღაროს მეთანის, ბიოგაზების და ზოგადად, ბიოსაწავავის ტექნოლოგიების სწრაფი ტემპებით განვითარება.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმ მზარდ საფრთხეებსა და გამოწვევებზე, რაც საქართველოზე გამავალი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ წინაშე ჩნდება. ამასთან, რაც დროს გადის, ეს საფრთხეები მით უფრო მწვავდება — როგორც ჩანს, „მილსადენების ცივი ომი“ ახალ ფაზაში შედის...



ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ᲩᲥᲐᲠᲝᲡᲜᲣᲚᲘ ᲒᲖᲐᲒᲙᲔᲪᲘᲚᲘᲡ E-60 ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ



როგორც „პირველს“ რეგიონული განვითარების სამინისტროდან აცნობეს, რუისი-აგარას მონაკვეთზე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით ნარმანიამ დაათვალიერა.

პროექტი 19 კმ სიგრძის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა-რეკონსტრუქციას ითვალისწინებს. მათ შორის 11 კმ არსებული გზის 4-ზოლიან მაგისტრალად რეკონსტრუქციას და 8 კმ სიგრძის სრულიად ახალი აგარის შემოვლითი ავტომაგისტრალის მშენებლობას. რუისი-აგარას 19 კმ-იანი მონაკვეთი, რუისი-რიკოთის საავტომობილო გზის მშენებლობის პირველი ეტაპია.

პროექტს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კოორდინირებით, ჩინური კომპანია „ჩაინა ნუკლეარ ინდუსტრი 23 კონსტრაქშენ კომპანი“ ახორციელებს. პროექტი მსოფლიო ბანკის მიერ, 70,7 მლნ ლარით ფინანსდება. ავტომაგისტრალის ახალი მონაკვეთი, მშენებლობის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო სტანდარტებს გაუთანაბრდება.

გზის აღნიშნულ მონაკვეთზე მოეწყობა 5 სატრანსპორტო კვანძი, აშენდება ორი, 184 და 144-მეტრიანი სახიდე გადასასვლელები მდინარე ფრონეზე და მდინარე ფცაზე. იგეგმება 91-მეტრიანი სარკინიგზო გზაგამტარის მშენებლობა. ასევე მოეწყობა რკინა-ბეტონის საველე გასასვლელები, მიწისქვეშა გადასასვლელები (რომელთა მეშვეობითაც, მოსახლეობას გზის მეორე მხარეს განთავსებულ ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა ექნება), ხელოვნური ნაგებობები და დამონტაჟდება წყალგამტარი მილები. გზის აღნიშნულ მონაკვეთზე დაიგება ცემენტ-ბეტონის საფარი.

„პირველი“

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡᲐᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲗ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ

პარლამენტის ადგილსამყოფელის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტი ბიუროს სხდომას წარედგინება. როგორც „მედიანიუსს“ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ განუცხადა, პროექტის მიხედვით, კონსტიტუციიდან უნდა ამოიღონ 48/1 მუხლი, რომლის თანახმად, პარლამენტის ადგილსამყოფლად ქალაქი ქუთაისია განსაზღვრული. ეს მუხლი ქვეყნის მთავარ კანონს 1 წლის წინ დამტკიცებული ცვლილებებით დაემატა. ახალი პროექტით, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ადგილსამყოფელი დაკონკრეტებული აღარ იქნება.

„ვერც ერთი სახელმწიფოს კონსტიტუციაში ვერ ნახავთ, ეწეროს, თუ სად უნდა იყოს განთავსებული პარლამენტი. თუ გამონაკლისი არსებობს, არ ვიცი. ყველა ქვეყანაში პარლამენტი, მთავრობა და ა.შ. სახელმწიფო დაწესებულებები დედაქალაქშია განლაგებული – კონსტიტუციაში ყოველგვარი ჩანაწერის გარეშე. ჩვენ პარლამენტის რეგლამენტით განვსაზღვრავთ, თუ სად და როგორ იფუნქციონირებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო“, — აღნიშნა ვახტანგ ხმალაძემ.

მისი თქმით, რეგლამენტის დღეს მოქმედი რედაქციით, პარლამენტის სხდომები პარლამენტის სასახლეში უნდა ტარდებოდეს. ეს კი, დეპუტატის თქმით, აბსურდული ჩანაწერია, რადგან „იმ სასახლეს რომ რამე დაემართოს, სხდომა ვერ გაიმართება“.

პარლამენტის ადგილსამყოფელის შესახებ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატორები უმრავლესობის წევრები არიან. კანონის თანახმად, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროექტის ინიცირებისთვის პარლამენტის შემადგენლობის ნახევარზე მეტის ხელმოწერა არის საჭირო.

„მედიანიუსი“

ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲔᲗᲔ

სოჭის ნარკოპოლიციელებმა ოკუპირებული აფხაზეთიდან რუსეთის ფედერაციაში ნარკოტიკის გადატანის ფაქტი აღკვეთეს. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

როგორც ირკვევა, ავტომობილს რუსეთის 32 წლის მოქალაქე მართავდა. ავტომობილის ძრავაში კი 62,27 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა აღმოჩნდა, რაც განსაკუთრებით დიდ ოდენობად კვალიფიცირდება.

აღნიშნული დანაშაულისთვის რუსეთის 32 წლის მოქალაქეს 10-დან 20 წლამდე პატიმრობა ან 1 მილიონი რუბლის ოდენობით ჯარიმა ელის. მიმდინარეობს გამოძიება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲝᲑᲡ

ბათუმის მერიაში, ბათუმის მერის, ჯემალ ანანიძის და საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი კირთაძის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით, სამი ადამიანი შიმშილობს.

მერაბ ღოღობერიძე, აკაკი შანიძე და მიხეილ გოგიჩიშვილი მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს კორუფციაში ადანაშაულებენ და მათი საქმიანობის შესწავლას ითხოვენ.

მოშიმშილეების განცხადებით, საკრებულო ხელოვნურად ბლოკავს იმ პროექტებს, რომელიც 2012 წლის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო. ამ პროექტებისთვის არსებული თანხით კი, მერიამ და საკრებულომ თანამშრომლებს ხელფასები გაუზარდა.

„ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, თავისი მხარდამჭერები დასვას საკრებულოს თავმჯდომარის მისაღებში და საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომა მოითხოვოს, რაც, ვფიქრობ, არასწორია. მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას, ამ ტიპის ურთიერთობას თავი დაანებოს“, — აღნიშნავს ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი კირთაძე.

„მედიანიუსი“

სასამართლო დევნა საქართველოში ყოფილ ჩინოვნიკებს უმიზნებს

ელენ ბარი

The New York Times

თბილისი, საქართველო – დღეს, როდესაც საქართველოს პროკურორის ოფისი იღება, ადამიანები რიგში დგებიან. მათ ხელში დოკუმენტებით სავსე საქაღალდეები უჭირავთ. ერთიმეორის მიყოლებით ისინი თავიანთ საქმეებს წარმოადგენენ: პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ მათ რაღაც წაართვა – სახელმწიფო სამსახური, მიწის ნაკვეთი, ბინა. მათ უმეტესობას უნდა, რომ ვინმე დაისაჯოს.

დაპირებამ, რომ ჩინოვნიკები დაისჯებიან, მილიარდერის, ბიძინა ივანიშვილის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება და იმ პოლიტიკოსების თანამდებობიდან გადაყენება განაპირობა, ვინც ცხრა წლის განმავლობაში აკონტროლებდა საქართველოს. სააკაშვილმა აღიარა დამარცხება, ოპოზიციაში გადასვლაზე თანხმობა განაცხადა და პირველად პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიაში, ხელისუფლება კანონიერად შეიცვალა. დაახლოებით ორი თვის შემდეგ, ქართული ექსპერიმენტი, რომელიც ბევრისთვის დასავლეთში პირქუშ პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე დემოკრატიის აშენების ბოლო იმედი იყო, ბენზე დაეკიდა.

ივანიშვილმა ყოფილი ჩინოვნიკების სასამართლო დევნა უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ამას ვინმე ელოდა და განაცხადა, რომ ვერ უგულებელყოფდა ხალხის მოთხოვნას სამართლიანობაზე. მაგრამ საქმეთა უმეტესობა მიზანში პოლიტიკურ ოპონენტებს იღებს იმ დროს, როდესაც მომავალი წლის ოქტომბრამდე სააკაშვილი პრეზიდენტად რჩება. ხელისუფლებამ სააკაშვილის მთავრობის 23 ჩინოვნიკს უკვე წაუყენა ბრალი ისეთ დანაშაულში, როგორიცაა კორუფცია და წამება. შეიძლება, ბრალი წაუყენონ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრსაც, რომელიც ამავე დროს, პარლამენტის მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერია.

ალექსანდრე რონდელი, პოლიტოლოგი, ამბობს, რომ ივანიშვილი ქართულ პოლიტიკურ ტრადიციას მისდევს – გამარჯვებული იღებს ყველაფერს.

„საქართველოში პოლიტიკური მტერი მტერია. არა მგონია, ეს ძალიან კარგ იმიჯს უქმნიდეს ქვეყანას, მაგრამ ასეთია ჩვენი კულტურა“, — ამბობს რონდელი, საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის პრეზიდენტი. „ახლა უკვე ცხადია, რომ ახალ პოლიტიკურ ძალას ძველის განადგურება სურს. ეს სრულიად ცხადია. ეს დემოკრატიას არ ჰგავს, მაგრამ ისინი ამბობენ, რომ კანონის უზენაესობა უფრო მაღლა დგას“.

ცხადი იყო, თუ მიხეილ სააკაშვილი ძალაუფლებას დაკარგავდა, გარკვეული სამართლებრივი ანგარიშსწორება შედგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მთავრობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში ისე იყო მიღებული, როგორც პრო-დასავლური, შინ პრეტენზიები მატულობდა, განსაკუთრებით ეხებოდა ეს პოლიციის სისასტიკესა და სასამართლო სისტემაში სამართლებრივი პროცესების დეფიციტს. ამ შემოდგომაზე გავრცელდა ვიდეო, სადაც ნაჩვენები იყო, როგორ სცემენ და აუპატიურებენ ციხის მცველები პატიმრებს. ამას საზოგადოების მრისხანების დიდი ტალღა მოჰყვა. უფლებადამცველები დიდი ხანია აცხადებდნენ, რომ ჩინოვნიკები დაუსჯელად მოქმედებდნენ ისეთ მძიმე საქმეებში, როგორიც იყო ბანკის თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობა – ის სამართალდამცავი სამსახურების ოფიცრებმა 2006 წელს, ჩხუბის შემდეგ გაიტაცეს.

კანდიდატად ყოფნისას, ივანიშვილმა პირობა დადო, რომ მალე აღადგენს სამართლიანობას. ის აცხადებდა, რომ დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას წელიწადზე ნაკლებ დროში შექმნიდა. როდესაც ჰკითხეს, როგორ გააკეთებდა ამას, მან „ფორბსს“ უპასუხა:

„უნდა დააპატიმრო ერთი მინისტრი, მაქსიმუმ, ორი, რათა ყველამ დაინახოს, პატიება არ იქნება. უნდა აჩვენო, რომ აქ, ზევით, არსებობს პოლიტიკური ნება და ყველაფერი მალე მოვა წესრიგში“.

საქართველოს ახალი პროკურორი არჩილ კბილაშვილი ამბობს, რომ გასული თვის განმავლობაში ყოფილი ჩინოვნიკების წინააღმდეგ 3 000-ზე მეტი საჩივარია შესული, ამიტომ ის იმ განყოფილებაში, რომელიც ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას იძიებს, გამომძიებლების რაოდენობას გაასამმაგებს. თუ მის მიმართ რაიმე კრიტიკა გაისმის, ეს ის არის, რომ ქართველთა უმრავლესობის აზრით, ის ნელა მოქმედებს. მაგალითად მას ბაჩო ახალაიას საქმე მოჰყავს, ყოფილი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრის, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინოდათ და რომელიც არჩევნების შემდეგ, როგორც ჩანს, დაპატიმრების შიშით ქვეყნიდან გაიქცა. როდესაც გაირკვა, რომ ახალაია დაბრუნდა, ამბობს კბილაშვილი, თანამდებობაზე სულ ხუთი დღის დანიშნული იყო, მაგრამ წალეკა „უამრავმა, უამრავმა სატელეფონო ზარმა“. მას ეკითხებოდნენ, რატომ არ გასცემს ახალაიას დაპატიმრების ბრძანებას. **„ვეუბნებოდი, რომ არა მაქვს მტკიცებულებები, რომ ის ჩვენი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეა“,** — ჰყვება კბილაშვილი, მაგრამ მეორე დღეს ახალაია მაინც დააპატიმრეს, შედარებით მსუბუქი ბრალდებით – სერჟანტს დანის ტარი ჩაარტყა და ჯარისკაცებს საჯაროდ სცემდა. ამის შემდეგ უამრავი განცხადების შემოდინება დაიწყო მოქალაქეებისგან, რომლებმაც „როგორღაც გაბედეს“ ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, — ამბობს კბილაშვილი.

ორმა ცნობილმა უფლებადამცველმა ჯგუფმა უკვე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ივანიშვილი სამართლიანობის საკითხს ძალიან ნაჩქარევად უდგება. თამარ ჩუგოშვილმა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან, განაცხადა, რომ დატოვა გასათავისუფლებელი პოლიტიკური პატიმრების ნუსხის დამდგენი საპარლამენტო ჯგუფი, რადგან ორკვირიანი ვადა „შეუძლებელს ხდიდა თითოეული საქმის დეტალურად შესწავლას“.

„ჩვენ დავინახეთ, რომ ისინი რეალურად ჩქარობენ, ცდილობენ, ძალიან მალე გააკეთონ საქმე“, — განაცხადა მან, — „მესმის, რომ ამომრჩევლებთან პოლიტიკური პასუხისმგებლობა აკისრიათ, მაგრამ ვფიქრობ, არასწორად იქცევიან“. მისი თქმით, ჯერ ადრეა იმის შეფასება, ტარდებოდა თუ არა ყოფილი ჩინოვნიკების პროცესები სამართლებრივად, მაგრამ განაცხადა „რომ ძალიან მნიშვნელოვანია, სამართლიანი პროცესის მოწმენი გავხდეთ და მტკიცებულებები შეესაბამებოდეს მაღალ სტანდარტს“.

მიმდინარე კვირას, როგორც ჩანს, გამოძიება სააკაშვილის გარემოცვის მაღალი რანგის ფიგურებისკენ წავიდა. დაიწყო გირგვლიანისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას საქმეების გამოძიება. ჟვანიას გარდაცვალება კარბონის მონოქსიდით მოწამვლისგან დიდი ხანია ჭორების საგანია. კამპანია დაჩქარდა და დასავლელმა ლიდერებმა ჩარევა გადაწყვიტეს. ისინი აფრთხილებენ ივანიშვილს, რომ პოლიტიკური ანგარიშსწორების ფაქტებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს სვლას ნატო-სკენ, მაგრამ ეს გაფრთხილებები აშფოთებს ივანიშვილის მხარდამჭერებს, მათი თქმით, დასავლელ მთავრობებს სააკაშვილთან თბილი ურთიერთობები ჰქონდათ და თვალს ხუჭავენ მისი მთავრობის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევაზე.

„ძმვენივრად გვესმის, რომ არსებობდა გარკვეული კლიშე, თითქოს საქართველოში ყველაფერი ჩინებულად იყო და ამ არჩევნების შედეგებმა გააოცა საერთაშორისო საზოგადოება“, — გვითხრა კბილაშვილმა, როდესაც დასავლეთიდან წამოსულ გაფრთხილებებზე ვკითხეთ. ივანიშვილი თავად აშკარად აღაშფოთა კრიტიკულმა სარედაქციო სტატიამ, რომელიც „ვაშინგტონ პოსტში“ ოთხშაბათს გამოქვეყნდა. მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ეს სააკაშვილის ლობისტების საქმიანობის შედეგია. ეს კვირა სააკაშვილის გუნდის წევრებისთვის დაძაბული გამოდგა. ყოველ დილით იღვიძებდნენ და მეგობრების დაპატიმრების შესახებ ინფორმაციას ელოდნენ. ვანო მერაბიშვილი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი, ელოდა იმას, რომ პროკურორი დაურეკავდა და გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით, მცირედი ბრალდებით დაკითხავდა. საუბარში, რომელიც წყდებოდა სუსტი სიცილით, ის ამბობდა, რომ დაბრუნდება პოლიტიკაში, თუნდაც ციხეში მოხვდეს. **„მე საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და შემიძლია, დავიცადო 15-20 წელი“, — განაცხადა მან. „20 წლის შემდეგ რომ გავთავისუფლდე, 65 წლის ვიქნები“.**

თბილისში ძნელად მოძებნი მოქალაქეს, რომელიც არ უჭერს მხარს მიმავალი მთავრობის ჩინოვნიკების გასამართლებას. 31 წლის მაკა მუჯერიშვილი იშვიათი გამონაკლისია. ის ამბობს, რომ ეშინია, კამპანია კონტროლიდან არ გამოვიდეს. **„ისინი ახლა იმას იმეორებენ, რასაც თავად ებრძოდნენ“,** — განაცხადა მან ივანიშვილის გუნდზე. **„მგონია, რომ ჩვენი საზოგადოება შეცდომას უშვებს. ისინი რევანშის აღებას ცდილობენ. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს უკან დაგვხევს“.**

მექანიკოსი ნიკოლოზ ბეჟანიშვილი, რომელიც სამშაბათს გამოჩნდა პროკურორის ოფისში, დედაქალაქში თავისი სოფლიდან ჩამოტანილ ქაღალდებს ასწორებს. ამ დოკუმენტებში ჩანს, რომ მიწის გრძელი, ვიწრო ნაკვეთი მას სააკაშვილის პარტიასთან დაკავშირებულმა ჩინოვნიკმა წაართვა. აი, ამიტომ მისცა ხმა ივანიშვილს, ამბობს ის და დასძენს: „სიმართლე აღდგება“. როდესაც ვეკითხებით, რა მოხდება თუ მიწას არ დაუბრუნებენ, ის პირქუშად შემოგვყურებს და ამბობს: **„ე.ი. საქართველოში არავითარი იმედი არ რჩება და სჯობს, ქვეყანას საბოლოოდ გაეცალო“.**

foreignpress.ge

ვერსიანიუსი

პანკისის ხეობის მოსახლეობა სკოლებში ჩეჩნური ენის სწავლებას ითხოვს

პანკისის ხეობის მოსახლეობა სკოლებში ჩეჩნური ენის სწავლებას ითხოვს. ამის შესახებ მათ დღეს სოფელ დუისში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან პაატა ზაქარეიშვილთან შეხვედრაზე განაცხადეს.

როგორც „პირველს" რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან აცნობეს, ზაქარეიშვილმა შეხვედრაზე ისაუბრა პანკისის ხეობის მნიშვნელოვან როლზე ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკაში და ხეობის ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტის საქმეში აქტიურ თანამონაწილეობასა და თანამშრომლობისათვის მზადყოფნა გამოთქვა. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ხეობის ქისტი მოსახლეობა ისტორიულად და დღესაც იყო და არის საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე ერთგული ნაწილი და პირობა დადო, რომ მათი წვლილი ახალი ხელისუფლების მხრიდან აუცილებლად იქნება დაფასებული.

შეხვედრაში მონაწილე მოსახლეობამ განსაკუთრებული აქცენტი განათლების სფეროში არსებულ სირთულეებზე გააკეთა, ასევე მათი მშობლიური ჩეჩნური ენის ასიმილაციის საშიშროების საფრთხე მწვავედ დააყენეს და მოითხოვეს, რომ სკოლებში შემოღებულ იქნას მათი მშობლიური ენის სწავლება. ასევე, პრობლემები აღმოჩნდა ახალგაზრდების დასაქმების, მათი სხვადასხვა სახის პროექტებსა და პროგრამებში ჩართულობის ამაღლების მხრივ, რუსეთთან სავიზო რეჟიმის გამარტივების, საზღვრის გადაკვეთისას შექმნილი ხელოვნური შეფერხებების, ინფრასტრუქტურის მოწყობის, ისტორიული მემკვიდრეობის გადარჩენისა და სპორტის სფეროში.

ამასთან, ადგილობრივმა მოსახლეობამ პაატა ზაქარეიშვილს მიმართა თხოვნით, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიება ობიექტურად მოხდეს.

„პირველი“

სუდოკუმანია

ადვილი

4		1			3	2		
9			4		8		3	6
				7				
	7							2
5		2				1		9
3							7	
				4				
1	3		8		6			4
		4	2			6		1

სტანდარტი

		4		3				8
	1			4	8	3		
3			1		7			
					9		8	6
		2				5		
9	8		3					
			9		5			1
		3	7	6			2	
2				8		6		

რთული

			4		1			
			6				2	1
	2						5	3
			5				9	
1		5		4		2		8
	9				6			
7	4						3	
6	3				8			
			7		4			

ექსპერტი

				2	6	1		9
		9		3	7			2
			5			8		6
5						2	9	
		8				6		
	9	6						7
2		3			4			
9			6	8		4		
8		1	7	5				

თუთიყუშის მკვლელობისთვის დააპატიმრეს

63 წლის ამერიკელმა რიჩარდ ატკინსონმა ჩანგლით მოკლა თუთიყუში, რომელიც მის მეგობარ ქალს ეკუთვნოდა. სასამართლოზე მან განაცხადა, რომ არ ახსოვს იმ დღის მოვლენები, როცა ეს ინციდენტი მოხდა. ატკინსონის ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა, შესაძლოა, დამამშვიდებელი პრეპარატები მიიღო, მერე კი ვისკი დალია და ამის გამო გაშმაგდა. თუთიყუშის პატრონი ქალბატონი აცხადებს, რომ ჩიტი მასთან 18 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და ის მისთვის ძალიან ძვირფასი იყო. დამნაშავეს ქალისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრეს, რაც საყვარელი ფრინველის სიკვდილით მიადგა. გარდა ამისა, ატკინსონი ციხეში ნახევარი წლით ჩაჯდება და სხვა დავალებებსაც შეასრულებს — მან აუცილებლად უნდა გაიაროს შემოწმება ფსიქიატრთან და ხუთი წლით ეკრძალება შინაური ცხოველის ან ფრინველის ყოლა.

პენსიონერი სქესს მეორედ იცვლის

75 წლის ბრიტანელმა პენსიონერმა ჰარი ნორტონმა გადაწყვიტა, ისევ შეიცვალოს სქესი. ის ახლა ქალბატონი ჯილიანია და სურს ხელახალი ოპერაციით კვლავ მამაკაცური იდენტობა დაიბრუნოს. 23 წლის განმავლობაში ჰარი ქალად ცხოვრობდა, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ვარცხნილობისა და მაკიაჟის კეთებით დაღლილმა ნორტონმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. ცეკვასა და ლამაზად სიარულს ვსწავლობდი, კარგ კაბებს ვყიდულობდი და გარეგნობას უდიდეს ყურადღებას ვუთმობდი. პარტნიორის შეყვარება კი ვერ შევძელი, რადგან გავაცნობიერე, რომ უწინდებურად სუსტი სქესის წარმომადგენლები მაინტერესებდა. მინდა ყველა გავაფრთხილო, ვინც ფიქრობს, რომ სქესის შეცვლის ოპერაცია გამოსავალია — ეს ასე არ არის! — ამბობს ნორტონი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჰარიმ, რომელიც დეპრესიით იტანჯებოდა, ექიმს მიმართა. მან სპეციალისტს გაუმხილა, რომ სიმშვიდეს ქალის ტანსაცმლის ჩაცმა ანიჭებდა. მედიკოსმა მას სქესის შესაცვლელი ჰორმონალური აბების სმა ურჩია და სხვა სპეციალისტთან გაუშვა. მიუხედავად მეუღლისა და ოთხი შვილისა, ჰარი სერიოზულად დაფიქრდა ოპერაციაზე, თუმცა ოჯახმა მხარი არ დაუჭირა — მეუღლემ მიატოვა და შვილებმაც ზურგი აქციეს. ქალად გადაქცევით საშინელი შეცდომა დავუშვი. მეგონა, ამით დეპრესიისგან განვიკურნებოდი, მაგრამ უარესი მოხდა. მინდა, ახლობლებს ბოდიში მოვუხადო, — ამბობს ნორტონი. ჰარიმ ჰორმონალური პრეპარატების სმა შეწყვიტა, ტანსაცმელი საქველმოქმედო ორგანიზაციას მისცა და მკერდის მოკვეთის ოპერაციის რიგში ჩადგა.

ცოლ-ქმარი შერიგების გამო დააპატიმრეს

ესპანეთში, ანდალუსიელი მეუღლეები, რომლებიც ურთიერთობის აკრძალვიდან ერთი წლის შემდეგ შერიგდნენ, სასამართლომ ციხეში ჩასვა. ოჯახური წყვილი ერთმანეთს გასულ წელს დაშორდა, თუმცა განქორწინება ოფიციალურად არ გაუფორმებიათ. ცოლ-ქმარს შორის მუდმივად კონფლიქტები იყო და სასამართლომ, ესპანეთში მოქმედი კანონის შესაბამისად, რომელიც ოჯახურ ძალადობას აღკვეთს, მეუღლეებს ერთმანეთთან 500 მეტრზე ნაკლებით მიახლოება აუკრძალა. გარდა ამისა, მამაკაცს ცოლთან კონტაქტში შესვლაც ეკრძალებოდა. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, წყვილი ერთი წლის შემდეგ შერიგდა. ამის თაობაზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეიტყვეს და მიუხედავად იმისა, რომ მათი ქორწინება ჯერ ისევ მოქმედი იყო, ხოლო ცოლ-ქმარი ნებით ხვდებოდა ერთმანეთს, ისინი მაინც დააპატიმრეს. სასამართლო აკრძალვის დარღვევისთვის ქმარს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ცოლს კი, „თანამზრახველობისთვის“ 4-თვიანი პატიმრობა აკმარეს.

მუსიკალური შხაპი რეალობაა

ბანაობისას სიმღერა ან მუსიკის მოსმენა უამრავ ადამიანს სიამოვნებს. ახლა ეს პრობლემა უკვე გადაჭრილია. **Moxie**-ის ფირმის შხაპის ხელსაწყოს კორპუსში უკაბელო სპიკერებია ჩამონტაჟებული, რომლებიც არ სველდება. ხმის გამაძლიერებელი საუკეთესო სისტემითაა აღჭურვილი და წყლის წვეთების ხმა მელოდიას არ ფარავს, შესაბამისად, **Moxie**-ის მომხმარებლებს შეუძლიათ, შხაპის მიღებისას, ნებისმიერ დროს მუსიკას შეუფერხებლად მოუსმინონ. სპიკერები **Wi-Fi**-ხელსაწყოს უკავშირდება. ის შეგიძლიათ საკუთარ **iphone**-თანაც დააკავშიროთ და საკუთარი რჩეული სიმღერები მოისმინოთ. სპიკერს ელემენტები 7 საათის განმავლობაში ჰყოფნის, რის შემდეგაც მისი დატენვა **USB**-კაბელით შეგიძლიათ.

სტრესის მოხსნაში მობილური ტელეფონი დაგეხმარებათ

ფიჭური კავშირგაბმულობის ერთ-ერთი ბრიტანული ოპერატორი, კლიენტების გულის მოსაგებად, უჩვეულო მომსახურებას იწყებს — ყველა მსურველს სტრესის მოხსნაში დაეხმარებიან. ამ ახალი სერვისის დახმარებით შეგიძლიათ „რელაქსაციის ხაზზე“ დარეკოთ და ბუნების დამამშვიდებელი ხმები მოისმინოთ. სატელეფონო კომპანია **Orange**-ის შეთავაზებული ნომრის აკრეფისას მომხმარებელს შეუძლია ხმები ამოირჩიოს: ტრადიციული ინგლისური სოფლის, ტყის, ზღვის ტალღებისა და ჩიტების გალობის ხმები. ამ ოპერატორის კლიენტებისთვის სერვისი უფასო იქნება, სხვა კომპანიის კლიენტებს კი „მობილური რელაქსაცია“ გარკვეული საფასური დაუჯდებათ. კომპანიამ ბუნების ხმები ბრიტანეთის სხვადასხვა კუთხეში ჩაწერა. ბოლო გამოკვლევების მიხედვით, რომელიც **Orange**-ის დაკვეთით ჩატარდა, გაირკვა, რომ მაგალითად, 12 წუთის განმავლობაში ოკეანის ხმების მოსმენა აჩქარებულ პულსს აწყნარებს და სისხლის წნევას არეგულირებს.

ნაბელლავი

ნატურალური მინერალური წყალი

უცვლელად გემრიელი და სასარგებლო ნატურალური მინერალური წყალი ნაბელლავი
განახლებულ - უფრო მოსახერხებელ, მსუბუქ და შესაბამისად უფრო "მწვანე" ბოთლში!

იპოვეთ თქვენი www.versia.ge

ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com

® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით